საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

№ 241 (2352)

შაბათი, 30 ნოემბერი, 1996 წელი.

ფასი 30 თეთრი, თბილისის გარეთ 35 თეთრი.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოები ყალიბდება როგორც ერთ-ერთი მაღალპროფესიული და ბრძოლისუნარიანი ძალა, რომელზეც მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფა და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა

შევეწიოთ!

ქველმოქმედთა ღვაწლით



წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის პრობლემებზე არა ერთხელ გიამბეთ. დღეს კი სიხარულით გაუწყებთ, რომ ძირითადად ქველმოქმედთა ხარჯზე გამოიძებნა საშუალებები და საძირკვლის ქვაბულის დაბეტონება ჩქარი ტემპით განახლდა. რაც იმის საფუძველია, რომ ზამთარი ველარ დააზიანებს ძირითად ქანებს და მშენებლებს მნიშვნელოვანი პრობლემები მოეხსნებათ. ქვაბულში ბეტონის ფილის სამუშაოების თითქმის 60 პროცენტი შესრულებულია. ღვთის წყალობით ამინდიც ხელს უწყობს მშენებლებს. თავის სიტყვას ამბობენ ქართველი ქველმოქმედები, რომელთა შემოწირულობანი დღითიდღე ემატება მშენებლობის ფონდის ყულაბას. გუშინწინ ჩვენმა მოსკოველმა თანამემამულემ, რომელმაც არც კი ისურვა ვინაობის გამხელა, 10 000 დოლარი შესწირა ტაძრის მშენებლობას. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ გვაგრძნობინა ქართული სულის სიდიადე და თითქოს დაადასტურა ჩვენი დიდი წინაპრების სიტყვები: „არ გადავშენდებით"!

ამასობაში ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:

თამარ ციციშვილი – 70 ლარი;
ვაჟა ლომთაძე – 10 ლარი;
შპს სისტემა „როლი" – 1000 ლარი;
მცხეთა-მთიანეთის რწმუნებულის აპარატი – 10 ლარი
ჯაფარიძე (ბორჯომიდან) – 200 ლარი;
„მტრედი" – 1 ლარი და 10 თეთრი;
შპს „ქაჩი" – 500 ლარი;
შპს „ელსავაკო" – 500 ლარი;
გივი ჯიქია – 50 ლარი;
გურამ ბალარიშვილი – 200 ლარი.
გიორგი გამრეკელის მრევლი – 1 ლარი;
ს/ს ოფსეტური ფაბრიკა – 300 ლარი;
ნარგიზა ჭაბუკიანი – 50 ლარი;
გაზეთი „მზიური" მოსკოვიდან – 300 დოლარი;
უცნობი პირი – 100 დოლარი;
გიორგი ბიგანიშვილი – 25 დოლარი;
ქეთევან შიკაკიშვილი – 25 დოლარი;
ალექსი ბიგანიშვილი – 25 დოლარი;
თინათინ ბიგანიშვილი – 25 დოლარი;
გიორგი, თამარ, ნათელა – 121 დოლარი.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრს შოთა კვირაიას

ბატონო შოთა!

წლეულს პირველად აღინიშნება საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაკთა დღე, რომლის დაწესებამ ხელი უნდა შეუწყოს უშიშროების ორგანოების მოსამსახურეთა პროფესიონალიზმს, პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებასა და მხედრული სულისკვეთების გაძლიერებას.

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოები ყალიბდება როგორც ერთ-ერთი მაღალპროფესიული და ბრძოლისუნარიანი ძალა, რომელზეც მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენის, სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის, მართლწესრიგის განმტკიცებისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმე.

გულითადად გილოცავთ პროფესიულ დღესასწაულს პირადად თქვენ, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ხელმძღვანელებსა და მთელ პირად შემადგენლობას.

ედუარდ შევარდნაძე.
27.11.96.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თანამშრომელთა მიმართვა ქვეყნის პრეზიდენტისადმი, საქართველოს პარლამენტისა და მოსახლეობისადმი

ქვეყანა აღნიშნავს სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაკთა დღეს მაშინ, როდესაც საქართველოს ცხოვრებაში განვლილი ხუთი წელი უკვე იქცა ჩვენი ხალხის ისტორიის კუთვნილებად. მისი ღირებულება ქვეყნის დამოუკიდებელი და დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობაში განუზომელია.

გზა, რომელიც ქართველმა ხალხმა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით განვლო საბჭოთა იმპერიის პროვინციიდან დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისაკენ, მნიშვნელოვანი ეტაპია, რომელიც აღსავსე იყო პრობლემებით, სირთულეებით. ყველას გვახსოვს რა ახლოს იყო ჩვენგან ზღვარი, რომლის იქითაც შეიძლებოდა ერის კატასტროფა მომხდარიყო.

მივიღეთ და მოქმედებს ქვეყნის კონსტიტუცია, დამყარდა წესრიგი, იწყებს გამოცოცხლებას ქვეყნის ეკონომიკა, მიმდინარეობს ძიება, რათა მშვიდობიანი გზით მოლაპარაკებებისა და გონივრული კომპრომისების ხარჯზე აღდგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

უშიშროების სამინისტროს შემადგენლობა ყოველ წამს სრულ მზადყოფნაშია – ყველგან და ყველაფერში, სადაც კი შეიძლება გადაწყდეს საქართველოს ბედი, იმოქმედოს გაბედულად, აზრიანად და მოიპოვოს გამარჯვება.

დღეს ქვეყნის უშიშროების სამსახურში სხვადასხვა თაობის ადამიანები ილწვიან. მათ აერთიანებთ სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, ისინი მზად არიან ღირსეულად მოიხადონ თავიანთი მამულიშვილური ვალი.

საქართველოს უშიშროების სისტემა ორგანიზებულად ჩამოყალიბებული, სულიერად ძლიერი, ტექნიკურად აღჭურვილი სახელმწიფო სტრუქტურაა, რომელშიც ნამდვილი პროფესიონალები მსახურობენ. ჩვენს ხელთ არის ყველაფერი, რათა დავიცვათ საქართველოს კონსტიტუცია, დემოკრატია და მშვიდობა, აღვასრულოთ პრეზიდენტისა და პარლამენტის ნებისმიერი დავალება.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 29 ნოემბერი **ქ. თბილისი**

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თანამშრომლების საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო უშიშროების განმტკიცების საქმეში შეტანილი წვლილის, მაღალი პროფესიონალიზმის, საბრძოლო მომზადებისა და თავდადებული სამსახურისათვის საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით:

II ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით:
ავთანდილ იოსელიანი – გენერალ-ლეიტენანტი, მინისტრის პირველი მოადგილე.

III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით:
თეიმურაზ გრძელიძე – გენერალ-მაიორი, მინისტრის მოადგილე;
არჩილ ქვანია – გენერალ-მაიორი, მინისტრის მოადგილე.

ღირსების ორდენით:
ნოდარ მაისურაძე – გენერალ-მაიორი, მართვისა და კონტროლის დეპარტამენტის მინისტრის კონსულტანტთა ჯგუფის უფროსი კონსულტანტი;
გივი ჯორბენაძე – გენერალ-მაიორი, მართვისა და კონტროლის დეპარტამენტის მინისტრის კონსულტანტთა ჯგუფის უფროსი კონსულტანტი.

მედლით „მხედრული მამაცობისათვის"
ვლადიმერ ლობჟანიძე – პოლკოვნიკი, ქუთაისის საქალაქო განყოფილების უფროსი;
თამაზ ჭანტურია – პოლკოვნიკი, მართვისა და კონტროლის დეპარტამენტის კანცელარიის უფროსი.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის"
თეიმურაზ ებიტაშვილი – პოლკოვნიკი, კადრების სამმართველოს უფროსი.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 29 ნოემბერი **ქ. თბილისი**

პოლკოვნიკ თ. ნინუასათვის გენერალ-მაიორის მორიგი სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მართვისა და კონტროლის დეპარტამენტის უფროსს, პოლკოვნიკ თამაზ ნინუას მიენიჭოს გენერალ-მაიორის მორიგი სამხედრო წოდება.

ე. შევარდნაძე.

სახელმწიფო ბიუჯეტს – სახელმწიფოებრივი მიდგომა

ვაგრძელებთ მასალების გამოქვეყნებას, თუ ვინ რამდენი თანხა შემატა სახელმწიფო ბიუჯეტს:

ყვარლის რაიონის სახელმწიფო ქონების განყოფილება – 18 000
ლაგოდეხის აგროფირმა „ჭიაური" – 5 000
ახმეტის მეფრინველეობის რეპროდუქტორი – 224
გურიის მხარე:
საქავტოგზის სახელმწიფო კონცერნის ლანჩხუთის №20 საგზაო სამმართველო – 9 000
ჩოხატაურის საგზაო სამმართველო – 2 000
ოზურგეთის რაიონის სოფელ ჯუმათის გამგეობა – 1 130
ჩოხატაურის რაიონის სოფელ გოგოლესუბნის გამგეობა – 1 116
შიდა ქართლის მხარე:
კასპის რაიონის მეტეხის კერამიკული აგურის ქარხანა – 3 000
გორის რაიონი – 24 000
ქარელის რაიონი – 8 000
გარდაბანი:
ფირმა „ლილო" – 13 100
საგზაო სარემონტო სამშენებლო სამმართველო – 7 100

რუსეთ-საქართველოს დელეგაციებმა მოილაპარაკეს

29 ნოემბერს თბილისში გაიმართა საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფო დელეგაციების მოლაპარაკების მეათე რაუნდი. საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ უკლება, რუსეთის დელეგაციას – საგანგებო დავალებათა ელჩი ფელიქს კოვალიოვი.

განიხილეს საქართველოსა და რუსეთის თანამშრომლობის შეთანხმებანი, რომლებიც ითვალისწინებს რუსული რუბლისა და ქართული ლარის კურსის სტაბილიზაციისა და ურთიერთკონვერტირების უზრუნველყოფის ღონისძიებებს, საქართველოსა და რუსეთის ეროვნულ ბანკებს შორის ანგარიშსწორების მოწესრიგებას.

გაეცნენ საქართველოს უზენაესი სასამართლოს საქმიანობას

29 ნოემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ მინდია უგრეხელიძემ მიიღო ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისიის ელჩი საქართველოში მიხაელ ლიბალი და ამავე მისიის წარმომადგენელი იოჰანა შტიგლერი. სტუმრებს გააცნეს სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობასთან დაკავშირებული ბოლოდროინდელი დემოკრატიული ძვრები საქართველოში, მიმდინარე სასამართლო რეფორმის ძირითადი ტენდენციები და მიმართულებანი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სიკვდილით დასჯის გაუქმების საკითხს.

ვიზიტი თურქეთში

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი იმყოფება თურქეთში, სადაც მიმდინარეობს მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობისა და პარტნიორობისათვის ხელშეკრულების თაობაზე და მომავალი წლის თანამშრომლობის გეგმის შესახებ. 2-3 დეკემბერს სტამბოლში შედგება შეხვედრა უმაღლეს დონეზე ჰელსინკის პროცესში მონაწილე ქვეყნებს შორის, მასში მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე საქართველოს დელეგაცია.

ინფორმ
ბიურო

„მშვიდობის პარტნიორობის" პროგრამით

29 ნოემბერს ბრიუსელში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი შეხვდა ნატოს გენერალურ მდივანს ხავიერ სოლანას. შეხვედრის დროს განიხილეს „მშვიდობისათვის პარტნიორობის" პროგრამის ფარგლებში საქართველოსა და ნატოს შორის მრავალმხრივი თანამშრომლობის საკითხები.

გამუქდა საქართველოს პოზიცია ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოსა (ნაქსი) და „მშვიდობისათვის პარტნიორობის" პროგრამის შესაძლო შერწყმის მიმართ, რაზეც კერძოდ, წარიმართება საუბარი ნაქსი-ს წევრ სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე ბრიუსელში, ა. წ. 11 დეკემბერს.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე რევაზ ადამია და ნატოში საქართველოს წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე.

ეუთოს წარმომადგენელი შეხვდა ოს ლიდერებს

ეუთოს ახლადდანიშნული წარმომადგენელი საქართველოში დოქტორი მიხაელ ლიბალი ცხინვალში შეხვდა ოს ლიდერებს და ესაუბრა მათ ქართულ-ოსური კონფლიქტის პრობლემების მშვიდობიანი გადაწყვეტის თაობაზე. მ. ლიბალმა განაცხადა, რომ ეუთო ისწრაფვის ხელი შეუწყოს კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტას და მოლაპარაკებათა განახლებას ქართულ და ოსურ მხარეებს შორის.

საჰაერო ხიდი: საქართველო-ქუვეითი

24-28 ნოემბერს ქუვეითში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა საქართველოს დელეგაცია, მხარეებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საქართველოსა და ქუვეითს შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ. გამოიკვეთა საქართველო-ქუვეითის მომავალი თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები.

ჭეშმარიტად სახალხო პოეტი...

იოსებ ნონეშვილის – ჭეშმარიტად სახალხო, ქართველი ხალხის საყვარელი პოეტის ხსოვნის საღამო გაიმართა გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმში. ამ საღამოსვე შედგა პოეტის მეუღლის მედეა ნონეშვილის მოგონებების წიგნის პრეზენტაცია.

პოეტის მეგობრებმა, ცნობილმა ქართველმა პოეტებმა და მწერლებმა, იოსებ ნონეშვილის პოეზიის თაყვანისმცემლებმა ილაპარაკეს მის მნიშვნელობაზე ქართულ პოეზიაში, ხაზი გაუსვეს, რომ დღევანდელი თაობა ვალშია პოეტის მიმართ.

მევენახეები და მეღვინეები დამეგობრდნენ

პარიზში დაიდო საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და ბურგუნდიის მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის თანამშრომლობის ხელშეკრულება. თანამშრომლობის პირველ ეტაპზე მხარეები ერთმანეთს გაუზიარებენ ინფორმაციას ვაზის მოვლისა და ღვინის დაწურვის დარგში არსებული მიღწევების შესახებ, გაცვლიან ტექნოლოგიებს. გადაწყვეტილია, აგრეთვე, გაცვალონ სტუდენტები და სპეციალისტები საფრანგეთისა და საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების მიზნით.

ერთობლივად იმსჯელეს

გუშინ გაიმართა საქართველოს პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი კოლეგიის სხდომა, რომელზეც განიხილეს განზრახ მკვლელობისა და სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების დანაშაულთა გახსნის, გამოძიებისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის მდგომარეობა.

მასალას კოლეგიაზე განხილულ საკითხების თაობაზე გაზეთის უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრეზიდენტის პრესსამსახურმა, საქინფორმმა, იბერიამ, ჩვენმა კორესპონდენტებმა.

გვწერენ

მაქიებელი, შთაგონებული თეატრი

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ისნის რაიონი ერთ-ერთი ყველაზე ინტერნაციონალურია დედაქალაქში. ამაზე ყველაზე კარგად ის ფაქტი მიუთითებს, რომ ისნის რაიონში ერთმანეთის მხარდამხარ ცხოვრობენ და შრომობენ მრავალი ეროვნების წარმომადგენლები.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ერთ-ერთი უძველესი თეატრი თბილისში – პეტროს ადამიანის (ყოფილი ს. შაუმიანის) სახელობის სახელმწიფო სომხური დრამატული თეატრი – სწორედ ამ რაიონში შეიქმნა და არსებობის პირველივე დღეებიდან მაყურებლის დიდი მოწონება და სიყვარული დაიმსახურა.

თეატრის რეპერტუარი იმთავითვე ძირითადად სომეხი, ქართველი და დასავლეთ ევროპის ავტორთა ნაწარმოებებით ივსებოდა. აქ ჩაისახა ის ტრადიციები, რომლებსაც დღესაც წმინდად ვინახავთ, – ეს არის ძმობის და მეგობრობის ტრადიციები. მაგალითად, წლეულს, ნოემბერში სომხურ თეატრში მოეწყო საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის სპექტაკლ „ბლეზის" დამდგმელთა ჯგუფის შეხვედრა თეატრის სტუდიის მსმენელებთან.

შარშან ვიყავით გასტროლებზე მოსკოვში. ჩვენს სპექტაკლებს ხშირად ესწრებოდნენ რუსეთში საქართველოს საელჩოს და სომხეთის საელჩოს წარმომადგენლები და ამით იყო დასამახსოვრებელი შარშანდელი წელიწადი.

ქართული კლასიკური და თანამედროვე დრამატურგიის განსახიერება სომხური თეატრის სცენაზე, სომხური კლასიკისა და თანამედროვეობის ნიმუშებთან ერთად, ამ თეატრის თავისებურებისა და დანიშნულების უმთავრეს ნიშანთვისებებს ამკვიდრებდა და ამკვიდრებს.

ხელოვნების, კერძოდ, თეატრალური ხელოვნების მუშაკთა წინაშე სერიოზული ამოცანები დგას, რომელთა შორის უპირველესი მაყურებლისათვის მაღალი მხატვრული ნაწარმოებების ჩვენებაა.

ჩვენი თეატრი ემყარება ისტორიულ გამოცდილებასაც და თანამედროვეობის სულიერ მოძრაობასაც.

დაე, მარად აქეთკენ ისწრაფოდეს თავისი მაქიებლური, მოუსვენარი შთაგონებით დღევანდელი თბილისის სომხური თეატრი.

რომან ნურალიანი,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი.

უკანასკნელ საათს

„ილ-76" თვითმფრინავის კატასტროფასთან დაკავშირებით

დასრულდა 28 ნოემბერს დაღუპული სატრანსპორტო თვითმფრინავის „ილ-76"-ის საძიებო-სამაშველო სამუშაოები. თვითმფრინავი კომერციულ რეისს ასრულებდა მოსკოვიდან კამჩატკის პეტროპავლოვსკში და კატასტროფა განიცადა აბაკანიდან 16 კილომეტრზე. ეკიპაჟის წევრები და ყველა მგზავრი დაიღუპნენ. თვითმფრინავის ჩამოვარდნის ადგილზე აღმოჩენილია დაღუპულთა გვამები, აგრეთვე ოთხივე „შავი ყუთი".



შსს გაფართოებული კოლეგიის სხდომა

გაიმართა რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს გაფართოებული კოლეგიის სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ჩერნომირდინმა.

სხდომაზე გამოსვლისას ჩერნომირდინმა თქვა, რომ რუსეთში გრძელდება ძალადობისა და დანაშაულობის ესკალაცია. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ მილიციის ძალები დაქსაქსულია, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ჩეჩნეთშია გადასროლილი, განაცხადა ჩერნომირდინმა და ამით გაამართლა ბრძანებულება შინაგან საქმეთა ჯარების გამოყვანის შესახებ.

შეხვედრები ბარვიხაში

პრეზიდენტმა ბორის ელცინმა გუშინ ბარვიხაში მიიღო პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ჩერნომირდინი, რომელსაც ესაუბრა პენსიებისა და ხელფასების დავალიანების დაფარვის, სოციალური პოლიტიკის გაუმჯობესების საკითხებზე.

საღამოს პრეზიდენტი შეხვდა საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი პრიმაკოვს, დაამტკიცა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირზე წარსაგზავნი დელეგაციის შემადგენლობა, რომლის ხელმძღვანელადაც დანიშნა ვიქტორ ჩერნომირდინი.

დეპუტატები იმპიჩმენტზე თავს იკავებენ

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს გუშინდელ რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატებმა თავი შეიკავეს უნდობლობის საკითხის აღძვრისაგან და დასჯერდნენ რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის საკითხის განხილვას. როგორც ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ჟირინოვსკიმ განაცხადა, „პრეზიდენტისა და მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხი დღეს თუ არა, უახლოეს ხანებში მაინც დადგება". ხოლო ვიქტორ ილიუხინმა, პარლამენტის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ, დეპუტატები გააფრთხილა, რომ „ჩეჩნეთს ახლა ინგუშეთიც უერთდება და ისინი რუსეთს ერთად გამოეყოფიანო".

აფეთქდა სახლი

ინდოეთის დედაქალაქ დელის გარეუბანში საყოფაცხოვრებო გაზის აფეთქების შედეგად დაინგრა რამდენიმე საცხოვრებელი სახლი. არის მსხვერპლი.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 29 ნოემბერი **ქ. თბილისი**

საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო კონცერნ „საქავტოგზის" თანამშრომლების საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

ქ. ამბროლაურში მდინარე რიონზე ხიდის მშენებლობაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისა და მისი მოკლე ვადაში დამთავრებისათვის საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო კონცერნ „საქავტოგზის" თანამშრომლები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით:

ღირსების ორდენით:
მერაბ მაღლაკელიძე – მცხეთის „ხიდმშენის" სარემონტო სამმართველოს მემონტაჟეთა ბრიგადირი.

ღირსების მედლით:
ნოდარ აფციაური – მცხეთის „ხიდმშენის" სარემონტო სამმართველოს ამწეს მემანქანე;
ნოშრევან ბურჭულაძე – მცხეთის „ხიდმშენის" სარემონტო სამმართველოს უფროსი;
გელა მელაშვილი – ამბროლაურის საგზაო სამმართველოს უფროსი;
ვალოდია სამხარაძე – მცხეთის „ხიდმშენის" სარემონტო სამმართველოს მემონტაჟე;
გივი სხილაძე – მცხეთის „ხიდმშენის" სარემონტო სამმართველოს მემონტაჟე;
ილია ღვინაძე – მცხეთის „ხიდმშენის" სარემონტო სამმართველოს მძღოლი;
თამაზ შაიშმელაშვილი – საქართველოს სახელმწიფო კონცერნ „საქავტოგზის" თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ე. შევარდნაძე.

ქ. ამბროლაურში, მდინარე რიონის ხიდის მშენებლობის მოკლე ვადაში დამთავრებისათვის, საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო კონცერნ „საქავტოგზის" თანამშრომელთა ჯგუფს, პრეზიდენტის განკარგულებით, გამოეცხადათ მადლობა.

მკითხველს!

„ლაზიერი" № 2

ჩვენი გაზეთის საჭადრაკო დამატება „ლაზიერის" პირველი ნომრის გამოსვლიდან თვე გავიდა და, შეპირებისამებრ, დღეს მორიგ „ლაზიერს" შეხვდებით.

64 უჯრაზე დუღს და გადმოდუღს ცხოვრება – ჭადრაკის სამყაროში მრავალი საინტერესო ფაქტი და მოვლენა მოხდა ამ მცირე დროში.

აი, თუნდაც სულ ბოლო ინფორმაცია ესპანეთის ქალაქ სუანკესიდან, სადაც გაიმართა დიდი საერთაშორისო ტურნირი 120 მოჭადრაკის მონაწილეობით. ქართველმა დიდოსტატმა **ზურაბ აზმაიფარაშვილმა** 9 შეხვედრიდან 7,5 ქულა მოაგროვა, პირველი ადგილი დაიკავა და უკან მოიტოვა 25 დიდოსტატი.

6-7

საქართველოს რესპუბლიკა
№241. შაბათი, 30 ნოემბერი, 1996 წელი.

საქართველოს კანონი

საქართველოს ენერგეტიკის რეაბილიტაციისათვის სახელმწიფოებრივი ხელშეწყობის ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე

საქართველოს ენერგეტიკის სარეაბილიტაციო პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი ოპერაციებისა და სამუშაოების დაბეგვრის მოწესრიგების მიზნით საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საქართველოს მთავრობებს შორის სამთავრობათშორისო ფინანსური თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებების საფუძველზე „კრედიტანშალტ ფიურ ვიდერაუფბაუსთან" 1996 წლის 16 იანვარს 13,0 მილიონ გერმანულ მარკაზე, 1996 წლის 26 ივლისს 10,0 მილიონ და 40,0 მილიონ გერმანულ მარკაზე, აგრეთვე ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან 1994 წლის დეკემბერში 18,1 მილიონ აშშ დოლარზე გაფორმებულ საკრედიტო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საქართველოს ენერგეტიკის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში (სტრუქტურისა და მოცულობის გათვალისწინებით) ამ ხელშეკრულებების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში გათავისუფლდეს:

ა) იმპორტული მასალები, ნახევარფაბრიკატები და მოწყობილობა-დანადგარები — საბაჟო და დამატებული ღირებულების გადასახადებისაგან;

ბ) შესრულებული სამუშაოები — დამატებული ღირებულების გადასახადისაგან.

2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე. „კრედიტანშალტ ფიურ ვიდერაუფბაუსთან" 1996 წლის 26 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების მიმართ კანონი ამოქმედდეს ამ ხელშეკრულების საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1996 წლის 12 ნოემბერი.

საქართველოს კანონი

მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. შეიქმნას მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი.

ამასთან დაკავშირებით „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს 1995 წლის 8 დეკემბრის კანონის მე-7 მუხლს აბზაცის „მატერიალური რეზერვების" შემდეგ დაემატოს აბზაცი „მიწის მართვის".

2. მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ძირითად ფუნქციად განისაზღვროს მიწის მიზნობრივი გამოყენების და დაცვის სახელმწიფო კონტროლი, მიწის სახელმწიფო კადასტრის და რეგისტრაციის წარმოება, ნიადაგის დაცვა.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სახელმწიფო ბიუჯეტში გაითვალისწინოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის აპარატის დაფინანსების ხარჯები.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1996 წლის 13 ნოემბერი.

საქართველოს კანონი

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

I. „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონის („პარლამენტის უწყებანი", 1996 წ., № 25-26) 62-ე მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ეს კანონი ამოქმედდეს 1997 წლის 1 თებერვლიდან".

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1996 წლის 26 ნოემბერი.

ვიზიტის წინ

თბილისი-ლისაბონი:

ისტორიის იშვიათი რელიკვია

პორტუგალიის კავშირგაბმულობის ისტორია ქვეყნის საერთო ისტორიის შემადგენელი ნაწილია, რადგან როგორც ახლა, ისევე წინათაც სატელეგრაფო კავშირი ხელს უწყობდა ქვეყნის ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებას.

ამჟამად, საინტერესოა, ახლახან თბილისში აღმოჩენილი პორტუგალიის უნიკალური რუკა, რომელიც საშუალებას გვაძლევს თვალნათლივ წარმოვიდგინოთ, როგორი იყო აქ ერთიანი სატელეფონო ქსელი 1860 წელს.

პორტუგალიის დედაქალაქი და მნიშვნელოვანი საზღვაო ნავსადგურია ლისაბონი. ქალაქიდან ქვეყნის ტერიტორიაზე ორი სატელეგრაფო მაგისტრალი გადიოდა.

ლისაბონიდან ერთ-ერთი მაგისტრალით სატელეფონო კავშირი იყო დამყარებული ქალაქ ელვასთან. მაგისტრალის ერთი განშტოება ქალაქ ბეჟას უერთდებოდა. ბეჟა დეპეშებს უცვლიდა ესპანეთის ქალაქ სევილიას. ლისაბონს დეპეშების გაცვლა შეეძლო აგრეთვე ესპანეთის ქალაქ ბადახორთან. ასე რომ, ლისაბონი სამი მიმართულებით ცვლიდა საერთაშორისო დეპეშებს. რასაკვირველია, ეს საშუალებას აძლევდა პორტუგალიას დეპეშები გაეცვალა ევროპის სახელმწიფოებთან.

თბილისში აღმოჩენილი რუკის მიხედვით 1860 წელს პორტუგალიაში მუშაობდა 29 სატელეგრაფო სადგური, აქედან ხუთი—მთელი დღე-ღამის განმავლობაში, დანარჩენები კი დღის საათებში. ამაზე მიუთითებს რუკაზე აღნიშნული ნიშნები.

საინტერესო ფაქტი: როცა 1870 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა მსოფლიოში უგრძელესი სატელეგრაფო ხაზი ლონდონი-თბილისი-კალკუტა, პორტუგალიის დეპეშები ინდოეთს, ჩინეთსა და იაპონიას თბილისის გავლით გადაეცემოდა, და ეს ასე იყო 1931 წლამდე. თბილისი ლისაბონისათვის უმნიშვნელოვანეს სატრანზიტო ქალაქს წარმოადგენდა.

თბილისში მოკვლეულმა დოკუმენტმა, შესაძლებელია, პორტუგალიელი ისტორიკოსებისა და ამ ქვეყნის კავშირგაბმულობის უწყების გარკვეული ყურადღება მიიპყროს, მით უმეტეს, რომ უნიკალური სატელეგრაფო რუკა ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკშია შედგენილი და მასზე ფინური წარწერებია.

ერთი რამ ცხადია, რუკა პორტუგალიის კავშირგაბმულობის ისტორიის იშვიათი რელიკვიაა.

საქინფორმი.

პირველი ტელეფონი და პირველი ტრანსლაცია

თბილისში აღმოჩენილია საინტერესო დოკუმენტური მასალა ლისაბონში პირველი საქალაქო სატელეფონო ქსელის შექმნისა და იქაური თეატრიდან ოპერის პირველი ტრანსლაციის თაობაზე.

როგორც ირკვევა, პორტუგალიის დედაქალაქში 1893-1894 წლებში ამოქმედებულა საერთო სარგებლობის სატელეფონო ქსელი, რომელსაც მოსახლეობის დიდი დაინტერესება გამოუწვევია. ამასთან დაკავშირებით ლისაბონის გაზეთებში ტარიფებიც გამოქვეყნებულა.

ლისაბონში სატელეფონო ქსელის შექმნის შემდეგ შემოიღეს ბინებში ოპერის მოსმენა — სადენიანი ტრანსლაცია.

თბილისელებისათვის ბინებში ოპერების გადაცემა 1893 წელს დაიწყო. პირველად ტრანსლირებული იყო „აიდა". მსოფლიოში სადენიანი ტრანსლაცია პირველად 1881 წელს პარიზში გამართულ მსოფლიო ელექტროტექნიკურ გამოფენაზე მოეწყო და აქ ოპერის მსახიობებს პარიზში მყოფმა სტუდენტმა ისიდორე წერეთელმა ტელეფონით მოუსმინა. იმდროინდელი ამ სენსაციური ამბის გამო მან გაზეთ „დროებაში" ვრცელი წერილი გამოაქვეყნა.

თბილისში ინახება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასთან პორტუგალიის დამაკავშირებელი წყალქვეშა სატელეგრაფო კაბელების სქემები და 1884 წელს პარიზში პორტუგალიის მეფის დავალებით ხელმოწერილი დეკლარაცია — „სატელეგრაფო კაბელების დაცვის საერთაშორისო კონვენციის" ტექსტი რუსულ და ფრანგულ ენებზე.

თბილისში მოკვლეული დოკუმენტური მასალა კავშირგაბმულობის საშუალებათა გამოყენების შესახებ პორტუგალიის კავშირგაბმულობის ისტორიის საინტერესო ფურცელია.

ანდრე კარბელაშვილი.

რეგიონი

მითუმეტეს, თავსაფარი თეთრი იყო...

აქ ასე სჩვევიათ, წესი ჰქონიათ ასეთი: რაიონის ხელმძღვანელობა სტუმრებს სადღაც შუა გზაზე ეგებება და მერე რაიონში ერთად შედიან. გამოცილებისას კი ღამის მეორე რაიონამდე გამოგაცილებენ. ხომ ლამაზი ჩვეულებაა?

ნინოწმინდის გამგებელზე მინდა ვთქვა, რაფაელ არზუმანიანზე. რომელი გავიხსენო, მისეული დახვედრა, გაცნობა თუ გამოცილება.

გაცნობისას მითხრა, თქვენი გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" ძალიან მომწონსო. მასპინძლის სასიამოვნო კომპლიმენტი იყო, ქართული არ იცის და ჩვენს გაზეთს თარგმანით კითხულობს.

ყველგან, სადაც მივედით, ბატონი ბადრი ხატიძე გამგეობებში აქტივთან თათბირებს ატარებს. უფრო სხვა სახელი მოუხდებოდა ამ შეხვედრებს, მაგრამ ასე დავარქვათ. მაგალითად დამამახსოვრდა ერთ-ერთი სამუშაო თათბირი ბორჯომში, თათბირის ბოლოს ლტოლვილებთან შეხვედრა. ითქვა, რომ სანატორიუმ „მთის ხეობაში" მცხოვრებ ლტოლვილებს საერთოდ არ მიეწოდებათ ელექტროენერგია. გამოსაცვლელია მთლიანად სანატორიუმის ელექტროსისტემა, რაც დაახლოებით 10 000 ლარი ჯდება. რაიონის ბიუჯეტიდან ასეთ თანხას ვერ გადაიხდიან, თუ თბილისი არ დაეხმარა. თბილისს კი თავისი გასაჭირებია.

— მუნიციპალური ელექტროკომპანიიდან ამოიღეთ ეს თანხა და სანატორიუმის ელექტროსისტემა გამოცვალეთ, — იქვე გადაჭრა პრობლემა ბადრი ხატიძემ.

წინა რიგში ორი ლტოლვილი ქალი იჯდა. ადგნენ. მადლობას ერთმანეთს ვერ ასწრებდნენ. თვალებში გაკვირვება და დაუჯერებლობა ეხატათ. როგორი საქმეა, ოთხი წელია სიბნელეში სხედან, და აგერ წამში საქმე გაკეთდა.

ამ შეხვედრების მიზანიც ეს იყო. კონკრეტული საქმეები, კონკრეტული ამოცანები, გადაწყვეტის ასევე კონკრეტული გზები. დევიზი: — „ზევიდან" კი დაგვეხმარებიან, მაგრამ რაიონმა მაინც თვითონ უნდა მიხედოს თავს. ამას მოითხოვს საბაზრო ეკონომიკა.

მაგრამ სათქმელს გადავუხვიე. ნინოწმინდაზე და მის გამგებელზე ვყვებოდი.

ნინოწმინდის რაიონი სამცხე-ჯავახეთის უკიდურესი სამხრეთი რაიონია. ესაზღვრება მეზობელ სომხეთის რესპუბლიკას.

ჯერ კიდევ ახლო წარსულში რაიონი განთქმული იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონითაც და სამრეწველო საწარმოთა განვითარებული ქსელით: გაერთიანება „ბახტრიონის" სამი საწარმო, სამკერვალო ფაბრიკა, თბილისის საავიაციო ქარხნის ფილიალი, ხორცკომბინატი, მანქანათმშენებელი და ყველ-კარაქის ქარხნები. აი, იმ საწარმოთა ნუსხა, რომლებსაც ყოველდღიურად ათობით მილიონი მოგება შეჰქონდა ადგილობრივ ბიუჯეტში.

რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ეკონომიკურად ძლიერი იყო. მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების დონით რაიონი პირველი იყო რესპუბლიკაში. უწინდელი ეკონომიკური ურთიერთობების ნგრევამ ჩიხში მოაქცია საზოგადოებრივი მეურნეობები. ამასთან, მიწის რეფორმის პირველი ეტაპის განხორციელების დროს დაშვებულმა აშკარა დარღვევებმა საზოგადოებრივ მეურნეობებს ჩამოაშორა რამდენიმე ათას ჰექტარზე მეტი სახნავი მიწა, რამაც პირუტყვის სულადობის მკვეთრი შემცირება გამოიწვია.

რაიონის ხელმძღვანელობა თვლის, რომ აქ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ლიკვიდაციაზე ადრეა ლაპარაკი, იმიტომ, რომ მათ რეალური ალტერნატივა არ გააჩნიათ. თუ დღეს რაიონი სუნთქავს, მათი აზრით, ისევ იმ დაჩიავებული კოლმეურნეობების დამსახურებაა. კოლმეურნეობა რომ არა, დაიხურებოდა საავადმყოფო, საბავშვო ბაღები, სკოლები.

რაისაავადმყოფოსათვის საწვავის შეძენას, სტაციონარებში ავადმყოფთა კვების ორგანიზაციას, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რემონტსა და სასწავლო ნივთების შეძენას, საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა კვებას რაიონის ხელმძღვანელობა შენარჩუნებული საზოგადოებრივი მეურნეობების წყალობით ახერხებს.

სერიოზული სიძნელეების გადალახვა უხდებათ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების სტაბილურობის შესანარჩუნებლად. დიდი ძალისხმევით მოხერხდა თესვის კამპანიის ორგანიზებულად ჩატარება. თესლის, საწვავ-საცხები მასალების შეძენას სხვადასხვა გზების გამონახვა დასჭირდა. ეს ყველაფერი უნდა მოეძებნათ, გაეცვალათ როგორც რესპუბლიკაში, მის ფარგლებს გარეთაც. შედეგად — მიწის არც ერთი ჰექტარი საზოგადოებრივ მეურნეობებში დაუმუშავებელი არ დარჩა. მიღებულია საკვები კულტურების კარგი მოსავალი.

უდავოა, პიროვნების, განსაკუთრებით ხელმძღვანელის როლი რჩება ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორად ყოველი საქმის წარმატებაში — ასეთად ეიმედებათ აქაურებს რაფაელ არზუმანიანი.

ნინოწმინდის რაიონი მდიდარია ისეთი ძვირფასი მასალებით, როგორიცაა პემზა, ქვა, ქვიშა, რასაც ვერ იყენებენ, საკუთარი ძალით ვერ ამუშავებენ. გამგებლის აზრით, მათი გონივრული გამოყენება გადაარჩენდა არა მარტო რაიონს, დაეხმარებოდა რესპუბლიკასაც.

ბევრი რამ შეიძლებოდა თქმულიყო ნინოწმინდაზე, — მის შრომისმოყვარე ხალხზე, მაგრამ ორ დღეში სხვა რაიონებიდანაც იმდენი შთაბეჭდილება გამომყვა, სად ჩავატიო!

მინდა გავიხსენო ჩვენი „ვიზიტი" საქართველო-თურქეთის საზღვრის — ვალეს საგუშაგოზე.

როგორც მკითხველისათვის არის ცნობილი, შარშანდელი წლის იანვარში საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო დეპარტამენტის სისტემაში შეიქმნა სამცხე-ჯავახეთის საბაჟო, რომელიც ახალციხის (ვალეს) და ნინოწმინდის საგუშაგოებისაგან შედგება.

საბაჟოს საშუალებით იქმნება პირველი შთაბეჭდილება რესპუბლიკაზე, პირველი შთაბეჭდილება კი რა ძლიერი არის, კარგად მოგეხსენებათ. დღეს ჩვენს საგუშაგოებზე რუსებთან ერთად ქართველებიც დგანან. ერთი მათგანი გავიცანი — 23 წლის ვანო წვერავა რაჭიდან. რაც იქ ვიყავით, სულ „სმენაზე" იდგა, თვალი არ დაუხამხამებია.

ჩვენი მასპინძელი სამცხე-ჯავახეთის საბაჟოს უფროსი ჯამბულ ლონლაძე იყო.

— ნაზირბეი! — გასძახიან თურქეთის მხარეზე თავიანთ კოლეგას.

ნაზირბეი საზღვართან მოდის. არის ერთი სალამ-ქალამი. ცოტა ქართული იმან იცის, ცოტა თურქული ამათ იციან. მერე ნაზირბეი საერთოდ ჩვენს ტერიტორიაზე შემოდის. ვეკითხებით:

— მოძრაობა დიდი გაქვთ?

— გამოსწორდა. თანდათან მატულობს.

— ჩვენთან რამე პრობლემა ხომ არა გაქვთ?

— არავითარი. ძმები ვართ! (იცინის).

ქარმა თავსაფარი წამართვა. ცოტაც და თურქეთის საზღვარზე გადაფრიალდებოდა. ძლივს დავიჭირე. კიდევ კარგი, თორემ ნაზირბეის შევაწუხებდი. თუმცა, რატომ, იქნებ მეც შევეშვი. მით უმეტეს, თავსაფარი თეთრი იყო...

მზია გელენავა.
(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ". № 239.

პრესკონფერენცია

გულახდილი საუბარი

კარგ ტრადიციას ამკვიდრებს ტრანსპორტის სამინისტრო, რომლის ხელმძღვანელობა მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებით თვითონ იწვევს ხოლმე ჟურნალისტებს. ასე იყო ამჯერადაც.

ამ რამდენიმე დღის წინათ სოფიაში გამართვდა ბისეკისა და შავი ზღვის აუზის ეკონომიკური ორგანიზაციის ცენტრალური ქვეყნების ტრანსპორტის მინისტრების შეხვედრა. მათ შორის იყო საქართველოს ტრანსპორტის მინისტრი **მერაბ ადეიშვილი.**

სწორედ ამ შეხვედრასა და მომავლის გეგმებზე ესაუბრა ჟურნალისტებს გამართულ პრესკონფერენციაზე შეხვედრიდან დაბრუნებული მინისტრი.

დღეს სამინისტრო ასრულებს მაკოორდინირებელი ორგანოს ფუნქციებს, — თქვა მან. — მთავარია, ჩამოყალიბდეს ინსტიტუციონალური სამინისტროს სტრუქტურები. არ შეიძლება ვილაპარაკოთ ევროპის დერეფანზე, თუ არ გავხსენით საავტომობილო და სარკინიგზო ბორნები.

უკვე გაიხსნა ბურგას-ფოთის საავტომობილო ბორანი. პირველ რეისზე ბულგარეთიდან 17 მანქანა ჩამოვიდა, აქედან არც ერთი არ გასულა, აი, მეორე რეისის დროს კი უკვე 52 მანქანა ჩამოვიდა და 42 წავიდა. ეს უკვე დიდი შედეგია.

წლის ბოლომდე საქართველოს სანაოსნოს უკვე ექნება ახალი ტიპის საკუთარი ბორანი, ორ თვეში დასრულდება მუშაობა ნოვოროსიისკ-ბათუმის მიმართულებით.

მინისტრის თქმით, ბიუჯეტთან დამოკიდებულება თუ მოწესრიგდა, ყველაფერს ეშველება. რეზერვები არის სარკინიგზო და საჰაერო ტრანსპორტზე. მიმდინარეობს ფოთი-ოდესის მიმართულების სარკინიგზო ნავსადგომის მშენებლობა. ჩვენს სანაოსნოს თავისი დროშით ექნება საკუთარი ბორანი. მსოფლიო ბანკთან, ევრობანკთან გვექნება საინვესტიციო სისტემა.

ჟურნალისტთა შეკითხვაზე, ხომ არ არის მოსალოდნელი ტარიფების გაზრდა, მინისტრმა უპასუხა, რომ არათუ მომატება, პირიქით, რკინიგზაზე მგზავრთა ნაკადის შემცირების გამო ტარიფები დაიკლებს.

ამ დღეებში ჩამოყალიბდება სახელმწიფო ავიაკომპანია ჯორჯიან-ერლაინსი, რომლის დამფუძნებელი საქართველოს მხრიდან არის საჰაერო დეპარტამენტი, ამერიკის მხრიდან — გლობალერსერვისი. ახალ ავიაკომპანიას ეყოლება „ბოინგის" ტიპის თვითმფრინავები.

მინისტრმა ყურადღება გაამახვილა მძღოლთა სამედიცინო მომსახურების საკითხებზე.

ნანა სულავა.

---

30 ნოემბერი სახელმწიფო უშიშროების მუშაკთა დღე

სახელმწიფო საქმიანობის სამი ყველაზე მთავარი საზრუნავია — სამშობლოს უშიშროება, სამშობლოს კეთილდღეობა და სამშობლოს სახელი. ამ ეროვნულ ინტერესს, ყველასთან ერთად, ემსახურება სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო.

ამ სპეცსამსახურმა უკანასკნელ პერიოდში რთული გამოცდა გაიარა, სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელობამ მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. სამინისტროს, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოების გარანტი უნდა იყოს, მისი კორუმპირებული, უზნეო და მოღალატე ტერორისტი ხელმძღვანელების წყალობით, მნიშვნელოვნად შეებლალა ავტორიტეტი ჩვენს საზოგადოებაში.

მაგრამ მან ვაჟკაცურად სძლია ამ გამოცდას. თავისი რიგებიდან მოიკვეთა 90-მდე ოფიცერი, მათ შორის მესამედი — სამსახურებრივი შეუფერებლობის გამო. საკადრო პოლიტიკაში გატარებულმა თვითწმენდის პროცესმა, რომელიც ახლაც გრძელდება, საშუალება შექმნა რიგები შეევსო გამოცდილი, მოაზროვნე თანამშრომლებით, შედეგიც არ აყოვნებს.

დღესდღეობით უშიშროების სამინისტროში მკაცრად არის განსაზღვრული მუშაობის პრიორიტეტული მიმართულებები. სამინისტრო, პირველი რიგის ამოცანათა შორის, უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებს ტერორიზმთან, ორგანიზებულ დამნაშავეობასთან, კორუფციასა და საერთაშორისო ნარკობიზნესთან ბრძოლას, რისთვისაც თავიდან შექმნა შესაბამისი სამსახური. თავიდან იმიტომ, რომ ყოფილი ხელმძღვანელობის პირობებში ეს დანაყოფი თვით წარმოადგენდა ტერორისტული აქტების დაგეგმვისა და განხორციელების კერას. ამჟამად ტერორიზმთან ბრძოლის ბიურო დაკომპლექტებულია შესაბამისი კადრებით და მუშაობს კონკრეტული შედეგების მისაღწევად.

ტერორიზმისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის გაფართოებამ არაერთი ქვეყნის სპეცსამსახურები აიძულა გადასულიყვნენ ორგანიზებული დამნაშავეობის ამ ფორმებთან კოლექტიური ბრძოლის მეთოდებზე. საქართველოს სუს-ი მჭიდროდ თანამშრომლობს შავი ზღვის ქვეყნების სპეცსამსახურებთან საერთაშორისო ნარკობიზნესის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში, არის შავი ზღვის აუზის ინფორმაციის ურთიერთგამცვლელი ცენტრის აქტიური წევრი.

ნარკოტიკების ბრუნვის შესახებ მოპოვებული მონაცემების ანალიზმა ცხადყო, რომ საქართველო, მისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გამო, საერთაშორისო ნარკომაფიის მიერ განიხილება როგორც აზიიდან, განსაკუთრებით კი ე. წ. ოქროს ნახევარმთვარის ქვეყნებიდან, ევროპასა და აშშ-ში ნარკოტიკების გადაზიდვის ერთ-ერთ მოკლე და ხელსაყრელ სატრანსპორტო გზად.

თუ საჭირო გახდა, საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი...

პრობლემის სერიოზულობას და მისდამი ხელისუფლების დამოკიდებულებას ადასტურებს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის მიღება.

ვითარდება თანამშრომლობა დსთ ქვეყნების სპეცსამსახურებს შორისაც. დაიდო ხელშეკრულება თანამეგობრობის მასშტაბით ოპერატიულ მონაცემთა ბანკის შესაქმნელად.

განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმ დადებით ტენდენციებს, რომლებიც რეალურად აისახება სამინისტროს საჯარისო ფორმირებების ყოველდღიურ ცხოვრებაში.

განახლდა პირადი შემადგენლობა, შეიცვალა კადრების შერჩევის პრინციპი, აღდგა და შეძენილია მძიმე ტექნიკა, გაუმჯობესდა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, განმტკიცდა დისციპლინა. განხორციელებული ღონისძიებების შედეგად ჩამოყალიბდა, სრულყოფილი სახე მიიღო სადესანტო-მოიერიშე ბრიგადამ. იგივე ითქმის სპეციალურ საბრძოლო დანაყოფებზე „ალფაზე", „ომეგასა" და „დელტაზე", რომლებიც გაიწმინდა სახელგატეხილი, საეჭვო რეპუტაციის თანამშრომლებისაგან და დაკომპლექტდა მაღალკვალიფიციური, სამშობლოს ერთგული მებრძოლებით. მათ მიერ განხორციელებულმა გონივრულმა ოპერაციებმა ნათლად დაგვარწმუნა მაღალ ოსტატობასა და შესაფერის მომზადებაში.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა უშიშროების სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც სავალალო მდგომარეობაში იყო. აღორძინდა ოპერატიულ-ტექნიკური სამსახური. სამინისტროს სტრუქტურაში მოქმედებს მძლავრი სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური მეცნიერული კადრებით.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოთა კადრებით უზრუნველყოფაში თავისი წვლილი შეაქვს უშიშროების სამინისტროს აკადემიას. მისი სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალი ქვეყნის უშიშროებისათვის მებრძოლთა რიგების უწყვეტი შევსების საიმედო გარანტია.

საქართველოს იმედი აქვს, რომ სამინისტროს ხელმძღვანელობა კვლავაც გაატარებს კურსს, რათა აქ პასუხისმგებლობა, უანგარობა და მაღალი პროფესიონალიზმი დომინირებდეს, ღირსეულთა გვერდით მხოლოდ ღირსეული იდგნენ.

საქართველოს სჯერა, რომ უშიშროების მუშაკები სახელმწიფოს დაიცავენ თავიანთი სიცოცხლის ფასადაც კი, თუ ამის საჭიროება შეიქმნება, სამშობლოს ააცილებენ ხიფათს, ნებისმიერ საშიშროებას. მათს საქმიანობაში გამოირიცხება შეცდომა, ტენდენციურობა, პირადი ამბიციები, უპირველესი იქნება სახელმწიფო ინტერესები, სამშობლოს ბედი, ხალხის უსაფრთხოება. ადამიანი დედამიწაზე უმთავრესი ღირებულებაა და მისი უფლებების დაცვა არ შეიძლება ჰქონდეს საზღვრები.

მოურჩენელ იარად დარჩება აფხაზ სეპარატისტთა მიერ მოწყობილი გენოციდი. მათი ყოვლად გაუმართლებელი და არაადამიანური მიზნების განხორციელებას უდანაშაულო ხალხის სიცოცხლე შეეწირა, საქართველოს ულამაზესი, ისტორიით მდიდარი და ძირძველი კუთხე სასაკლაოდ იქცა. ყველამ კარგად იცის რა შედეგები მოჰყვა გენოციდის სულისჩამდგმელთა მიერ ეგრეთწოდებული „დემოკრატიული" არჩევნების ჩატარებას. მსოფლიო საზოგადოებრიობამ თავისი უმნიშვნელოვანესი ტრიბუნიდან დაგმო და უარყო პოლიტიკური ფარსი. აღდგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, იზეიმებს მშვიდობა, ძმობა და მეგობრობა, არაკაცები, მკვლელები კი, რა მანტიითაც უნდა შემოსონ, პასუხს აგებენ.

უშიშროების მუშაკთა ნიჭი, ინტელექტი, პროფესიონალიზმი, ურეკლამოდ, უხმაუროდ ხმარდება ქვეყანას, სამშობლოს. ისინი ღალატს, შეცდომას არავის აპატიებენ. ისინი მტკიცე კედლად აღდგებიან სამშობლოს, მის ტერიტორიულ მთლიანობას, არ დაიხევენ მტრის წინაშე.

საქართველო დასძლევს პრობლემებს, აღსდგება ტერიტორიული მთლიანობა, იზეიმებს შრომა, სიკეთე, სამართლიანობისა და ძმობის სიყვარული. საქართველო ღირსეულ ადგილს დაიკავებს მსოფლიო ხალხთა თანამეგობრობაში.

მადლობა ყველას, ვინც სახელმწიფო უშიშროების მსახურებაში მოვალეობას ღირსეულად ასრულებს. ვულოცავთ მათ ეროვნულ უშიშროების მუშაკთა დღეს.

არის ასეთი ძალა

აფხაზეთის ომმა ჩვენი ბევრი ნაკლი წარმოაჩინა. არ იყო რეგულარული ჯარი, არ იყო გაწვრთნილი, მებრძოლი ხალხი, რომელიც საკადრის პასუხს გასცემდა სეპარატისტებსაც და გადამთიელ დაქირავებულ ბოევიკებსაც, რომელთაც კაცის კვლა და ამით ფულის ხვეჭა ხელობად, თამაშად უქცევიათ.

დღეს თავდაცვის სამინისტრო თავის საქმეს ნაბიჯ-ნაბიჯ აკეთებს, მაგრამ არც უშიშროების სამინისტრო ზის გულხელდაკრეფილი. სათანადო ძალა მასაც სჭირდება. შენს თავს რომ მიხედო, — ძლიერი, ძალზე ძლიერი უნდა იყო ყველა სფეროში.

უშიშროების სამინისტროს ჰყავს სპეციალური დანიშნულების რაზმები: „ალფა", „ომეგა", „დელტა" (სხვათაშორის, „დელტა" დაკომპლექტებულია უშუალოდ აფხაზეთიდან ლტოლვილი ახალგაზრდებით); ჰყავს აგრეთვე სადესანტო-მოიერიშე ბრიგადა, რომელიც ყველა პარამეტრებით ამართლებს თავის მრისხანე სახელს. ეს ბრიგადა, პოლკოვნიკ კობა ოთანაძის მეთაურობით, პირადი შემადგენლობით, ტექნიკით, საბრძოლო აღჭურვილობით, როგორც იტყვიან, ფეხზე დგება სულ რაღაც 7-8 წუთში და მზადაა საქართველოს ნებისმიერ კუთხეში გავიდეს ნებისმიერი დავალების შესასრულებლად.

მუხროვანში არის სამხედრო პოლიგონი, სადაც ხშირად არა, მაგრამ წელიწადში 2-3-ჯერ მაინც ეწყობა საჩვენებელი წვრთნები. ვინც ამ საჩვენებელ წვრთნებს ესწრება (საპატიო სტუმართა შორის თითქმის ყოველთვის არიან პარლამენტარები, მინისტრები, მწერლები, მეცნიერები, ხელოვნების მუშაკები) — უთუოდ იტყვის, რომ უშიშროების სამინისტროს დასახმარებლად სხვაგან გახედვა აღარ სჭირდება. დაკისრებულ ფუნქციებს იგი თავადაც მშვენივრად გაართმევს თავს.

საჩვენებელი წვრთნები, რომლებსაც უშუალოდ წარმართავს ბატონი შოთა კვირაია, ყოველთვის რეალურადაა მიახლოებული საბრძოლო მოქმედებებს. უმაღლეს პროფესიულ დონეზე სრულდება თითოეული ოპერაცია, — ტერორისტული დაჯგუფებების გამოვლენა და დატყვევება იქნება ეს თუ სატრანსპორტო საშუალებების ბლოკირება და დაპყრობა, დაკავებული ტერიტორიის გაწმენდა და გაკონტროლება თუ მტერთან პირისპირ შებმა და გაკოჭვა... ნათქვამია, ქებას ნახვა სჯობიაო, მაგრამ მაინც ვიტყვი: — ეს ბიჭები „ვეფხის კბილში" გადიან, რკინას კვნეტენ, ტყვიას ტყვიაში აჯენენ...

სულ ახლახან — 20 ნოემბერს — მუხროვანში ახალწვეულებმა საბრძოლო ფიცი მიიღეს, „ძველწვეულებმა" თავიანთი საბრძოლო ხელოვნება წარმოაჩინეს.

მაშინ ფრიად ავტორიტეტულმა პირებმა ერთხმად აღიარეს, რომ საქართველოს მომავალი ამ ბიჭების კისერზეა, რომ მათ ძალუძთ, — დაჭრილ მამულს იარები შეუხორცონ და იგი ძველებურად გაამთლიანონ, გაამაყონ!

ერთ-ერთ ინტერვიუში ვლადისლავ არძინბას განუცხადებია: საქართველოში არ მოიძებნება ძალა, რომელიც წინ აღუდგება აფხაზეთის არმიასო. თუ იგი ერთხელ მაინც ნახავს ჩვენი სპეცრაზმების საჩვენებელ წვრთნას, გუნება ნამდვილად გაუფუჭდება. არის ასეთი ძალა!

გონდო გულიაშვილი.

სრულიად
არასაიდუმლოდ

„სრულიად არასაიდუმლოდ"

საიდუმლო სამსახურის შესახებ

უშიშროების სამსახურის მუშაკთა დღე დამოუკიდებელ საქართველოში პირველად აღინიშნება. ამ ღირსსახსოვარ მოვლენას თავისი სპეციალური ნომერი მიუძღვნა გაზეთმა „სრულიად არასაიდუმლოდ" (მთავარი რედაქტორი — გიორგი სანადირაძე). წაიკითხეთ იგი. აქ დასტამბულ მასალებში, ჩვენი სახელოვანი ადამიანების პუბლიკაციებში საინტერესო და გულახდილი საუბარია იმაზე, რომ დღევანდელი უშიშროების სამსახური მართლაც ქვეყნისა და ხალხის სამსახურშია, მართლაც ერის უსაფრთხოებისა და თითოეული ჩვენგანის უფლებათა დაცვის გარანტია.

რაინდებს არ ივიწყებენ

ოფიციალურად ამ მოკრძალებულ კომპლექსს „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ თანამშრომელთა მემორიალი" ჰქვია. ეს ოფიციალურად. სინამდვილეში? 1993 წლის სექტემბრის იმ ბოლო, ცოცხალ დღეებში შოლტივით ბიჭები სოხუმში მარტოოდენ სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად არ მიდიოდნენ. პირიქით ვთქვათ — ისინი მიდიოდნენ სისხლის გასაღებად, თავის დასადებად, მამულის ფეხვში ჩასადგომად.

თავად განსაჯეთ: სოხუმი ალყაშია, ტყვია წვიმს, მიწაც გუგუნებს და ცაც... აეროდრომს ბომბავენ, თვითმფრინავებს ზღვიდან რაკეტებს უშენენ... და ამ დროს თბილისიდან უშიშროების სამსახურის თანამშრომლები წარბშეუხრელად მიფრინავენ: იქნებ კიდევ რაიმე ვუშველოთ, იქნებ კიდევ გადავარჩინოთ...

ვერა, ველარ უშველეს, ველარ გადაარჩინეს... მათი თვითმფრინავი აეროდრომის ცაზე აფეთქდა და განწირული ლაინერი ფერფლად ქცეული მგზავრებით ბეტონის ფილებს დაანარცხეს... ეს საშინელი კადრი ვისაც ეკრანზე ენახა, მან ნახა. სწორედ ამ კადრში ჩაიწვა ათობით უკვდავი სიცოცხლე.

დეკემბერში კი, ზუსტად ერთი თვის შემდეგ, საქართველოს სახელმწიფო მეთაურის სპეციალური ბრძანებულებით სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისათვის ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენებით (სიკვდილის შემდეგ) დაჯილდოვდნენ: კაპიტნები: დავით ნავდელიშვილი და ვლადიმერ მურადოვი, ზემდეგები ზაალ ამაშუკელი, ზურაბ და თემურაზ ზალდასტანიშვილები, მიხეილ თითბერიძე, გიორგი ჩანგელიშვილი, ვასილ და ნიკოლოზ წიკლაურები, პეტრე გამყრელიძე, მალხაზ ფარჯანაძე.

სათანადოდ დაფასდა სოსო სოჭინავას, გენადი ტაბატაძის, რისტომ ქობულაშვილის, ჯიმშერ ასათიორდანიშვილის, ვლადიმერ ბოჭორიძის და გოჩა აღეიშვილის თავდაწირვა, რომლებსაც ასევე აფხაზეთში ერთ უბედურ დღეს...

მემორიალს მოვლა-პატრონობა ყვავილებით შემკობა არ აკლია. მაგრამ დღეს იქ მისულს და შეხმიანებას, ცაში აფრენილ სულების წინაშე მუხლის მოყრას სულ სხვა ემში, სულ სხვა ფასი აქვს. ასეთ ღომშელებს არ ივიწყებენ და არც დაივიწყებს სრულიად საქართველო.

ბადრი იაშვილი.

კბილი კბილისა წილ

თუ მარცხენაში რომ გაგარტყან, მარჯვენა მიუშვირე...

ვიცი, ამ წერილს ორი კატეგორიის მკითხველი ეყოლება, მომხრე და განმქიქებელი. ორივეს პატივს ვცემ და ვერ ვითვალთმაქცებ – ვერ ვიტყვი იმას, რასაც არ ვფიქრობ.

ჟურნალისტად მუშაობის პერიოდში ათამდე სიკვდილის განაჩენი მაინც მომისმენია. მინახავს მასზე მკვლელთა და დაზარალებულთა რეაქციაც, მერე კი დიდხანს, ძალიან დიდხანს მიფიქრია. ვაღიარებ: იმდენად სასტიკი, მხეცური და მძიმე იყო ის დანაშაულობანი, არასოდეს მომსვლია აზრად შეწყალებულიყო მკვლელი. ეს კია, დამნანებია მისი გაუკუღმართებული და ეშმაკს მიყიდული სული, უკეთურობის სამსახურში ჩაყენებული ახალგაზრდული ჯანი და ღონე.

შეიძლება ვინმემ დამძრახოს, არაჰუმანურიც მიწოდოს, ნება მისია. მაგრამ მოკლულის ტანჯული სული უფრო მაღელვებს, რომელიც სახელმწიფოსგან დაცვას სიკვდილის შემდეგ მაინც მოელის. რამდენის ჯერ კიდევ მიუკვლეველი მკვლელი დადის დღეს ქუჩაში ჩვენს გვერდით? რამდენს არ უფრთხობს ძილსა და მოსვენებას მსხვერპლის აჩრდილი, რადგან ვერ თუ არ გვიპოვნია ისინი? ვინც გვიპოვნია და „კბილი კბილისა წილ" მიგვისჯია, დღეს ზოგიერთს ეს ცოდვად მიუჩნევია და თავგამოდებით მისი გაუქმება დაუჟინია.

ვიცი, არ არსებობს იმაზე დიდი ტანჯვა, ჯან-ღონით სავსე, საღ-სალამათი კაცი ჯურღმულში იჯდე და სიკვდილს ელოდე. ელოდე ყოველ წუთს, ყოველ წამს, ძილსა და ღვიძილში, კარის ყოველ გაჩხაკუნებაზე, მაგრამ ამ საგანჯველში ხომ იგი საკუთარ თავს ჩაუგდია და სხვას არაფერს? სასჯელი ხომ როგორც არაკაცს, უკეთურსა და ბოროტეულს რგებია?

ამგვარი სასჯელი არაჰუმანურია და უნდა გაუქმდეს, შეიცვალოს, რადგან საქართველოს კონსტიტუციით „სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებააო". მაგრამ ისიც ხომ საკითხავია, ვის მივიჩნევთ ადამიანად? უდანაშაულო მსხვერპლს თუ მის მკვლელს, რომელსაც მხეცზე უარესი სისასტიკე ჩაუდენია?

შეჩერებული კადრი

ბოდიშს მოვიხდი ახლაც და ქვემოთ, სისასტიკის დაწვრილებით აღწერისათვის, მაგრამ ღირდეს იქნებ წამით გახსენება ზოგიერთი იმ სიმხეცისა, რომელიც ჩვენში ჯერ კიდევ არათუ ამოძირკვულა, მომრავლებულა კიდეც.

1992 წლის 6 იანვარს ახმეტის რაიონის სოფელ ოჟიოში მთვრალმა მამინაცვალმა გაუგონარი სისასტიკით აწამა ხუთი წლის გერი.

წამება პატარის შიშველ სხეულზე სიგარეტის ჩაქრობით დაიწყო. ჯერ გულმკერდი ამოუშანთა, მერე მარცხენა ყვრიმალი, მარჯვენა მტევანი, ორივე მუხლი თუნუქის ცხელ ღუმელზე დაუწვა და დამწვარი კანი ხელით ააგლიჯა. ესეც არ აკმარა, თოვლ-ყინვაში მეორე სართულიდან ხორგული შარვლის ჩამოტანა უბრძანა. დაოსებულმა ბავშვმა ეს ვერ შეძლო და ახლა წიხლებით შედგა მამინაცვალი...

მთელი ღამე აღებინებდა პატარას, ტკივილებისაგან იკრუნჩხებოდა, გათენებისას მეზობელმა მოიკითხა. დალეული ბურვაკის აქნაში გართულმა მამინაცვალმა, ლოგინშიაო, უთხრა. მამამ მცემაო, ძლივს ამოილუღლუღა ბავშვმა...

რა არ იღონა თელავის ბავშვთა საავადმყოფომ: დაგლეჯილი ელენთა ამოკვეთეს, სისხლით სავსე მუცელი ამოუსუფთავეს, დამწვრობა მალამოთი დაუამეს, მაგრამ ბავშვი მესამე დღეს ტვინის მკვეთრი შეშუპებით გარდაიცვალა.

მამინაცვალს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. პატარას წამებულ სულს არავინ გამოსარჩლებია. დედაც სადღაც გადაიკარგა. მკვლელს ამნისტიის თაობაზე სამხედრო საბჭოს 27 თებერვლის დადგენილებამ – მოუსწრო. სასჯელი შეუმცირდა და დარჩენილი გაუნახევრდა. დარჩენილი 4 წელიწადიც იბევრა და უზენაეს სასამართლოში საკასაციო საჩივარი აფრინა: უკანონოდ ვარ დასჯილი, გამომექომაგეთო.

უსამართლობა იგუმანა უზენაესმა სასამართლომ და საქმეს ჩაუჯდა. ხელახალი კვლევა, ძიება და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. დანაშაული განზრახ მკვლელობით დამამძიმებელ გარემოებებში დაკვალიფიცირდა. განთავისუფლების მომლოდინე მამინაცვალს სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილი მიესაჯა: აღსრულდა.

პატარას მაშინ კანონის მეტი დამცველი არ გამოსჩენია.

წერილს „არაკაცი" დავარქვი მაშინ.

რატომ გავიხსენე ახლა ეს ფაქტი? რატომ მოგიწამლეთ გუნება? თუნდაც იმიტომ, რომ დღეს ასე გახშირდა მეტად გულისამაჩუყებელი მსჯელობა სიკვდილის დასჯის კანონის გაუქმების თაობაზე.

ერთი სიტყვით, ვკამათობთ, დაისაჯოს თუ არა სიკვდილით არაკაცი, უკეთური და ბოროტეული, რომლის კისერზეც უმძიმესი დანაშაულია.

– არა! – ამბობენ ერთნი.

– დიახ! – ამბობენ მეორენი.

ხელისუფლება კი, ჯერჯერობით, დუმს. ერთადერთი, რაც მოიმოქმედა, ფაქტობრივი მორატორიუმია, რომელიც, მართალია, ოფიციალურად არ გამოცხადებულა, მაგრამ მეორე წელიწადია საქართველოში სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილი არ აღსრულებულა. საბოლოო პასუხი, ჯერჯერობით, კითხვის ნიშნად ჰაერში ჰკიდია. სასამართლო კი სასჯელის ამ განსაკუთრებულ ღონისძიებას კვლავ უსჯის დამნაშავეთ, რადგან სისხლის სამართლის კოდექსში იგი ჯერ კიდევ 13 სახის დანაშაულისათვის უდგება ადამიანს: სამშობლოს ღალატი, გენოციდი, ჯაშუშობა, დაქირავებული პირის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში, ან საბრძოლო მოქმედებაში, ტერორისტული აქტი, ტერორისტული აქტი უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ, დივერსია, ბანდიტიზმი, მოქმედება, რომელსაც დეზორგანიზაცია შეაქვს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა მუშაობაში, განზრახ მკვლელობა (ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში), გაუპატიურება, საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი პოლიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფა, წინააღმდეგობის გაწევა უფროსისათვის ან მისი იძულება დაარღვიოს სამსახურებრივი მოვალეობა.

მე რომ მკითხონ, სიკვდილით დასჯას ყველა ჩამოთვლილ დანაშაულზე გავაუქმებდი, გარდა იმ დანაშაულისა, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკითა და ძალადობით განზრახ ხელყოფს ადამიანის სიცოცხლეს (გაუფრთხილებლობით მკვლელობას არ ვგულისხმობ): თუნდაც იმიტომ, რომ ის, ვინც წინასწარი განზრახვით მოქმედებს, შედეგიც წინასწარ იცის. რადგან იცის და მაინც სჩადის – ავკაცია. ავკაცებით კი სახელმწიფო ვერ აშენდება. სამწუხაროდ, ამგვარნი თითო-ოროლა როდი არიან და საზარელი დანაშაულობანიც ლამის ეროვნულ უბედურებად გვექცეს.

შეჩერებული კადრი

ხომ მოკლა შარშან, აგვისტოში წინასწარი განზრახვით 20 წლის დედისერთამ ფულის გულისთვის ორი კაცი? ერთს ოცდაცამეტჯერ ჩასცა დანა, მეორეს – ორმოცდაცამეტჯერ. სულთმობრძავები რადიატორზე მიაბა და დილით სისხლისაგან დაცლილები დედის დახმარებით დაანაკუწა, ტომრები აავსო და ლოჭინის ხევში გადაუძახა.

სიკვდილმისჯილთა საკანში ზის ახლა ის ბიჭი.

სიკვდილმისჯილები არიან მისივე თანატოლი გორელები, ერთს მილიონნახევარმა რუბლმა რომ აუბა თვალები და მეორეს ნახევარმილიონმა.

ძმამ ძმას ქალაქში ბინის საყიდელი ფული – 2 მილიონი რუბლი შეაგულა და მის გასატაცებლად მკვლელობა ჩაიფიქრა. ძმა სახლიდან გაიტყუა, მეზობლის ბიჭს კი მისი ცოლი დაახრჩობინა. მერე, ამის უნებლიე მოწმე, 11 წლის გოგონაც ზედ მიაყოლებინა.

20 წლის ბიჭმა დედა-შვილი ზურგიდან მიპარვით გაგუდა. ტანთ გახადა, სხეულზე რკინის ნაჭრები დაჰკიდა და მტკვარში გადაჰყარა. სასამართლო პროცესზე აღიარა, როცა გოგონამ ფართხალი დაიწყო, წამიერად შემეცოდა, ხელი შევუშვი, მაგრამ მოცოცხლდა თუ არა, დანაშაულის მხილების შიშმა მძლია და კვლავ გამეტებით წავუჭირეო. ესმოდა სასჯელის სიმძიმე და მაინც დაახრჩო, რადგან დედა უკვე დამხრჩვალი ჰყავდა. მაშინ არ ესმოდა სასჯელის სიმძიმე? ესმოდა, მაგრამ...

განაჩენის გამოტანის დღეს, სასამართლოსთან არც ლოზუნგებიანი მომიტინგენი დამინახავს და არც ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციის წარმომადგენლები. დამნაშავეებს სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატები იცავდნენ (ჭირისუფალთ ამისთვის არც უზრუნიათ, არც ახლო-მახლოს ჩანდნენ). ერთის ძმა გამოჩნდა იმ დღეს და მაშინაც ერთხელ ამოიღო ხმა, დამსახურებული განაჩენიაო. სიკვდილმისჯილნი კი უტიფრად მისჩერებოდნენ დარბაზს.

უტიფრობა და ცინიზმი ამომიკითხავს (იშვიათად – მონანიება!), ძირითადად, მკვლელთა თვალებში განაჩენის დღეს. გულუბრყვილოდ მიფიქრია, რომ სიკვდილმისჯილთა ახლობლები ფეხებში ჩაუვარდებოდნენ მოკლულის ჭირისუფალს და ცოდვილთა გამო პატიებას შესთხოვდნენ, მაგრამ...

მე არც იურისტი ვარ და არც ღვთისმსახური, რომ იურიდიული ნორმებისა თუ მოძღვრის პოზიციიდან ვილაპარაკო. ვარ ჟურნალისტი, არაერთი სასამართლო პროცესის, მათ შორის ამგვართა გასამართლების დამსწრე, მაგრამ დღეს როგორც მოქალაქე და ორი ვაჟის დედა მორალურ-ზნეობრივი კრიტერიუმებიდან ვამბობ: ამ ეტაპზე საქართველოში სიკვდილით დასჯის გაუქმების მომხრე არა ვარ.

ვთქვათ, გავაუქმეთ და იგი სამუდამო პატიმრობით შევცვალეთ. კეთილი, ბატონებო, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ისინი, რომლებმაც იციან, ჩადენილისათვის სიკვდილი ელით და მაინც სჩადიან, ავკაცობას აღარ ჩაიდენენ, როდესაც სასჯელად 25 წელიწადს თუ სამუდამო პატიმრობას დაიგულებენ? ისიც აქ, საქართველოში, სადაც ქრთამი ჯერ კიდევ ჯოჯოხეთს ანათებს?

ისე ნურავინ გამიგებს, თითქოს მაინცდამაინც სიკვდილით დასჯის მომხრე ვიყო, მაგრამ ვიდრე ჩემს ქვეყანაში ადამიანების სიცოცხლე ჩალის ფასი ეღირება, ვიდრე ავკაცნი დაუზოგავად ხოცავენ დიდსა თუ პატარას (ამას წინათ თიანეთში დედაწულიანად ამოხოცილი ოჯახის გახსენებაც კმარა), ბოროტეულთა შუამავლად ვერ გამოვდგები. თუნდაც იმიტომ, რომ კანონს სიკვდილით დასჯის თაობაზე, სასჯელად კი არა, ადამიანის დამცველ ღონისძიებად მივიჩნევ, იმ კანონად, საქართველოს კონსტიტუციით ადამიანის სიცოცხლის ხელშეუხებლობის უფლებას რომ იცავს.

შევქმნათ ქვეყანაში ისეთი ვითარება, უამკანონოდ დავიცვათ ადამიანები არაკაცთაგან! ვკითხოთ შვილმკვდარ დედებს შეწყალებაზე საკუთარი აზრი და გავაუქმოთ, ბატონო, ვინ არის მაშინ რაიმეს მთქმელი: მაგრამ იმაზეც დავფიქრდეთ იქნებ, გვაქვს კი უფლება სხვისი შვილის მკვლელს ჩვენ მივუტევოთ? ჩვენ, რომლებსაც ამგვარი სიმწარე (ღმერთმა გვაშოროს) არ გვიგემია და სხვისი გამამწარებლის მფარველებად კი თავი გამოგვიდია?

სამუდამო პატიმრობაო, რომ გაიძახით, თუ დაერწმუნდებით, იქაც სიკვდილზე უარესი პირობები ექნებათ პატიმრებს, ახლა ამაზე დაიწყება ყვირილ-ჩივილი, მაინც კლავენ და გაუქმება რის მაქნისი იყოო. საბოლოოდ, ყველაფერი ზოგიერთთა თვალთმაქცობაა, პოპულიზმია მხოლოდ და მხოლოდ, რადგან ვიცნობ მე იმ ზოგიერთს, ისეთი ყიამყრალია, ადამიანის გულის დაკოდვას არად დაგიდევს და სიტყვით შეუძლია ძირს გაგაგოროს. დღეს კი სიკვდილით დასჯის გაუქმებისთვის ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით გვეკეკლუცება.

როგორი დამოკიდებულება აქვთ სიკვდილით დასჯის, როგორც სასჯელის ღონისძიების მიმართ თანამედროვე სახელმწიფოებს?

როგორც საქართველოს იუსტიციის მინისტრმა **თედო ნინიძემ** თქვა: 1996 წლის ივლისის მონაცემებით, მსოფლიოს 35 ქვეყნის კანონმდებლობა საერთოდ არცერთი დანაშაულისათვის არ ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას. ამ ჯგუფს განეკუთვნება: ავსტრია, გერმანია, დანია, ისლანდია, ნიდერლანდი, ნორვეგია, პორტუგალია, საფრანგეთი, შვეცია, ავსტრალია, ლათინური ამერიკის ქვეყნები და სხვა.

მსოფლიოს 18 სახელმწიფოში (არგენტინა, ბრაზილია, დიდი ბრიტანეთი, ისრაელი, კანადა, მექსიკა, ახალი ზელანდია, შვეიცარია და სხვა) სიკვდილით სჯიან მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას. მაგალითად, ომიანობის დროს.

მსოფლიოს 20-ზე მეტი ქვეყანა და ტერიტორია კანონმდებლობით ინარჩუნებს სიკვდილით დასჯას, მაგრამ თითქმის ორი ათეული წელიწადია პრაქტიკაში არ იყენებს მას (ბოლივია, საბერძნეთი...)

100-ზე მეტ ქვეყანაში სიკვდილით სჯიან სხვადასხვა დანაშაულისათვის. მათ შორის არიან აშშ-ის 38 შტატი, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები, ყოფილი სოციალისტური ქვეყნები, აზიური სახელმწიფოები: ავღანეთი, ბანგლადეში, ბირმა, ინდოეთი, ინდონეზია, კორეა, ქუვეითი, პაკისტანი, ერაყი, ირანი, სირია, გაერთიანებული საემიროები და სხვა. აფრიკაში: ანგოლა, ზამბია, ზიმბაბვე, ნიგერია, ეგვიპტე და ა.შ.

მართალია, მსოფლიო პრაქტიკა ესწრაფვის სიკვდილით დასჯის გამოყენების შემცირებას, მაგრამ მრავალ ქვეყანაში მაინც შეიმჩნევა საწინააღმდეგო ტენდენცია.

1985 წლიდან 50-ზე მეტმა ქვეყანამ გაზარდა იმ დანაშაულთა ჩამონათვალი, რომელთა ჩადენისათვის შეიძლება გამოტანილი იქნეს სიკვდილით დასჯა:

კერძოდ, 21 ქვეყანამ შემოიღო ეს სასჯელი იმ დანაშაულისათვის, რომელიც უკავშირდება სახელმწიფოს უშიშროებას (ჯაშუშობა, ღალატი, კონტრრევოლუციური ან რევოლუციური საქმიანობა); 13-მა სახელმწიფომ – ტერორიზმისათვის (მათ შორის თვითმფრინავის გატაცებისათვის, თუ ამას მოჰყვა ადამიანთა სიკვდილი); მძევლის მოკვლისათვის (ეგვიპტე, ინდონეზია, ქუვეითი, რუსეთი, აშშ, იაპონია და სხვა); 13-მა ქვეყანამ – ეკონომიკური და ძალადობითი დანაშაულისათვის; როგორიც არის კორუფცია, სახელმწიფო სახსრების დატაცება, საბაჟო სამსახურის თანამშრომლებზე თავდასხმა და სხვა.

აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში სიკვდილით დასჯა დაწესებულია მრუშობისათვის, გაუპატიურებისათვის, ჰომოსექსუალიზმისათვის, არამუსულმანსა და მუსულმან ქალს შორის სქესობრივი კავშირისათვის. რამდენიმე ქვეყანამ გაითვალისწინა ასეთი სასჯელი ადამიანის გატაცებისათვის, თუ ამას მოჰყვა სიკვდილი.

ჩინეთის სისხლის სამართლის კოდექსმა დააწესა სიკვდილით დასჯა 15 დანაშაულისათვის. 1982-1983 წლებში ამას დაემატა კიდევ 14 დანაშაული.

„საერთაშორისო ამნისტიის" მონაცემებით, 1980-1987 წლებში ყოველწლიურად სიკვდილით ისჯებოდა 1160-დან 3209 ადამიანი; ფაქტობრივად – განაჩენი სისრულეში მოდიოდა 743-დან 3209 ადამიანის მიმართ;

უკანასკნელ წლებში მსოფლიოში შეიმჩნევა კიდევ ერთი ტენდენცია: თუ ადრე შეწყალება გამოიყენებოდა ერთეულების მიმართ, დღეს უკვე საგრძნობლად მცირდება შეწყალებაზე უარის თქმის შემთხვევები.

ახლა ვნახოთ, თუ რა მდგომარეობაა ამ პრობლემის ირგვლივ იმ ქვეყნებში, რომლებიც დიდი ხანი არ არის, რაც ევროსაბჭოს წევრები გახდნენ.

1995 წლის 29 ივნისს ალბანეთმა იკისრა ვალდებულება, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ ევროპის კონვენციასთან შეერთებიდან 3 წლის განმავლობაში ხელს მოაწერს და რატიფიკაციას გაუკეთებს № 6 პროტოკოლს მშვიდობიანობის დროს სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ და სიკვდილით დასჯის სრულ გაუქმებამდე გამოაცხადებს მორატორიუმს.

ბულგარეთმა 1990 წლის 20 ივლისს გამოაცხადა მორატორიუმი.

1993 წლის 14 მაისს ესტონეთმა ხელი მოაწერა № 6 პროტოკოლს. დანაშაულის პროფილაქტიკის საბჭომ გადაწყვიტა, რომ ესტონეთში უნდა გაუქმდეს სიკვდილით დასჯა, მაგრამ ჯერ უნდა შევიდეს ცვლილებები ესტონეთის სისხლის სამართლის კოდექსში. ესტონეთმა არ იკისრა ფორმალური ვალდებულება, რომ ევროპაში გაწევრიანებისთანავე გააუქმებდა სიკვდილით დასჯას.

1996 წლის 10 ივნისს უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ჰორნიმ მიმართა პოპულარულ აქციას და ქვეყნის მოქალაქეებს შესთავაზა რეფერენდუმის მოწყობა სიკვდილით დასჯის გაუქმებასთან დაკავშირებით. ამას მოჰყვა უნგრეთის მთავრობის განცხადება, რომ რეფერენდუმი არ ჩატარდება იმ საკითხებზე, რომლებიც წესრიგდება საერთაშორისო შეთანხმებებით.

ლატვიას ჯერ ხელი არ მოუწერია № 6 პროტოკოლისათვის. უფრო მეტიც, ლატვიამ ევროსაბჭოში გაწევრიანების შემდეგ აღასრულა 2 სიკვდილით დასჯა, 1994-1996 წლებში გამოტანილია 8 სასიკვდილო განაჩენი (დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობისათვის). ლატვიის კანონმდებლობა ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას 6 დანაშაულისათვის. ახლა მზადდება სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი. ცნობილი არ არის, გაითვალისწინებს თუ არა იგი სიკვდილით დასჯას.

ლიტვას არ უკისრია ოფიციალური ვალდებულება, რომ გააუქმებს სიკვდილით დასჯას, ან მორატორიუმს გამოაცხადებს სიკვდილით დასჯაზე ევროსაბჭოში შესვლამდე. 1994-96 წწ. აღსრულდა 3 სიკვდილით დასჯა. ერთი პატიმარი, რომელსაც განაჩენი გამოუტანეს 1993 წელს, შეიწყალა პრეზიდენტმა და მას სასჯელი სამუდამო პატიმრობით შეუცვალა. 1994-96 წწ. სასამართლოებმა გამოიტანეს 12 სასიკვდილო განაჩენი დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობებისათვის. ეს არის ერთადერთი დანაშაული, რომლის მიმართაც ლიტვაში გამოიყენება სიკვდილით დასჯა.

1995 წლის 8 დეკემბერს მოლდოვას პარლამენტმა ერთსულოვნად მისცა ხმა იმას, რომ ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოეღოთ სიკვდილით დასჯა და იგი შეეცვალათ 25 წლიდან სამუდამო პატიმრობამდე.

დროებითი მორატორიუმი სიკვდილით დასჯის შესახებ პოლონეთში გამოცხადდა სისხლის სამართლის კოდექსში 1995 წლის 12 აგვისტოს აქტით ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შემდეგ. ამ აქტის მე-5 მუხლის მიხედვით, „იმ პირთა მიმართ, რომელთაც მიესაჯათ სიკვდილით დასჯა, განაჩენი არ აღსრულდება ამ აქტის ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში". მიუხედავად ამისა, პოლონეთის კანონმდებლობა ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას 4 სახის დანაშაულისათვის: მკვლელობა, სახელმწიფო ღალატი, სახელმწიფოსათვის განსაკუთრებით მავნე მოქმედებები და სახელმწიფო მოსამსახურის სიცოცხლის ხელყოფის მცდელობა.

რუსეთმა 1996 წლის 25 იანვარს იკისრა ვალდებულება ერთ წელიწადში ხელი მოეწერა ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის № 6 პროტოკოლისათვის – მშვიდობიანობის დროს სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ და ევროსაბჭოში შესვლის დღიდან გამოეცხადებინა მორატორიუმი. 1994 წელს ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით, რუსეთში 19 პატიმარი დაისაჯა სიკვდილით, ხოლო 134 შეიწყალა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა. 1995 წელს, იგივე ინფორმაციის მიხედვით, დაისაჯა 86. „საერთაშორისო ამნისტიის" ცნობით, სასიკვდილო რიგშია 710 პატიმარი.

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ახლახან მოაწერა ხელი სისხლის სამართლის კოდექსს, რომელიც ძალაში შევა 1997 წლის 1 იანვრიდან: სიკვდილით დასჯის სფერო 28-დან 5 დანაშაულამდეა დაყვანილი.

საქართველოს კონსტიტუცია სიკვდილით დასჯას მიიჩნევს სასჯელის განსაკუთრებულ ღონისძიებად. ამასთან, ხაზს უსვამს მის დროებითობას.

კონსტიტუციის მიღებიდან 2 წლის შემდეგ, თუ საქართველოს პარლამენტი რაიმე დანაშაულისათვის დააწესებს სიკვდილით დასჯას, დაცულ უნდა იქნეს სამი პირობა: 1. ეს დანაშაული უნდა იყოს მიმართული სიცოცხლის წინააღმდეგ; 2. განსაკუთრებით მძიმე; 3. პასუხისმგებლობა ასეთი დანაშაულისათვის უნდა განისაზღვროს ორგანული კანონით, ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელი მიღების სპეციფიკური პროცედურით.

საგულისხმოა, რომ ამჟამად დარჩენილი ერთი წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ორგანული კანონები ან დაადასტუროს მოქმედი ნორმატიული აქტების მართლზომიერება. ამდენად, პარლამენტმა ერთი წლის განმავლობაში უნდა განსაზღვროს თავისი დამოკიდებულება სიკვდილით დასჯის, როგორც სასჯელის ღონისძიების მიმართ.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რეფერენდუმი სიკვდილის დასჯის შემოღების ან გაუქმების საკითხზე ქვეყანაში ვერ გაიმართება.

მკითხველისათვის

ეპიზოდი ჩემი ბავშვობიდან, ჩემსავე განსასჯელად:

მეხუთე კლასში ვიყავი, როცა შინიდან გამოსვლისას გამოხურულ კარში წიწილა მოვაყოლე. მის არაბუნებრივ დაწივლებაზე მოვბრუნდი და ვნახე როგორ ლაფავდა სულს...

ერთი კვირა ვიწექი სიცხიანი. ის წიწილა დღესაც მახსოვს და ვნანობ, რომ მაშინ არ გამწკეპლეს იმ დაუდევრად გამოხურული კარისთვის. იქნებ ნაკლებად მწარე ყოფილიყო იმ დღის გახსენება ჩემთვის. ადამიანი ხომ მაინც იმით იზომება, რამდენს იტევირთავს.

რუსუდან ლორთქიფანიძე.

„სამხილი მასალები", ანუ აშკარა პოლიტიკური შანტაჟი

საქართველოს პროკურატურის განცხადება

ამ ბოლო დროს რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაჩნდა პუბლიკაციები, სადაც ცალკეული პირები ცდილობენ პოლიტიკური სპეკულაციის საგნად აქციონ ისეთი სათუთი და დელიკატური საკითხი, როგორიც საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის დ. დვალიშვილის თვითმკვლელობაა.

ამაოდ იღვწიან დათესონ ეჭვი და უნდობლობა გამოძიების მიმართ, რომელმაც კონკრეტული მასალების საფუძველზე ცალსახად და ობიექტურად დაადასტურა მომხდარი ტრაგიკული ფაქტი.

თავიდანვე იგრძნობოდა რა ასეთი არაჯანსაღი ინტერესი დ. დვალიშვილის გარდაცვალების მიზეზებთან დაკავშირებით, მიუხედავად აშკარად მომხდარი ფაქტისა, საქართველოს პროკურატურამ მაინც აღძრა სისხლის სამართლის საქმე და ჩაატარა დეტალური გამოძიება, რის შედეგებიც პრესის საშუალებით მოხსენდა საზოგადოებას.

ბატონ დ. დვალიშვილის დაკრძალვამდე საქართველოს გენერალური პროკურორის ერთ-ერთი მოადგილე პირადად შეხვდა განსვენებულის მეუღლეს ქ-ნ რუსუდან ებანოიძეს და მის ახლობლებს, რათა გაეგო მათი აზრი მომხდართან დაკავშირებით. რაიმე პრეტენზია ან საკუთარი ვერსია გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით არ გამოთქმულა.

უფრო მეტიც. საქმის გამოძიების დამთავრების წინ საქართველოს გენერალურმა პროკურორმა პროკურატურაში მიიწვია ქალბატონი რუსუდანი და მისი ქალიშვილი, რომლებსაც წინადადება მიეცათ პირადად ან საკუთარი ადვოკატის საშუალებით გასცნობოდნენ გამოძიების მასალებს და საქმის დამთავრებამდე გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება გამოძიების ობიექტურობაზე. რაიმე პრეტენზია მათი მხრიდან არც ამჯერად გამოთქმულა. სისხლის სამართლის საქმე შეწყდა დანაშაულის ფაქტის არარსებობის გამო. ამ გადაწყვეტილების კანონიერება დღემდე არავის არ გაუსაჩივრებია.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ზოგიერთი გაკოტრებული პოლიტიკოსი, რომელსაც უნდა თავისი ფიზიკური არსებობა დააფიქსიროს, მაინც არ ცხრება და ყველანაირად ცდილობს საკუთარი ცოდვები განსვენებულს გადააბრალოს. იქმნება მითი რაღაც სპეციალურ ჟურნალზე, რომელიც დვალიშვილის გარდაცვალების დღეს შს სამინისტრომ სახლიდან მოატანინა და ჩამოართვა დვალიშვილის პირად მდივანს, რომ თითქოს ამ ჟურნალს სპეციალურად მალავს და ასაიდუმლოებს გამოძიება, რათა ხელი დააფაროს კრედიტის ამღებ ცალკეულ ყოფილ თუ მოქმედ თანამდებობის პირებსა და პოლიტიკურ მოღვაწეებს.

აღნიშნული ჟურნალი არსად არ წასულა და არც გასაიდუმლოებულა. იგი შინაგან საქმეთა სამინისტრომ არსებული წესის დაცვით გადასცა გამოძიებას და ამჟამადაც თან ერთვის იმ სისხლის სამართლის საქმეს, რომლითაც დ. დვალიშვილის თვითმკვლელობაა დადასტურებული.

იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდეს საეჭვო და გაუგებარი მითქმა-მოთქმა ხსენებულ ჟურნალთან დაკავშირებით, საქართველოს პროკურატურა სთხოვს ყველა დაინტერესებულ პირს, და პირველ რიგში ჟურნალისტებს, მობრძანდნენ ჩვენთან და საკუთარი თვალით ნახონ ეს ჟურნალი, სადაც მოქალაქეთა მიღება და ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან სატელეფონო კავშირზე გამოსული პირებია დაფიქსირებული.

სამისოდ, ვფიქრობთ, სპეციალურად დავთქვათ ერთი დღე, თუნდაც ამა წლის სამი დეკემბერი, როდესაც საქართველოს პროკურატურის მცირე დარბაზში, მეხუთე სართულზე, დილის 10 საათიდან 18 საათამდე იქნება გამოფენილი, რომელიც საშუალებას მისცემს ყველას გაეცნოს ამ დოკუმენტს.

და კიდევ ერთი:

აშკარა პოლიტიკური შანტაჟის სახეს იღებს ცალკეულ პირთა პოპულისტური და „სენსაციური" განცხადებები ზოგიერთი პოლიტიკური თუ სახელმწიფო მოღვაწის მიმართ ე. წ. კომპრმასალების არსებობის შესახებ. საუბარია რაღაც დოკუმენტებზე, ვიღაც მოწმეებზე, ვიდეომასალასა თუ მაგნიტოფირებზე და სხვა, რითაც თითქოს მათ ამხელენ კორუფციასა და სხვა მძიმე დანაშაულებში.

აღნიშნული „სამხილი მასალების" მფლობელებს, სამწუხაროდ, ავიწყდებათ საკითხის სამართლებრივი მხარე, რომ, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ისინი ვალდებულნი არიან, დეკლარაციული განცხადებების მაგივრად, ეს მასალები მიაწოდონ შესაბამის სამსახურებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი ეს ქმედება კრიმინალად ითვლება და მას კანონის ენაზე, როგორც ცნობილია, დანაშაულის განუცხადებლობა ჰქვია.

ასე რომ, თუ ჩვენ სამართლებრივ სახელმწიფოს ვაშენებთ (და ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ეს ასეა), მაშინ თითოეული მოქალაქე, რა მდგომარეობაც უნდა ეკავოს მას, ვალდებულია პატივი სცეს კანონს, თავი დაანებოს კომპრმასალებით მუქარას და მის მაგივრად მიიღოს კანონით დადგენილი ზომები დამნაშავეთა დასასჯელად.

თავისუფალი ბაზარი ცარიელი ადგილია...

განვიხილავთ საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფციის პროექტს

საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებამ და იმავდროულად ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობის დამკვიდრებამ ძირეულად უნდა შეცვალოს ადრე არსებული აგრარული პოლიტიკა.

საჯარო განხილვისათვის გამოტანილ ახალი აგრარული პოლიტიკის კონცეფციაში წარმოდგენილია აგროსამრეწველო კომპლექსში შექმნილი რეალური მდგომარეობის სურათი, დასახულია სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის დარგების განვითარების ძირითადი მიმართულებები. გვინდა გამოვთქვათ ცალკეული მოსაზრებები და შენიშვნები კონცეფციის იმ თავებზე, რომლებიც ძირითადად ეხება გადამამუშავებელ მრეწველობას, სამეცნიერო-ტექნიკურ და ინოვაციურ პოლიტიკას.

კონცეფციაში (თავი IX) ნათქვამია, რომ — დასახული ამოცანების გადაჭრის მიზნით საჭიროა მაღალხარისხოვანი საკონსერვო პროდუქციის, ეთერზეთების და სხვ. წარმოების პრიორიტეტული განვითარება მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამების საფუძველზე.

ვფიქრობ, რაოდენ მაღალხარისხოვანიც უნდა იყოს საქართველოში წარმოებული რეჰანის ეთეროვანი ზეთი ან ციტრუსოვანთა წვენები, ისინი ვერც ადგილობრივ და ვერც თანამეგობრობის ქვეყნების ბაზრებზე ადგილს ვერ დაიმკვიდრებენ.

საქმე ის არის, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნისას ჩვენ ხშირად ვაწარმოებდით ისეთი სახის პროდუქტებს, რომელთა წარმოება საქართველოს პირობებში ეკონომიკურად გაუმართლებელი იყო. საქართველოს დამოუკიდებელ ქვეყნად არსებობისათვის კვების მრეწველობის მთელ რიგ დარგებში მკვეთრად უნდა შეიცვალოს (ეთერზეთების, ჩაის, საკონსერვო, ღვინის მრეწველობა) გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტი. ამასთან დაკავშირებით სწორი იქნებოდა კონცეფციაში აღნიშნულიყო კვების მრეწველობის თითოეული დარგის განვითარების პრიორიტეტული მიმართულება. ამით კონცეფცია მეცნიერებსა და მეწარმეებს სტიმულს მისცემდა ეფიქრათ ამ მიმართულებების რეალიზაციის კონკრეტულ პროგრამებზე.

კონცეფციის მე-11 თავში (მართვის სისტემა) არაფერია ნათქვამი, თუ რა როლი აკისრია პარლამენტის აგრარულ კომისიას აგროსამრეწველო კომპლექსის მართვაში, არადა, დემოკრატიულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მართვის ძირითად ორგანოს სწორედ პარლამენტის (კონგრესის) შესაბამისი კომისიები წარმოადგენენ. მაგალითად, აშშ-ს კონგრესის პალატაში არსებული მუდმივმოქმედი სასოფლო-სამეურნეო კომისიები წყვეტენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა სახელმწიფო ფონდების განაწილება და მათი გამოყენებისადმი კონტროლი, ამუშავებენ კანონპროექტებს. მათ კომპეტენციაში შედის სოფლის მეურნეობის საერთო საკითხები, შინაური ცხოველებისა და ხორცის პროდუქტების ინსპექცია; სასოფლო-სამეურნეო კოლეჯებისა და სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგურების მუშაობა; ეკონომიკური გამოკვლევები სოფლის მეურნეობის სფეროში; რძის პროდუქტების წარმოება და მოხმარება; საწარმოო პროცესების მექანიზაცია; სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების სტაბილიზაცია და ა.შ. კონგრესში (პარლამენტში) სოფლის მეურნეობის საკითხების მუდმივმოქმედი კომისიების არსებობა ეხმარება აღმასრულებელ ორგანოებს გავლენა მოახდინონ კანონშემოქმედებით პროცესზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კონცეფციაში პარლამენტი განხილულ უნდა იქნეს, როგორც სოფლის მეურნეობის რეგულირების ძირითადი ორგანო. ამის შესაბამისად პარლამენტში ფუნქციური ნიშნის მიხედვით უნდა შეიქმნას მუდმივმოქმედი კომისიები, მუშა ჯგუფები და კომიტეტები.

ამავე თავში ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ კვების პროდუქტების წარმოების ლიცენზირება უნდა ხორციელდებოდეს ქვეყანაში არსებული სამეცნიერო პოტენციალის გამოყენებით. აქვე ყურადსაღებია ერთი გარემოებაც. საზღვარგარეთის ქვეყნებში ლიცენზირება დაკისრებული აქვთ სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებს იმის გამო, რომ იქ პროდუქციის კონტროლის მიზანი დასჯა და დაჯარიმება კი არ არის, არამედ მეწარმეებისათვის ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენა ნედლეულის მოყვანისა და მისი გადამუშავების დროს, რათა მან მიიღოს მაღალი ხარისხის, კონკურენტუნარიანი პროდუქცია. ამ ფუნქციის შესრულება მხოლოდ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შეუძლიათ. ამასთან, ლიცენზიის გამცემი ინსტიტუტი ისევე პასუხისმგებელი უნდა იყოს მომხმარებლის წინაშე, როგორც პროდუქციის მწარმოებელი. მსგავსი მაკონტროლებელი სამეცნიერო ორგანიზაციების ნებადაურთველად იტალიაში, საფრანგეთში, ესპანეთში და სხვაგან, ფერმერი რთველსაც კი ვერ იწყებს. მხოლოდ მას შემდეგ, როცა ინსტიტუტი დაადგენს ყურძნის სიმწიფის ხარისხს, განსაზღვრავს მის საშუალო მოსავლიანობას, ფერმერს მოსავლის აღება მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია. ამით ინსტიტუტი ადგენს იმასაც, თუ რა შემოსავალს მიიღებს სახელმწიფო ამ დარგიდან. სანამ საქართველოში არ შემოვიღებთ საკვები მცენარეული ნედლეულის წარმოების კონტროლის საყოველთაოდ აღიარებულ წესებს, ქვეყნის ბიუჯეტში არ შევა კუთვნილი შევსება ისეთი წამყვანი დარგებიდან, როგორიც არის ჩვენში მეღვინეობა ან მეჩაიეობა.

საქართველოში არის კვების მრეწველობის, მევენახეობა-მეხილეობის, ჩაის მრეწველობის ინსტიტუტები. ეს სამეცნიერო ორგანიზაციები პროფილის მიხედვით უნდა გამოვიყენოთ კვების პროდუქტების ლიცენზირებისათვის. დარწმუნებული ვართ, ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, განსაკუთრებით ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების, ჩაის წარმოების დარგში, ხელს შეუწყობს სამამულო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, აღკვეთს იმ განუკითხაობასა და თვითნებობას, რაც დღეს ჩვენთან ნედლეულის დამზადების, გადამუშავებისა და ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საქმეში სუფევს.

კონცეფციაში (თავი IX) სწორად არ არის ნახმარი გამოთქმა „ეკოლოგიურად სუფთა ბავშვთა კვების პროდუქცია". ბავშვთა კვების პროდუქტები თავისთავად, მათზე არსებული სტანდარტების შესაბამისად, ნიშნავს ეკოლოგიურად სუფთას. ამიტომ უნდა ეწეროს „ბავშვთა კვების პროდუქტი".

ჩვენი აზრით, გაუგებარია მე-2 თავში მოყვანილი გამოთქმა: „შენელდა მეცნიერული კვლევის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების წარმოებაში ათვისების მოტივაცია".

ალბათ, მიზანშეწონილია აქ დაიწეროს: „სათანადო დაფინანსების უქონლობის გამო, შენელდა მეცნიერული კვლევა, მეცნიერების მიღწევების წარმოებაში დანერგვა".

მე-10 თავში (აგრარული ბაზრის ეკონომიკური რეგულირება) ნათქვამია, რომ — ეკონომიკური რეგულირების ამოცანაა ქვეყნის შიდა ბაზრის დაცვა უხარისხო პროდუქციის ინტერვენციისაგან. ვფიქრობ, რომ შიდა ბაზარი დაცული უნდა იყოს არა მარტო უხარისხო, არამედ იმ უცხოური მაღალხარისხიანი პროდუქციის კონკურენციისგანაც, რომლის წარმოება (მაგალითად, ღვინო, უალკოჰოლო სასმელები და ა.შ.) საქართველოშიც შეიძლება შესაბამისი პირობების არსებობისას. როგორც ცნობილია, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის ქვეყნების სოფლის მეურნეობა დაცულია არა მარტო უცხოური კონკურენციისაგან, არამედ, თვით ამ თანამეგობრობის ქვეყნებში, მნიშვნელოვანწილად გაუქმებულია კონკურენცია და ფასების ეკონომიკური რეგულირების მექანიზმი. აქ არსებული დადგენილებები, როგორც წესი, ეფუძნება გარანტირებული შესასყიდი ფასების კონცეფციას, რომლებსაც ევთ-ის კომისიის რეკომენდაციით ადგენენ სოფლის მეურნეობის მინისტრები.

კონცეფციაში უფრო ფართოდ უნდა იყოს წარმოდგენილი სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური პოლიტიკა, კერძოდ:

ა) საჭიროა ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ სათანადო კანონის უქონლობის გამო, საქართველოში სპონტანურად, პრივატიზაციის საბაბით დაიტაცეს სამეცნიერო ორგანიზაციების საექსპერიმენტო ბაზები. ამასთან დაკავშირებით კონცეფციაში უნდა ჩაიწეროს: მეცნიერული პოტენციალის აღდგენისა და შემდგომი განვითარების მიზნით მიღებულ იქნას კანონი „სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო ორგანიზაციისა და მისი საექსპერიმენტო-საწარმოო ბაზის შესახებ", რომლის შესაბამისად სამეცნიერო ორგანიზაციებს უპირობოდ უნდა დაუბრუნდეთ მათ განკარგულებაში ადრე არსებული საექსპერიმენტო ბაზები, ამ ორგანიზაციებს კიდევ უფრო გაძლიერებისათვის უნდა გადაეცეს ახალი ექსპერიმენტული მეურნეობები, საცდელი სადგურები და ქარხნები. მით უფრო, რომ პრივატიზაციის საბაბით ჩამორთმეული სამეცნიერო ბაზების დაბრუნებას ითვალისწინებს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 21 იანვრის № 16 ბრძანებულება.

საზღვარგარეთის ქვეყნებში (უწინარეს ყოვლისა, გერმანიაში), დაგროვილი გამოცდილებიდან გამომდინარე, ვერ გავიზიარებთ აზრს იმის შესახებ, რომ — ფასების პოლიტიკად უნდა მივიჩნიოთ თავისუფალი ფასების ფორმირების აუცილებლობა მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე.

საქმე ის არის, რომ სამრეწველო საქონლის წარმოების სფეროში არსებული წარმოების, მიწოდებისა და მოთხოვნილების პირობებთან შედარებით სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების სფეროში არსებული პროდუქციის მიწოდება და მასზე მოთხოვნილება ხასიათდება სპეციალური თავისებურებებით, რაც ასევე სპეციალური, სამრეწველო პროდუქციის ბაზრებისაგან განსხვავებული, სასოფლო-სამეურნეო ბაზრების ფორმირების აუცილებლობას მოითხოვს.

მოქმედი, თავისუფალი ფასწარმოქმნის მექანიზმის მქონე თავისუფალი ბაზრები გულისხმობენ ორივე მხარის საბაზრო ურთიერთობების ერთმანეთზე მორგებას. ეს არ ახასიათებს აგრარულ პროდუქტებზე არსებულ მიწოდება-მოთხოვნილებას, რადგანაც მწარმოებლები მხოლოდ ნაწილობრივ ახდენენ გავლენას სოფლის მეურნეობის ისეთ ბუნებრივ საწარმოო პირობებზე, როგორიცაა მიწა, კლიმატი და ბუნებრივად შეზღუდული, დროის ფაქტორზე დამოკიდებული მცენარეთა და ცხოველთა ზრდის პროცესები. ამით აიხსნება სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაოდენობრივი, ხარისხობრივი და არაოპერატიული, ყოველ შემთხვევაში გაძნელებული შეთანაწყობა, სასოფლო-სამეურნეო ფასების მოთხოვნილების ცვლილებებთან. ეს მკაფიოდ გამოხატული სასოფლო-სამეურნეო მიწოდების მოუქნელობა პრინციპულად განასხვავებს აგრარული ბაზრების უმრავლესობას სამრეწველო ნაწარმის ბაზრებისაგან.

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დეფიციტის დაძლევისათვის აუცილებელია სოფლის მეურნეობას შევუქმნათ ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას საშუალებას მისცემდა მოეხდინა თვით ბუნებრივი პირობებით განპირობებული ეკონომიკური სიძნელეების კომპენსირება. სხვანაირად რომ ვთქვათ, სასოფლო-სამეურნეო დარგებიდან შემოსავლების სოფლის მეურნეობაში გადაუნაწილებლად მეურნეობა ვერ შესძლებს წინ აღუდგეს უცხოელ კონკურენტებს. არსებობს აგრეთვე იმის დიდი საშიშროება, რომ კონკურენცია გამოდევნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროდან მცირე და საშუალო საწარმოებს.

იმის თქმა გვინდა, რომ გარკვეული კორექტივებია შესატანი მეათე თავის იმ ქვეთავში, რომელიც ეხება ფასების პოლიტიკას, იმის გათვალისწინებით, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების სფეროში თავისუფალი ბაზარი ცარიელი ადგილია, საიდანაც კარგა ხანია გამოვიდა კალიბრიობა.

და ბოლოს, ვერც კონცეფციის და ვერც მიზნობრივი პროგრამების არსებობა ვერ უზრუნველყოფენ დასახული მიზნების რეალიზაციას, თუ არ გვექნება კანონი სოფლის მეურნეობის შესახებ. ამდენად, კონცეფციაშიც ხაზგასმული უნდა იყოს ისეთი კანონის მიღების აუცილებლობა, რომელშიც კონცეფციის ძირითადი დებულებები აისახება.

ნუგზარ ბაღათურია,
საქართველოს
კვების მრეწველობის
სამეცნიერო-კვლევითი
ინსტიტუტის დირექტორი,
სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი

პრობლემა

ცხვარი და მეცხვარე: იმედი ნუ მოგიშალოთ, ღმერთმა...

პრობლემა მეორე:

დასაწყისში უკვე ვთქვი, მეცხვარეობა ოდითგანვე სიმდიდრის სიმბოლოდაა მიჩნეული. დიახ, ცხვარი სიმდიდრეა, რომელსაც ვერც ცეცხლგამძლე სალაროში ჩაკეტავ ვერც სიგნალიზაციადაყენებულ, რკინისგისოსებიან შენობაში დაამწყვდევ და ვერც ავტომატებით შეიარაღებულ მცველებს მიუჩენ სადღეღამისო დარაჯად. ეს სახალხო სიმდიდრე ღია ცის ქვეშაა მთა-ველად გაშლილი და აბარია თვეობით ტანგაუხდელ, წვერგაუპარსავ ადამიანებს, რომელთათვისაც არ არსებობს არც სამუშაო საათები, არც დასვენების დღეები, არც დღესასწაულები, არც ნათესავებთან და მეგობრებთან სტუმრობა. მთა-ველად გასულნი წლიდან წლამდე მოკლებული არიან ოჯახურ სითბოს. გუდა-ნაბადაკიდებულები ზამთარ-ზაფხულ დარაჯად უდგანან საქვეყნო სიმდიდრეს, რომლის დასაცავი იარაღი მარტოოდენ გრძელტარიანი კავია (და არა კომბალი, როგორც ზოგიერთი ჟურნალისტი წერს. კომბალს ცხვარს ფეხში ვერ გამოსდებ დასაჭერად. ამისათვის კავის გამოთლა უკარნახა პრაქტიკამ). ასე მთა-ველად გაშლილ სიმდიდრეს კი ათასი მტერი ჰყავს — დაწყებული ოთხფეხა მგლებით და დამთავრებული ავტომატებით შეიარაღებული ორფეხა მგლებით, რომლებიც არც სასიკვდილოდ დაინდობენ მეცხვარეს, თუ წინააღმდეგობას გაუწევს. მიდი და თუ ბიჭი ხარ წინ დაუდექი კავით, ხანჯლით და თუ გნებავთ სანადირო თოფით!

არც ეს პრობლემაა ახალი! მეცხვარეებს უწინაც ესხმოდნენ თავს ზაფხულისა და ზამთრის საძოვრებზე, გადარეკვის დროს — გზაშიც. იყო ცხვრის გატაცების, შეტაკების და მკვლელობის ფაქტებიც, მაგრამ იყო ისეთი ფაქტებიც, როცა საყაჩაღოდ ბევრნი მისულან და ცოტანი წასულან, თანაც — ხელცარიელი. მაშინ რა იარაღითაც მოძალადენი იყვნენ შეიარაღებული, ისეთივე იარაღი ჰქონდათ მეცხვარეებს. ძალთა თანაფარდობა ერთნაირი იყო, ამიტომ საყაჩაღოდ მიხტომა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. დღეს ეს თანაფარდობა აღარ არსებობს. მეცხვარეები ფაქტობრივად კავისა და ჯიბის დანის ანაბარა არიან დარჩენილი. ხანჯალი რა არის და სანადირო თოფი, ჩვენი პოლიციელები იმასაც კი ართმევენ მეცხვარეებს, თუ ჯიბეზე მონადირეთა კავშირის წიგნაკი და სანადირო თოფის ტარების — ნებართვა არ აღმოაჩნდებათ.

ძალთა უთანაბრობის პირობებში მოძალადენი რჩებიან გამარჯვებული, პრობლემის გარეშე მოსხლეტენ და იტაცებენ ცხვრის ფარებს. მაგალითად, 1995 წლის 7 იანვარს ჰაჰუნის საძოვრებიდან ახმეტის რაიონის პანკისის მეურნეობის 600 სული ცხვარი გაიტაცეს კი არა, გაირეკეს აზერბაიჯანელმა ყაჩაღებმა (ჩვენმა პოლიციამ ვერაფერიც ვერ გააწყო), შერჩათ.

1995 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში თუშეთის მთებიდან ჩეჩენმა ბანდიტებმა 900 სული ცხვარი მოსხლიტეს და ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გადარეკეს. თუშებმა ამ შემთხვევაში იმარჯვეს, გადავიდნენ ჩეჩნეთში და ითუნხალის რაიონის პრეფექტის მაუსარ ბათუკაევის ჩარევით, ძმური და მეგობრული დახმარებით, წართმეული 12 აგვისტოს უკანვე დაიბრუნეს თითქმის უკლებლივ. მაგრამ ეს გამოსავალი არ არის. ყოველთვის ბათუკაევი არ იქნება პრეფექტი, ყოველთვის ვერ დაეხმარება თუშ მეგობრებს წართმეულის უკან დაბრუნებაში.

1991 წელს შირაქიდან ქვემო ალვანის მეურნეობის 170 სული ცხვარი, სამუხიდან — 500 სული, 1993 წელს გურჯაანის ტერიტორიიდან გადარეკვის დროს — 250 სული დედა ცხვარი, 1994 წელს თუშეთიდან — 40 ცხენი, 19 ძროხა, ფიჩხოვანიდან — 22 კამეჩი, 1995 წელს შირაქიდან — 100 სული ცხვარი და 33 ძროხა, წელს თუშეთის საძოვრებიდან 250 სული ცხვარი დაიტაცეს ავტომატებით შეიარაღებულმა შინაურმა და უფრო მეტი — „გარეულმა მგლებმა". მაგრამ მეცხვარისათვის რა შეღავათია მგელი შეჭამს ცხვარს თუ მგლისფერი ძაღლი.

ეს არასრული მონაცემებია, მაგრამ იმის წარმოსადგენად მაინც საკმარისზე მეტიცაა, თუ რამდენ ზარალს ნახულობენ იმის გამო, რომ ყაჩაღებს წინააღმდეგობას ვერ უწევენ შეუიარაღებელი მწყემსები.

ცხვარ-მეცხვარეს დაცვა დიდი და სერიოზული პრობლემაა. ამას საჩქაროდ უნდა გადაწყვეტა, თორემ ქვეყნად იმდენი ავტომატური იარაღია გაბნეული, ყაჩაღობები კვლავაც გაგრძელდება, ზარალი უფრო მეტი იქნება.

— მაინც როგორ გესახებათ ამ პრობლემის მოგვარება? — ვკითხე ახმეტის რაიონის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამმართველოს უფროსს ზეზვა გოჩილაიძეს.

— გვაქვს მოფიქრებული ამის მექანიზმი, მაგრამ მისი გადაწყვეტა შეუძლიათ მხოლოდ ქვეყნის პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს და შინაგან საქმეთა მინისტრს კახა თარგამაძეს. სხვათა შორის, ვაპირებთ, კიდეც ასეთი თხოვნით მივმართოთ: ჩვენი თუში მეცხვარეებიდან შევარჩიოთ წესიერი, ღირსეული, საიმედო ახალგაზრდები და შინაგან საქმეთა სამინისტრომ ისინი გააფორმოს შტატგარეშე თანამშრომლებად, პოლიციელებად. ჩააცვან პოლიციელის ფორმები, მისცენ ავტომატური იარაღის ტარების უფლება და პრობლემაც გადაიჭრება. დაქირავებული ანდა დავალებით გაგზავნილი პოლიციელები ჩვენ ფარებს დაიცავენ მხოლოდ გადარეკვის დროს. მუდმივ ყარაულებად ვერც ზამთრის საძოვრებზე დაუდგებიან, ვერც ზაფხულის საძოვრებზე. როცა ყაჩაღებს ეცოდინებათ, რომ ცხვარს უვლიან ავტომატებით შეიარაღებული პოლიციის ფორმიანი მეცხვარეები, ისინი ისე ადვილად ვეღარ გაბედავენ ყაჩაღურ თავდასხმებს. ეცოდინებათ, რომ იქ არანაკლები საპირისპირო ძალა დახვდებათ და არც ისეთი სულელები არიან, ცხვრის გულისათვის თავები დაიხოცონ. ასეთ შემთხვევაში ჩვენი ფორმიანი, ავტომატიანი მწყემსი ბიჭები საქართველოს საზღვრებსაც დაიცავენ. ბოლოს და ბოლოს ჩვენს მთებში (თუშეთში) სამი ოთხი გადასასვლელ-გადმოსასვლელია, საიდანაც შეიძლება მოტაცებული ცხვარი გადარეკონ. ჩვენი ბიჭები იმ გადასასვლელებთან სადღეღამისო მორიგეობას დააწესებენ. ქურდებს და ყაჩაღებს არც შემოუშვებენ, არც აქედან გაატარებენ. ფაქტობრივად ისინი სახელმწიფო საზღვრების უხელფასო, მაგრამ საიმედო დამცველებიც იქნებიან.

ისე, ცნობისათვის: უწინ საქართველოს მეფეები თუშეთიდან თურმე ახალგაზრდებს ჯარში არ იწვევდნენ, ეგენი ისედაც საქართველოს სადარაჯოზე დგანან მთებშიო.

კი ბატონო, თუშეთის ომალოში ჯარისკაცების ნაწილი დგას, მაგრამ ისინი იქ როდის და როგორ გაიგებენ რომელი მთიდან მოსხლეტენ ცხვრის ნოტოებს. ვიდრე იქიდან მაცნე მივა ომალოში, ვიდრე ჯარისკაცები შემთხვევის ადგილზე მივლენ უტრანსპორტოდ (მათ ცხენებიც კი არა ჰყავთ), სულ ცოტა ოთხი დღე მაინც გავა. მანამდე ყაჩაღები სამშვიდობოს იქნებიან გადასულები მოტაცებული ნოტოებიანად. ისედაც, კაცმა რომ თქვას, ჯარისკაცები ცხვრის გულისათვის თავს რატომ შეაკლავენ მოძალადეებს? მეცხვარეები კი ცოცხალი თავით არავის გაატანენ თავიანთ ნაამაგარს.

ასე ჩამოიყალიბა ბატონმა ზეზვა გოჩილაიძემ ცხვარ-მეცხვარეთა დაცვის მექანიზმის მათეული ვარიანტი.

ჩვენ გვახსოვს საქართველოში რამდენი საინტერესო და გაბედული ექსპერიმენტი განხორციელდა არცთუ დიდი ხნის წინათ. ცხოვრებამ დაგვანახა, რომ ბევრმა მათგანმა შესანიშნავი შედეგი გამოიღო. იქნებ ახმეტელების (თუშების) ეს წინადადებაც ღირს დასაფიქრებლად, ღრმად გასაანალიზებლად, დასახვეწად და დადებითად გადასაწყვეტად. მაშინ ხომ წერტილი დაესმება ყოველწლიურად ამდენი სიმდიდრის დატაცებას.

ბევრი გადასაწყვეტი და ნახევრად გადაწყვეტილი პრობლემა არსებობს დღეს მეცხვარეობაში.

ახმეტის რაიონში მეცხვარეობის სამი საჯიშე-სანაშენე მეურნეობაა — ზემო და ქვემო ალვნების და პირიქითის, რომლებსაც ევალებათ თუშური ცხვრის ჯიშის წმინდად დაცვა, შენახვა და მომრავლება. ეს მეურნეობები თავიდან ბოლომდე თუში მეცხვარეებით არის დაკომპლექტებული, რომლებიც ძალიან კარგად სცნობენ თუშური ჯიშის დუმიან ცხვარს. ახდენენ მის შერჩევა-გადარჩევას. თუ შემთხვევით სხვა ჯიშის, სხვა ფერის ბატკანი გამოერევა, იმას ფარაში არ გააჩერებენ, როგორც სამეგრელოში კვარაცხელიები არ აჩერებდნენ თავიანთ წითელ ნახირში სხვა ფერის ხბორებს, ულამაზორქებიან დეკეულებს.

თუშებს რომ ჰკითხოთ, ადრე ასეთი პრობლემა არ ყოფილა. ეს შეუქმნია მეცნიერთა ძიებას ნახევრადნაზმატყლიანი ჯიშის გამოყვანისათვის, ეს ჯიში კი გამოუყვანიათ, მაგრამ ამით თუშური ჯიშის დუმიანი ცხვარი გადაჯიშებულია. ახლა ისევ იმ ჯიშის წმინდად აღდგენაზე მუშაობენ. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მათ შორის უმრავლესობა ახალგაზრდები არიან, რომლებიც მამა-პაპური დარგისკენ შემოაბრუნა ცხვრის ფარების იჯარის წესით გადაცემამ ორმხრივ ხელსაყრელი ხელშეკრულებით. ამ მეთოდმა ბევრი პრობლემა მოუხსნა მეცხვარეობის სახაზინო მეურნეობებს. თითქოს უფრო გამარტივდა მათი საქმიანობა. მაგალითად, წუნდებული პირუტყვის ფარიდან გამორჩევას მთელი ბიუროკრატიული პროცედურის გავლა სჭირდებოდა. რაიონში უნდა შექმნილიყო კომისია, რომელიც უნდა მიევლინებინათ მეცხვარეებთან, იმათ უნდა გადაეთვალათ და გადაეთვალიერებინათ ფარები, შეედგინათ აქტები, დაემტკიცებინათ რაიკომის ბიუროზე და ამის შემდეგ მიეცემოდათ უფლება მეცხვარეებს წუნდებულის გამორჩევა-გამოხშირვისა. ვიდრე ეს საქმე მოთავდებოდა, დიდი დრო გადიოდა.

ახლა ცხვარი იჯარით აბარია მეცხვარეს. მისი ბატონ-პატრონი თვითონაა. ყოველდღე ხედავს, ფარაში რომელი ცხვარია კოჭლი და უიმედო, რომელიც ბატკანს ვერ მოიგებს. ასეთებს მაშინვე გამოარჩევს და თავის გზას მისცემს. მის ადგილზე ჩააყენებს საიმედო მოზარდს — დედალ თოხლს.

ასევე მოიხსნა სადეზინფექციო, სამკურნალო-პროფილაქტიკური პრეპარატებით მომარაგების პრობლემა, მწყემსების მომარაგება საკვებით, ცხენებით, ძაღლების საკვებით. შეიძლება ვინმეს გაეღიმოს, მაგრამ თუ მეცხვარეთა ძაღლები რომ ერთად შეაგროვოთ და დათვალოთ, ზოგ რაიონში იმდენი ცხვარი საერთოდ არა ჰყავთ. ოთხფეხა მგლებისაგან სწორედ ისინი იცავენ ცხვარს.

ამ ყველაფერზე თვითონ მეცხვარეები ფიქრობენ და ზრუნავენ. თვითონ არიან ვეტექიმებიც და ზოოტექნიკოსებიც. მათ იციან: ცხვარი თუ იზარალებს, უპირველეს ყოვლისა ეს მათი ზარალი იქნება. ხელშეკრულების ძალით, მეურნეობის ცხვარს ერთი სულიც არ უნდა დააკლდეს, პირიქით — ნამატიდან 10 პროცენტი მეურნეობის ცხვარს უნდა მიემატოს. ასე რომ, მეცხვარეთა ინტერესში შედის, რაც შეიძლება საუკეთესო შედეგებით დაამთავრონ სამეურნეო წელი.

ნაწილობრივ მოიხსნა ხორცისა და ტყავის რეალიზაციის პრობლემაც. ცხვარს უმთავრესად ცოცხლად ჰყიდიან, მაგრამ დღესდღეობით გაიაფებულია (თოხლი საშუალოდ 20-25 ლარად ფასობს). გუდის ყველის რეალიზაცია არც ადრე უჭირდათ, არც დღეს უჭირთ — 5-6 ლარად იყიდება. ადრე ოფიციალურად ყველი 3 მანეთი ღირდა, მატყლი — 12 მანეთი. ახლა მატყლის ფასი 50 თეთრამდე დაეცა. ამ ფასადაც ვეღარ ყიდიან, მყიდველი აღარავინაა. ადრე საბჭოთა კავშირის სამხედრო მრეწველობა ყიდულობდა ჯარისკაცური ფარაჯების დასამზადებლად. ახლა მათთან კავშირი გაწყვეტილია, პროდუქცია დაუგროვდათ, არ იციან სად წაიღონ, სად შეინახონ. იქნებ ამაზეც იფიქროს ვინმემ და რუსეთის სამხედრო მრეწველობასთან ურთიერთხელსაყრელი კავშირი აღადგინონ?

ამასთან მეცხვარეობაში მაინც რჩება ისეთი პრობლემები, რომლებსაც არაფერი არ ეშველება. იგი არც მთავრობაზეა დამოკიდებული, არც მეცხვარეებზე, ასეთი პრობლემები მარტო ახმეტის რაიონის ცხვარ-მეცხვარეებისთვის არ არის დამახასიათებელი. ეს პრობლემები ყველგანაა, სადაც კი მომთაბარე მეცხვარეობას მისდევენ. ამიტომაც სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრება მარტო მეცხვარეთა ვაჟკაცურ გარჯაზე არ არის დამოკიდებული.

მეცხვარეს ბუნებაც უნდა სწყალობდეს.

ისტორიამ ბევრი ფაქტი იცის, ზამთრის საძოვრებზე სტიქიას მეცხვარეები ისე დაუზარალებია, შინ ცარიელი ჯოხებით და ძაღლებით დაბრუნებულან. პანკისელებს ახლაც ახსოვთ ის ავადმოსაგონარი ამბავი, ხანგრძლივი კოკისპირული წვიმების დროს ქვაჩადალის მთას გვერდით რომ მოწყვეტია და ზვავს ალაზანში ჩაუტანია მიწაში აზელილი ცხვარ-მეცხვარეები. ამიტომ ამბობენ მთაში, მეცხვარეებს ხიფათი ჩრდილივით თან დასდევსო. მიუხედავად ამისა, სტიქიას გადარჩენილ მეცხვარეებს გული არ გასტეხიათ, კავი და გუდა-ნაბადი კუთხეში არ მიუგდიათ, თბილ ბუხართან მოფარდაგულზე არ დამსხდარან. ისევ მოუმრავლებიათ ცხვარი, ისევ მეცხვარის ძნელი და ფათერაკებით სავსე ცხოვრებით უცხოვრიათ სიბერემდე. ეს იმ სხვისთვის გაუგებარი ხიბლის ბრალია, რომელიც მეცხვარეობას მამა-პაპით მოსდგამს. ბარემ აქვე გავიხსენებთ ერთ ფაქტსაც, იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს მეცხვარეობაში ცნება „ჩემი" და „სხვისა".

ეს დიდი ხნის წინათ მოხდა.

პარტიის ახმეტის რაიკომის პირველი მდივნის კაბინეტში საქმეზე ვსაუბრობდით. შემოვიდა აღელვებული პირადი მდივანი:

— მეცხვარეები არიან მოსული: ეხლავე შეგვიშვი, თორემ ძალით შევალთო.

— რა გვინდაო?.. უთხარი შემოვიდნენ.

სველი „პლაშებით" და ცხვრის ტყავის ბეწვიანი ქუდებით შემოვიდნენ. ათამდე იყვნენ. ერთმანეთს უყურებდნენ, რომელმა დავიწყოთო.

— დაბრძანდით! — შეთავაზა ზეზე წამომდგარმა მდივანმა.

— ჩვენ კაბინეტში დასაჯდომად არა გვცალია. გზაზე ვდგევართ, გვეჩქარება... თქვენ გაეცით ბრძანება, მწყემსებმა პირადი ცხვარი მეურნეობის ფარებიდან გამოარჩიონო?

— ასეთი მითითებაა ყველა რაიონში, სადაც კი მეცხვარეობას მისდევენ. ისიც ხომ გითხრეს, პირადი ცხვრის ბრიგადა ცალკე შექმნან და იქ იყოლიონო? — მშვიდად უთხრა მდივანმა.

— კაცო, ჩვენ მეცხვარეები ვართ, პირადი ცხვარი სხვას რატომ უნდა მივაბაროთ? ეს სად გაგონილა? თქვენ ისიც გითქვამთ, თითო მწყემსს ათ სულზე მეტი პირადი ცხვარი არ უნდა ჰყავდესო. მაშ, რისი გულისთვის უნდა ვდიოთ მეურნეობის ცხვარს ზამთარ-ზაფხულ, დარსა და ავდარში, სიცხესა და სიცივეში. თქვენს პირად მდივანს რომ აქვს, იმხელა ხელფასის გულისთვის? გაგზავნე კაცი, უთხრას, თავი გაგვანებონ, გაგვიშვან, როგორც მივდივართ. გზაზე ვდგევართ, გვაგვიანდება! — კატეგორიულად მოითხოვდნენ.

ეტყობა მართლა ზევიდან იყო ნაბრძანები. მდივანმა უთხრა:

— ამის უფლება მე არა მაქვს. ზევიდან მოსულ ბრძანებას ყველა უნდა დაემორჩილოთ.

— არა გაქვს და, აჰა, მაშინ, ეს ჯოხები! თქვენ ცხვარს თქვენ თვითონ მიხედეთ, ჩვენ კი ჩვენსას გამოვარჩევთ და თვითონ მივხედავთ.

მეცხვარეებმა კავები კაბინეტის კუთხეში მიაყუდეს და ისე გავიდნენ, უკან დადევნებული სიტყვა არ მოუსმენიათ.

დიახ, ასეთი მმართველობის პერიოდიც იყო. არც ის არის უხსოვარი დროის ამბავი, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხვარეებს რომ შესთავაზეს ექვსას-ექვსას მანეთ ხელფასს დაგინიშნავთ და მეურნეობის ფარებში პირად ცხვარს ნუღარ იყოლიებთო.

არა ქნეს! მაგდენი ხელფასი რაიკომის მდივნებსაც აქვთ თბილ კაბინეტებში რომ სხედან, მაგრამ ხომ ხედავთ, არა ჰყოფნითო.

ამიტომ ამბობენ, მეცხვარეს თუ საკუთარი ცხვარიც არა ჰყავს, მაშინ ის მეცხვარე კი არა, სხვისი მოჯამაგირეაო.

ადამიანში ცნებები „ჩემი" და „სხვისი" ბუნებისაგან თანდაყოლილია, მისი მორალით და შეგნებებით შეცვლა არავის არ ძალუძს. მეცხვარეს მაშინ უყვარს ცხვარი, როცა მისი საკუთრებაა, თორემ სხვა შემთხვევაში ის ისეთივე საყვარელია, როგორც თითოეული ჩვენთაგანისთვის სხვისი კუთვნილი.

მეცხვარეებს რის ფასად უჯდებათ ცხვრის მოვლა და მისი პროდუქციის წარმოება, ბევრს არცა აქვს გაცნობიერებული. მაგონდება მოხუც მეცხვარეების პურისჭამა და მათი ნათქვამი სადღეგრძელო:

— მოდით, ვაჟებო, ჩვენი ცოცხალი ქმრების ქვრივებს გაუმარჯოთ. ქვრივები არიან ჩვენი ცოლები, მაშ რანი არიან, წელიწადში ერთი თვე გვერდზე რომ არ ეყოლებათ ქმრები.

არანაკლებ დამაფიქრებელია ანეგდოტი: თუში ბაზარში ყველს ჰყიდის. მუშტარმა ჰკითხა:

— რა ღირს?

— ათი მანეთი.

— ოჰ, რა ამბავია, ასე ძვირი!

— რა იყო, კაცო! მე ამ ყველის გულისთვის ცოლი გამიორგულდა, ოჯახი დამენგრა, შენ ესეც გეძვირება? — მიაძახა ყველის გამყიდველმა.

დიახ, სათანადოდ არ ფასდება მეცხვარეთა შრომა. როცა სოციალისტური შრომის გმირის ვარსკვლავების ცვენა იყო, მაშინ მხოლოდ ერთადერთი ქართველი მეცხვარე — ყარამან გაგაძე დაჯილდოვდა. ჟულია ჩქარეული კი უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. სად მთა-ველად მოარული მეცხვარე, სად უმაღლესი საბჭოს დეპუტატობა! მაინც რა მოდაში იყო მსოფლიოსთვის თვალებში ნაცრის შეყრა! მაგრამ მაინც ვერავინ დავაბრმავეთ. ყველა კარგად ხედავდა რა მუშურ-გლეხური მთავრობაც გვყავდა. ბოლოს ჩვენც დავინახეთ და შეკოწიწებული კავშირი იმიტომ ჩამოგვემხო თავზე.

მეცხვარეები გმირის ვარსკვლავის მოსაწყვეტად არ მუშაობდნენ თავგამეტებულად, არც დეპუტატად არჩევისთვის. არც დღეს იღვწიან იმისათვის, რომ მათზე კეთილი სიტყვა თქვას ვინმემ. მაგრამ ვიცი, ეს წერილი მაინც გაახარებს თუკი გაზეთმა იმათთანაც მიაღწია, რადგან მათ პრობლემებზეა დაწერილი. თუ ღმერთმა ქნა და ამ პრობლემებიდან ნაწილი მაინც მათ სასარგებლოდ გადაწყდება, სიხარულით, ალბათ, ცას ეწევიან.

კაცი იმედით ცოცხლობსო, ნათქვამია.

— იმედი ნუ მოგიშალოთ ღმერთმა, ჩვენო მთა-ბარს გაბნეულ-გაფანტულო მეცხვარეებო.

ვალერიან ჩიქურიშვილი
მწერალი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 240.

ანდრია კონსტანტინოვი

ბანდ-პეტერბურგი

სახელმწიფო მოღვაწეთა ასეთი განცხადებები – ეს არის რაღაც ახალი რამ, ეს არის საკუთარი უნიათობისა და უძლურების ხელწერილი. სახელმწიფოს შეუძლია სწავლობდეს კრიმინალურ სტრუქტურებს, ნერგავდეს ამ სტრუქტურებში თავის ხალხს, მაგრამ სახელმწიფომ არამც და არამც არ უნდა გაუყადროს თავი დანაშაულებრივ გაერთიანებებს და არ უნდა დაიყენოს გვერდით მათი წარმომადგენლები. თორემ დანაშაულებრივი სახელმწიფო ქვეშ ამოიდებს ოფიციალურს – იმიტომ, რომ ძალაუფლებისადმი სწრაფვა უსაზღვროა და ყველა „გონიერულ კომპრომისს" დამნაშავე ავტორიტეტები განიხილავენ მხოლოდ, როგორც დროებითს აქტებს... ქათამი, როგორც ცნობილია, მარცვალ-მარცვალ კენკავს.

ამასთან დამახასიათებელია, რომ ოფიციალური სახელმწიფო გამუდმებით აცხადებს, რომ მტკიცე ბრძოლას ეწევა დამნაშავეობის წინააღმდეგ. ბორის ელცინმა ჯერ კიდევ 1993 წლის 12 თებერვალს გამოაცხადა ტოტალური შეტევა დამნაშავეობაზე, „რომელიც უშუალო საფრთხეს უქმნის რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებს, ეროვნულ უშიშროებას". „ტოტალურ შეტევას" რატომღაც არ მოჰყოლია „ტოტალური შედეგები", და 1994 წლის 14 ივნისს ელცინმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას „ბანდიტიზმისა და ორგანიზებული დამნაშავეობის სხვა გამოვლინებებისაგან მოსახლეობის დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ", ამ ბრძანებულებამ ბევრი იურისტის გაოცება გამოიწვია – მისი მთელი რიგი დებულებები, სხვა რომ არა ვთქვათ რა, ვერ თავსდება სამართლებრივი სახელმწიფოს გამოცხადებული კონცეფციის ფარგლებში... საყურადღებოა სხვა რამ – ბრძანებულებას არ გამოუწვევია შოკი ორგანიზებულ დამნაშავეობაში იმიტომ, რომ მისი ლიდერები მიხვდნენ: დარტყმას კვლავ აყენებენ რიგითებს, ქვეით ჯარს, რომელიც ყოველთვის იყო მხოლოდ და მხოლოდ სახარჯო მასალა, ნახერხი, რომელიც ორი სახელმწიფო მექანიზმის – ლეგალურისა და არალეგალურის ნაწილთა ხახუნის შედეგად ხდება...

პეტერბურგში ორგანიზებული დამნაშავეობის ერთ-ერთმა ლიდერმა ასე განმარტა ბრძანებულება „6-14": „მახსოვს, ლონდონში ჯიბგირობის პიკი სწორედ იმ დროზე მოდიოდა, როდესაც ჯიბგირებს მარჯვენას კვეთდნენ... ხალხი საჯარო სასჯელის სასეიროდ იკრიბებოდა, ჯიბგირები კი აგზნებულ ბრბოში მუშაობდნენ"... სისასტიკეს შეუძლია წარმოშოს მხოლოდ საპასუხო სისასტიკე... და საერთოდ, – ჩვენ უკვე აღარ გვეთქმის ბანდიტები. ალბათ, ჩვენ შეიძლება გვეწოდოს განგსტერები. ჩვენ ცივილიზებული ადამიანები ვართ. და ცუდს არაფერს ვხედავთ იმაში, რომ მილიცია ხელს სტაცებს ნაირნაირ ნაძირალებს, რომლებიც ქალაქში ავტომატებით დაჰქრიან და ყველას აშინებენ შემზარავი ვარცხნილობით... თუმცა, ამათაც არ გაუჭირდებათ ნორმალურად დაიყენონ თმა და კანონმორჩილ მოქალაქეებს დაემგვანონ. მაშინ ვისლა სტაცებენ ხელს?..

საკუთარი „ცივილიზებულობის" თემას ორგანიზებული დამნაშავეობა აცხადებს გამუდმებით და პირდაპირ, აცხადებს თავისი რუპორების მეშვეობით. აი, ნაირნაირ გაზეთებში გამოდის და მოგვიწოდებს ლიდერებთან და ავტორიტეტებთან თანამშრომლობასა და მოღვაწეობას იოსებ კობზონი – რესპექტაბელური კაცი, ტკბილ სიმღერებს რომ მღერისხოლმე... ხან „მოსკოვსკიე ვედომოსტიში" და ხან „ნევსკოე ვრემიაში" უთმობენ ტრიბუნას მოქალაქე კირპიჩს – ყოფილ კანონიერ ქურდს, რომელსაც ციხეში უფრო მეტი აქვს გატარებული, ვიდრე გარეთ... საზოგადოებრივ აზრს გამუდმებით, შეფარვით ამზადებენ იმისათვის, რომ იქნებ მართლაც ღირდეს მიუჯდე მოლაპარაკების მაგიდასთან მაფიას – ერთიც ვნახოთ და ყველაფერი კარგად გამოვა... ამასთან სახელმწიფო მოღვაწეები დამნაშავეობის წინააღმდეგ რაღაც აბსტრაქტული ბრძოლის ერთგულების დეკლარირებით, თავიანთი რიხიანი განცხადებებით უკურეაქციას იწვევენ ნორმალურ ობივატელში და უბრალოდ სახელს უტეხენ თვით ბრძოლის იდეას. რად ღირს, მაგალითად, ანატოლი სობჩაკის 1994 წლის ზაფხულის განცხადება: „ყოველმა დამნაშავემ, რომელმაც იარაღი აიღო, უნდა იცოდეს, რომ ადგილზე მოკლავენ... ეს ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პრიორიტეტული მიმართულებაა". ნათქვამია რიხიანად, ლამაზად, მთელი უბედურება ის არის, რომ პისტოლეტი და ავტომატი სულაც არ გახლავთ ორგანიზებული დამნაშავეობის მთავარი იარაღი... ბოლოს და ბოლოს, ალექსანდრე მალიშევმა და კომპანიამ ცეცხლსასროლი იარაღით ხომ არ ჩაიგდეს ხელში მდიდრული ოფისები პეტერბურგის ქვის კუნძულის ლამაზ შენობებში, რომლებსაც ბანდიტთა წრეებში „არქიპელაგს" უწოდებენ"... შექმნილი სიტუაციის პარადოქსი ის არის, რომ პრეზიდენტის „6-14" ბრძანებულებამდეც არსებობდა საკმარისი ნორმატიული ბაზა მაფიასთან საბრძოლველად. რუსეთის სსკ 77-ე მუხლი – „ბანდიტიზმი" ითვალისწინებს შესაძლებლობას სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნენ მიცემული სხვადასხვა დონის დანაშაულებრივ გაერთიანებათა წევრები – რიგითებიდან ხელმძღვანელებამდე... მაგრამ არ არსებობს მისი გამოყენების პროცედურა. არადა, სწორედ გამოყენების პროცედურა განაპირობებს ნებისმიერი კანონის, ბრძანებულების თუ „ტოტალური შეტევის" შედეგიანობას თუ უშედეგობას... ბრძანებულების დეკლარირებამ შეიძლება გაამრავლოს მხოლოდ ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანოებში ქაღალდები: „განვლილი დღე-ღამის მანძილზე დაკავებულია ამდენი და ამდენი ბანდიტი და ლიკვიდირებულია ამდენი და ამდენი დაჯგუფება...". ყოველივე ეს სამწუხაროდ, ჩვენ უკვე „გავიარეთ"...

იატაკქვეშა ბანდიტურ-ქურდული სახელმწიფო ყოველნაირად ესწრაფვის თავის დე-იურედ აღიარებას. თუ ეს მოხდა – შედეგები შეუქცევადი იქნება, ეს მოასწავებს ლეგალური სახელმწიფოს სრულ დამარცხებას. ახლაც კი, როდესაც (თუნდაც ფორმალურად) იატაკქვეშეთში იმყოფება, ორგანიზებული დამნაშავეობა წარმატებით წყვეტს ისეთ საკითხებს, როგორიც არის მაგალითად, კადრების გადაადგილება სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებაში. ქვემოთ მოყვანილი სქემები, თუ როგორ ხდება არასასურველ პირთა თამაშიდან გამოყვანა, სქემები, რომლებიც მაფიამ იატაკქვეშა პირობებში დახვეწა, დაგვეხმარება გავიგოთ, რა გავლენის მოხდენა შეუძლია სახელმწიფო საქმეებზე ორგანიზებულ დამნაშავეობას მისი თუნდაც ნაწილობრივი ლეგალიზაციის შემთხვევაში.

არამზადების დამხმარე სახელმძღვანელო

ორგანიზებული დამნაშავეობისათვის საშიშ მოწინააღმდეგეთა არაფიზიკური გზით მოცილების შემოთავაზებული სქემები – ეს არის არა ავადმყოფური წარმოსახვის ნაყოფი, არამედ მწარე რეალობა, რომელსაც წასწყდომიან ისინი, ვისაც მიუღწევია „რეაფეხას" ნერვულ კვანძებამდე. არსებითად, ეს სქემები არის ლამაზად ჩაფიქრებული და პროფესიულად შესრულებული ოპერატიული კომბინაციები. არავისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოს, რომ ორგანიზებულ დამნაშავეობას უკვე კარგა ხანია ჰყავს მაღალი კლასის პროფესიონალები სხვადასხვა სამართალდამცველი ორგანოების ყოფილ და ამჟამად მოქმედ თანამშრომელთა რიცხვიდან. პროფესიონალებს შეუძლიათ ალალად შეირგონ თავიანთი პური – მით უმეტეს, თუ ეს პური კარაქიანია...

* * *

თუ იატაკქვეშა სახელმწიფოს გულს გაუწყალებს პრინციპული და ჭკვიანი ოპერი, მისი ფიზიკური ლიკვიდაცია ვერ მოიტანს საჭირო ეფექტს. პირიქით, მისი ლიკვიდაცია მხოლოდ დაადასტურებს იმას, რომ იგი სწორი მიმართულებით მიდიოდა. ასეთები თამაშიდან გამოჰყავთ სხვა ხერხებით. უწინარეს ყოვლისა, ფიგურანტი საგულდაგულოდ უნდა შეისწავლო. კარგია, თუ მას აქვს სუსტი ადგილები. თუ ასეთი ადგილები ცოტა აღმოაჩნდა, შეიძლება მის წინააღმდეგ გამოიყენო მისივე ძლიერი მხარეები. პოსტსაბჭოური სისტემის შსს ქვეგანაყოფებში ძალზე ბევრი რამ არის დამოკიდებული უფროსის მიმართ ხელქვეითის „პირადი ერთგულების კოეფიციენტზე". მართალია, ხშირად ამ პირად ერთგულებას ტრაკში შეძრომას უწოდებენ, და საკუთარი თავის პატივისმცემელი პროფესიონალები ამას არ კადრულობენ. სწორედ ამაზე თამაშობს გავლენის აგენტი, რომელსაც დავალებული აქვს კომბინაცია. გავლენის აგენტი – ეს არის დაქირავებული მოქმედი თანამშრომელი. თანდათან, ფარულად, გადაკვრით იგი შეეცდება შეუქმნას უფროსობას ზოგად-ნეგატიური დამოკიდებულება დასამუშავებელი ოპერატიული მუშაკისადმი. ხოლო რა შეიძლება რუსეთში იყოს იმაზე უარესი, როდესაც უფროსი ამოგიჩემებს? მას სულ იოლად შეუძლია აპკიდოს ოპერს რამდენიმე ყოვლად უპერსპექტივო, გაუხსნელი საქმე, თან ყოველ კვირას გაუშროს სისხლი, – მოსთხოვოს ანგარიში და შედეგები. თუ ყოველივე ეს ხდება იმ ოპერატიული კომბინაციის დამუშავების ერთდროულად, რომელიც ჩანაფიქრის სინატიფით შეიძლება უზადო იყოს, – მაშინ ამ კომბინაციის კონკრეტული განსახიერება უბრალოდ ტლანქი გამოვა ან საერთოდ ვერ გამოვა. ოპერი შეიძლება დამუშავებას მოსწყვიტონ „სულ ზემოდან" – მაგალითად, მოსკოვიდან მიღებული ბრძანებით. ვთქვათ, სადღაც სასწრაფოდ ლექციაა წასაკითხი, ანდა გაგზავნონ რაღაცის გამოსაძიებლად სპეციალურად შექმნილი ჯგუფის გასაძლიერებლად... იყო ასეთი კონკრეტული შემთხვევა მოსკოვში, როდესაც მთელი რუსეთიდან მოხვეტეს საუკეთესო ოპერები (უფროსი ოფიცრები), რომლებიც საკანცელარიო მუშაობას ეწეოდნენ მაშინ, როდესაც შინ ხუხულასავით ენგრეოდათ უნიკალური ოპერაციები, ისინი ხომ მუდმივ კონტროლსა და პირად მონაწილეობას მოითხოვენ... თან, ბუნებრივია, იქნება პირადი კომპრომენტაციის გამუდმებული ცდები. თუკი ოპერი კარგი მეაგენტურეა და გამუდმებით ხვდება თავის წყაროებს, – მაგალითად, რესტორნებში, – ასეთი სიტუაცია ყოველთვის შეიძლება შეატრიალო, აგრძნობინო უფროსობას, რომ ოპერი უკვე თვითონ გახდა წყარო. თუ დასამუშავებელი ობიექტი არ სვამს – მაშასადამე, ყველგან უნდა ილაპარაკო, რომ არ კადრულობს თანამებრძოლი ამხანაგებისათვის ჭიქის მიჭახუნებას... ადრე თუ გვიან, ყოველივე, რასაც დასთეს, აღმონაცენს მოგვცემს.

* * *

თუკი მოსაცილებელია ბრალდების მხარდამჭერი პროკურორი პროცესიდან – უმჯობესია დაიწყო მასზე ცილისწამების, ბეზღისა და განცხადებების კამპანიით. სანამ ყველაფერს შეამოწმებდნენ, მას ისე დაუწყვეტენ ნერვებს, რომ კაცად აღარ ივარგებს. იმავდროულად უნდა შექმნა თვით პროკურორისა და მისი ოჯახის წევრებისადმი გასაშუალებული საფრთხის ატმოსფერო, [illegible] და ხულიგნად, კარიერისტად და ინტრიგანად. ცოტა ხანს დააცადო, სანამ ობიექტს ნერვები უღალატებს, მერე კი შეახვედრო რესტორანში თანაკურსელებს, რომლებიც რომელიმე სოლიდური ფირმის იურისკონსულტებად მუშაობენ. თანაკურსელები სუფრაზე გულახდილად ილაპარაკებენ, თანაუგრძნობენ, დაუხატავენ პერსპექტივას – მარცხის შემთხვევაში შემზარავს და საქმის ბოლომდე ნორმალური მიყვანის შემთხვევაში უადეკვატოდ მიზერულ წახალისებას. მერე კი თანაკურსელები თავის ქნევით ჰკითხავენ: „რად გინდა, შარს რომ იკიდებ, ვის და რას უმტკიცებ? ვის უნდა შეაკლა თავი? იდეას? ჩვენ ხომ 917-ში არა ვართ... უნდა იბრძოლო საკუთარი თავისა და საკუთარი ოჯახისათვის, და არა იმისათვის, რომ [illegible] მოსკოვიდან მადლობა [illegible] და პროკურორიც შეიძლება გატყდეს. შეიძლება [illegible] ლის ბრალდების მხარდამჭერ[illegible] აუცილებელი, რომ ამასთან იგი კორუმპირებული პროკურორი გახდეს, ეს უკვე უბრალოდ გატეხილი კაცი იქნება. რას იზამ, ყველას თავისი სიმტკიცის მარაგი აქვს.

(სურათი შეიძლება სრულიად საპირისპირო იყოს. პეტერბურგის პროკურატურაში 1994 ზაფხულამდე მუშაობდა და წარმატებით იკეთებდა კარიერას ვინმე პროკურორი შეხოეცევი. რა გადაცდომაც უნდა ჩაედინა, რატომღაც ყველაფერი შერჩებოდა-ხოლმე. სულ რამდენიმე თვეში იმდენი ქნა, რომ ჩხუბი აუტეხა კოლეგას სამუშაო ადგილზე, მოაწყო მთვრალი დებოში მეტროში დედის გინებითა და პისტოლეტის ქნევით, მერე სულიერი და ფინანსური კრიზისის მდგომარეობაში კაზინო „ადმირალში" ფსონად ჩავიდა თავისი „მაკაროვის" ვაზნებს. მთელი ამ თავგადებულობის მიუხედავად, შეხოეცევს რატომღაც აწინაურებენ განყოფილების უფროსის მოადგილეობამდე, თუმცა პროკურატურაში სულ ერთ წელიწადს იმუშავა. მისი კარიერის ფინალი ვერ იყო სახარბიელო. 1994 წლის ზაფხულში მას წაასწრეს, როცა ცდილობდა ქრთამი გადაეცა კოლეგისათვის ვიღაც ჩეჩენი ავტორიტეტის გასათავისუფლებლად, ციხეში რომ მოხვედრილიყო იმ ხმაურიან და საინტერესო საქმესთან დაკავშირებით, რომელსაც პეტერბურგის პრესამ „ჩეჩნური მილიარდის საქმე" უწოდა. არადა, რა კარიერა ელოდა?!..)

თუკი გამოძიების ხელშემშლელი პიროვნების შესწავლის პროცესში გამოვლინდა მისი სისუსტე სპირტიანი სასმელების ან ქალების მიმართ (უმჯობესია, როგორც ერთის, ისე მეორის მიმართ), მაშინ მის საწინააღმდეგოდ წამოწყებული კომბინაციის წარმატება მხოლოდ დროის საქმეა. გამოძიების ირგვლივ უნდა შექმნა ნერვიული ატმოსფერო, რათა, რაც შეიძლება ხშირად იხსნიდეს სტრესს სმისა და ქალების მეშვეობით. შეიძლება შეტენო ვინმე მეძავი, უმჯობესია – ვენერიულად დაავადებული. თუ გამომძიებელი ცოლშვილიანია, მეძავთან კავშირის შემდეგ აპკიდებს ვენერიულ სნეულებას ცოლსაც, და ოჯახი უკვე ნაღდად დაენგრევა. სმას კიდევ უფრო მოუხშირებს. მთავარია, გვერდით ჰყავდნენ კარგი, გულითადი თანამეინახეები, შესაძლოა, – მისივე თანაკურსელები, იმიტომ, რომ იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ყველა როდი მიდიან სამუშაოდ მილიციაში. ნამთვრალევზე გამომძიებელი მეტ შეცდომებს ჩაიდენს და, მაშასადამე, მეტი დასაბუთებული [illegible] უჩინო ძმაკაცი, რომელიც ყოველთვის ასესხებს ფულს...

როდესაც სუფრის სიყვარული გადაბმულ სმად გადაექცევა, საჭიროა მხოლოდ უგრძნობლად დაათრო ობიექტი (ყველას აჯობებს, რომ ამას უყურებდეს მისი რომელიმე ნორმალური კოლეგა), მერე ამოაცალო სატაბელო იარაღი, პირადობის მოწმობა და სადმე ქუჩის მერხზე დააწვინო დასამინებლად... რომ გამოეღვიძება, იგი იქნება უკვე არა გამომძიებელი, არამედ... ნეხვი. იარაღისა და პირადობის მოწმობის დაკარგვისათვის, როგორც ცნობილია... პრემიას არ იძლევიან.

(გაგრძელება იქნება).

სისხლიანი „გარჩევის" მსხვერპლნი ალექსანდრესთან ერთად მათი ერთგული ძაღლები ხვდებიან [illegible]

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 227 - 240.

„ნინა რიჩი“ და „ლაკიდუსი“ მოსკოვში

ისიი – მაღალი მოდა.

ხორვატეთის უზენაესი მოსამართლე დაითხოვეს პედოფილიის ბრალდებით

ხორვატეთის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კრუნოსლავ ოლუიჩი თანამდებობიდან დაითხოვა დისციპლინურმა კომისიამ მთავრობის რეკომენდაციით. მას ბრალად ედება სექსუალური კავშირის დამყარება არასრულწლოვანთან და თანამდებობის ბოროტად გამოყენება მეგობრების საფინანსო საქმიანობის დასაცავად. ოლუიჩმა გაზეთ „გლობუსის“ კორესპონდენტთან საუბრისას განაცხადა: მე მიკვირს, რომ პოლიცია არასრულწლოვან გოგონებთან სექსუალურ ურთიერთობას მაბრალებსო (როგორც გაზეთები წერენ, ამ გაკვირვების მიზეზი ის არის, რომ სასამართლოს თავმჯდომარე ჰომოსექსუალისტი ყოფილა).

შიდსი შავი ჭირივით ვრცელდება

ყოფილი საბჭოთა კავშირის მცხოვრებთა უმრავლესობის მტკიცებამ, რომ „ჩვენს ქვეყანაში შიდსი არ არის და ეს სხვების პრობლემააო“, ნათლად გამოავლინა მთელი თავისი აბსურდულობა და უსაფუძვლობა, წერს „ვაშინგტონ პოსტი“. ეს ბოლო წლებია, შიდსი შავი ჭირივით მოედო რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსიის ტერიტორიას. მაგალითად, ბელორუსიის ქალაქი სვეტლოგორსკი ნიუ-იორკის შემდეგ შეიძლება მეორე ქალაქად ჩაითვალოს შიდსიან ავადმყოფთა რაოდენობის მიხედვით. და თუ დასავლეთში შიდსის გავრცელების მიზეზია ცხოვრების მოყირჭება, სვეტლოგორსკში საქმე სხვაგვარად არის. სამუშაოსა და სახლის გარდა სხვა ცხოვრების არარსებობა ქალაქის ახალგაზრდობას აიძულებს ეძებოს თავდავიწყება ნარკოტიკებში. ამის შედეგად ხშირად ერთ ნემსზე „ჯდება“ მთელი კოლექტივი, რაც გარდაუვლად იწვევს შიდსის გავრცელებას. სიტუაციას კიდევ უფრო მეტად ალრმავებს შიდსიანთა მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტებისა და თანამედროვე აპარატურის უქონლობა. და აქ დასავლეთის მატერიალური დახმარებაც კი უძლურია. შიდსის დამარცხებით უწინარესად დაინტერესებული უნდა იყვნენ თვით ყოფილი საბჭოეთის მცხოვრებნი და ეს ბრძოლა მათ უნდა დაიწყონ შიდსის საკითხებში უწიგნურობის ლიკვიდაციით.

გაიყოფა თუ არა ბელგია?

ფლამანდიელები სულ უფრო აქტიურად მოითხოვენ ბელგიის გაყოფას.

მანიფესტაცია ბელგიის გაყოფის წინააღმდეგ. პლაკატზე წარწერილია: „1 ვალონი პლუს 1 ფლამანდიელი = ორ ბელგიელს. გაუმარჯოს ბელგიას!

რატომ არის ათილი რეფერენდუმი

ელორუსიის პარლამენტის
რე სიმონ შარეცკი შეხვდა
ლამენტის 55 დეპუტატს, რო-
ბიც ბრალად სდებენ პრეზი-
ტ ლუკაშენკოს ახალ პარლა-
ში დემოკრატიულად არჩე-
თა ნაცვლად „მოშინაურებუ-
“ წევრების შეყვანას. განცხა-
აში რეფერენდუმის შედეგე-
არალეგიტიმურობის შესახებ
თვლილია ოთხი უხეში პრო-
ურული დარღვევა: 1) შეუძ-
ელია დადგინდეს, რამდენი
სსაყრელი ბიულეტენი დაიბეჭდა, ვინაიდან ამ საქმეს უძღვებოდა პრეზიდენტის ადმინისტრაცია; 2) მოეწყო ვადამდელი კენჭისყრა რეფერენდუმზე გასატანი საბოლოო პროექტების პუბლიკაციამდე; 3) რეფერენდუმი დაფინანსდა უცნობი წყაროებიდან და არა ცენტრალური საარჩევნო კომისიის სახსრებიდან; 4) სახელმწიფო კონტროლს უწევდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს და ამის მეოხებით ეწეოდა პროპაგანდისტულ კამპანიას რეფერენდუმის მხარდასაჭერად.

ვროპის საბჭო გმობს

როპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ გამოაქვეყნა განც-
ება, რომელშიც ნათქვამია, რომ რეფერენდუმის ორგანიზაცია
საალმდეგება მიღებულ დემოკრატიულ ნორმებს და ეჭვქვეშ აყე-
ს დემოკრატიის განვითარებას ქვეყანაში. დოკუმენტში აგრეთვე
ამნულია, რომ ასამბლეას „ლეგიტიმურად მიაჩნია ბელორუსი-
ბლანდელი დელეგაცია, რომელიც ევროპის საბჭოს საპარლა-
ო ასამბლეაში მიავლინა უკანასკნელი მოწვევის უზენაესმა სა-
ბ, და, ამდენად, ბელორუსიის ახალი პარლამენტის წარმომად-
ლებს არ მიიღებენ საპარლამენტო ასამბლეაში“.

ლუჟკოვი სამეულში გავიდა

ელცინს განზრახული აქვს გააფართოოს მოსკოვის მერის იური ლუჟკოვის ხელისუფლებრივი რწმუნებები და გაზარდოს მისი პრესტიჟი პრეზიდენტის აპარატის მეთაურის ანატოლი ჩუბაისის საპირისპიროდ. ჩვეულებრივ, ელცინი ხელმძღვანელობას ახორციელებს სამი ან ოთხი უახლოესი თანამემწის მეშვეობით, და თვითონ იტოვებს არბიტრის როლს. უშიშროების საბჭოს მდივნის ალექსანდრე ლებედის დათხოვნის შემდეგ მხოლოდ ჩუბაისი და ჩერნომირდინი ითვლებოდნენ ძირითად მოთამაშეებად. ლუჟკოვის მონაწილეობა საკონსულტაციო საბჭოს სხდომაში მის ამაღლებას მოწმობს. მერის მხარდამჭერის ძლიერი პოლიტიკური ბაზა, მისი აგრესიული ტაქტიკა და პრივატიზაციასთან დაკავშირებით ლუჟკოვსა და ჩუბაისს შორის წამოჭრილი უთანხმოებანი ხელს უწყობს იმას, რომ მოსკოვის მერი გამოდიოდეს როგორც ჩუბაისის ბუნებრივი საპირწონე.

როდიონოვი: ყირიმი და სევასტოპოლი უკრაინას ეკუთვნის

რუსეთის თავდაცვის მინისტრმა უკრაინელ კოლეგასთან ალექსანდრე კუზმუკთან შეხვედრის შემდეგ კვლავ გაიმეორა, რომ რუსეთი არ დათანხმდება შავი ზღვის ფლოტის სევასტოპოლის ბაზის ერთობლივ გამოყენებას უკრაინისა და რუსეთის ნაწილების მიერ. რაც შეეხება მოსკოვის მერის ლუჟკოვის პრეტენზიებს სევასტოპოლის თაობაზე, როდიონოვმა განაცხადა: რუსეთი უნდა შეურიგდეს იმ ფაქტს, რომ ყირიმი და სევასტოპოლი უკრაინას ეკუთვნის. კუზმუკის თქმით, უკრაინის ფლოტის ბაზა იქნება სევასტოპოლში და მომავალი მოლაპარაკება, ალბათ, გადაწყვეტს ამ დავას. როდიონოვმა კომპრომისის მიუღწევლობა დააბრალა რუსეთის, უკრაინისა და სხვა ქვეყნების „მესამე ძალებს“, რომლებსაც სურთ ჩაშალონ რუსეთ-უკრაინის თანამშრომლობა.



ფლოტთან დაკავშირებულ უთანხმოებათა მიუხედავად მინისტრებმა ხელი მოაწერეს ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობის საგაისო გეგმას, რომელიც მოიცავს ერთობლივი საჰაერო თავდაცვისა და კავშირგაბმულობის გაუმჯობესების ღონისძიებებს.

აქვს თუ არა რუსეთს ბიოლოგიური იარაღი?

ამერიკის შეიარაღებისადმი კონტროლისა და განიარაღების სააგენტოს მეთაურმა ჯონ ჰოლემა თქვა, რომ ვაშინგტონის მონაცემებით, 12 ქვეყანას, მათ შორის რუსეთს, ერაყსა და ჩინეთს აქვთ ბიოლოგიური იარაღის შემუშავების პროგრამები. 1992 წელს პრეზიდენტმა ბორის ელცინმა აღიარა, რომ საბჭოთა კავშირი ბიოლოგიურ იარაღს ამუშავებდა 1972 წლის კონვენციის დარღვევით, ამასთანავე მტკიცედ განაცხადა, რომ ყველა მსგავსი პროგრამა შეწყვეტილია.

სოლჟენიცინი მთავრობას აკრიტიკებს

ნობელის ლაურეატმა მწერალმა ალექსანდრე სოლჟენიცინმა ფრანგულ გაზეთ „მონდში“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც დახატა დღევანდელი რუსეთის შემზარავი სურათი. სტატიის გამოსვლა დაემთხვა ჩერნომირდინის ვიზიტს პარიზში. სოლჟენიცინი ამტკიცებს, რომ რუსეთის ახალი მთავრობა არაფრით არ სხვაობს კომუნისტებს და ხაზს უსვამს, რომ ამჟამად რუსეთში დემოკრატიის ნასახიც კი არ არის. ქვეყანას მართავს ოლიგარქია 150-200 კაცის მონაწილეობით. ისინი წარმოადგენენ ყოფილ კომუნისტურ ელიტას ან „ახალ რუსებს“, რომლებმაც დრო იხელთეს და უკანონო ხერხებით შეიძინეს უზარმაზარი ქონება. სოლჟენიცინს მიაჩნია, რომ სახელმწიფო თავის საქმიანობაში არ გრძნობს არავითარ პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე, ხოლო პრესას მკაცრი კონტროლი ეწევა.

ეკონომიკის მინისტრის გაფრთხილება

ეკონომიკის მინისტრი ევგენი იასინი თავის წერილში აფრთხილებს პრემიერ ჩერნომირდინს, რომ მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა ქვეყანას ხანგრძლივი დეპრესიისაკენ უბიძგებს. როგორც იასინი წერს, გადასახადების აკრეფის ჩაშლა შედეგად მოჰყვა არა მდიდართა ჯიუტ უარს, იხადონ გადასახადი, არამედ საგადასახადო ბაზის შემცირებას წარმოების მოცულობის დაქვეითებისა და სამრეწველო საწარმოების ფინანსური სიტუაციის გაუქმების გამო. მან მოუწოდა რადიკალურად შეიცვალოს მთავრობის კურსი.

შეხვედრა ბეთლემში

უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა ბეთლემში შეხვდა პალესტინის ლიდერს იასირ არაფატს. ორმა ლიდერმა განიხილა პალესტინის ტერიტორიაზე შექმნილი სიტუაცია და უკრაინა-პალესტინის თანამშრომლობის საკითხები. კუჩმამ განაცხადა, რომ უკრაინა მხარს უჭერს პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის უფლებას ისრაელთან მოლაპარაკებაში. არაფატის თქმით, მიღწეულია თანხმობა, რომ კიევში გაიხსნას პალესტინის საელჩო. პირველად მოხდა, რომ არაფატმა მიიღო უცხოეთის სახელმწიფოს მეთაური ბეთლემში, რომელიც პალესტინის იურისდიქციას გადაეცა ავტონომიის შეთანხმებათა შესაბამისად.

მინისტრს ბრალად ედება კორუფცია

ბულგარეთის ტრანსპორტის მინისტრს სტამენ სტამენოვს ბრალად ედება ფინანსური დანაკარგები, რომლებმაც ბულგარეთს რამდენიმე მილიონი დოლარი აზარალა. სტამენოვმა 1994 წლის ივლისსა და 1995 წლის იანვარს შუა პერიოდში, როდესაც იგი სახელმწიფო რკინიგზის კომპანიის გენერალური დირექტორი იყო, ხელი მოაწერა არახელსაყრელ კონტრაქტებს იუგოსლავიის რკინიგზის კომპანიასთან. ბულგარეთის ერთ-ერთი უბედურება ის არის, წერს გაზეთი „ტრუდი“, რომ ხელმძღვანელებს მუდამ ეჭვი აქვთ ერთმანეთზე სხვადასხვა სამართალდარღვევასა და ბოროტგამოყენებაზე.

რუსი ბიზნესმენები ტელემთერშიც ბატონობენ

რუსეთის ბიზნესმენებმა კონტროლი დაუწესეს ბაზრის ყველა ტელესაკომუნიკაციო სექტორს და დასავლეთის ინვესტორების ადგილი დაიკავეს, წერს ბრიტანეთის გაზეთი „ფაინენშლ ტაიმსი“. რუსეთის მთავრობას განზრახული ჰქონია შეაჩეროს დასავლეთის კონსორციუმის მუშაობა, რომელსაც სათავეში უდგას ფირმა „ნმ როტშილდი“. ამ კონსორციუმმა რუსეთის ტელეკომუნიკაციების განვითარებაში მილიარდი დოლარი დააბანდა. ახლა მათი განვითარება წარიმართება რუსეთის საფინანსო სამყაროს ორი ვეშაპის „ალფა ბანკისა“ და ჯგუფ „ხიდის“ დროშით. და თუ რუსეთის ბიზნესის მოღვაწენი ოპტიმიზმით არიან აღსავსენი, დასავლელ ინვესტორებს არ მიაჩნიათ ახლანდელი სიტუაცია რუსეთის მხარის გამარჯვებად. მათი აზრით, ჯერ კიდევ ძალზე ნაადრევია ილაპარაკო რუსეთის ტელესაკომუნიკაციო სექტორზე, როგორც სრულად ჩამოყალიბებულ ორგანიზმზე. როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, რუსეთში წამყვან დასავლელ ინვესტორებთან ურთიერთობა გაფუჭდა ჯერ კიდევ ზაფხულში, წინა საარჩევნო კამპანიის დროს, როდესაც „ელცინის თანამოსაგრენი“ — ჯგუფი „ხიდი“, ბანკები „ალფა-ბანკი“, „მენატეპი“ და „სტოლიჩნი“ ჩაერივნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

როგორ იხსნა თევზის მწვადმა სტალინის, რუზველტისა და ჩერჩილის სიცოცხლე

ცნობილი ფილმის „თეირან-43“-ის სცენარი სულთან ალმაზოვისთვის რომ დაეწერინებინათ, იგი სულ სხვაგვარი გამოვიდოდა. სულთან ალმაზოვი იყო არა მარტო მომსწრე, არამედ უშუალო მონაწილეც მოვლენებისა, რომლებზეც ფილმშია ნაამბობი. მაშინ იგი 27 წლისა იყო. ახლა 80-ისა არის, მაგრამ კვლავ მხნედ გამოიყურება და არც მეხსიერებას უჩივის...

ალინმა აზერბაიჯანის კო-
გის ცენტრალური კომიტე-
პირველ მდივანს მირჯაფარ
როვს წარუდგინა უფროსი
ტენანტი, რომელიც უმაღლესი
გაციის გამცილებელთა შო-
იყო: „ეს ახალგაზრდა გე-
ლ-მაიორობის ღირსია. მან
იჩინა ნამდვილი გმირობა,
კონფერენცია წარმატებით
თავრებულიყო“. მაგრამ ახა-
ზრდა უფროს ლეიტენანტს,
ელმაც „ხალხთა მამის“ ყუ-
ლება დაიმსახურა, არათუ გე-
ლ-მაიორის წოდება, საე-
დ არავითარი სამთავრო-
ლდო არ აღირსეს. როგორც
ალინი ბაქოდან გაიგულეს,
რნეებმა ადგილობრივი უშ-
დან ყველაფერი ილონეს, რა-
შენაესი მხედართმთავრის
ილი შეუსრულებელი დარ-
ლიყო.

ბილისის სამთამადნო ინს-
ტიტუტის კურსდამთავრებული
თან ალმაზოვი, ალბათ, ვე-
ი იოცნებებდა იმაზე, რომ
ყოვლისმძლე სტალინს შე-
დრებოდა. ისე მოხდა, რომ
ტუტის დამთავრების შე-
ალმაზოვი, კომკავშირული
ვისგი სამუშაოდ გაამწე-
აზერბაიჯანის რკინიგზის
ლმწიფო უშიშროების სა-
თველოში. 1943 წლის და-
ეს ღამის სამ საათზე ტე-
ონით დაურეკეს ევლახში,
მუშაობდა, და უბრძანეს,
ყოვნებლივ ჩასულიყო ბა-
„უ-2“-ის შტურვალს თვით
ახის აეროპორტის უფრო-
უჯდა და დილის ხუთ სა-
ალმაზოვი აზერბაიჯანის
ლმწიფო უშიშროების კო-
ტის თავმჯდომარის ემელი-
ის წინაშე წარსდგა. ამო-
, რომელიც ემელიანოვმა
გაზრდა ლეიტენანტს და-
, მართლაც ზესახელმწი-
რივი მნიშვნელობისა იყო:
ღლის რვა საათზე მოს-
დან ბაქოში ჩამოვა სამ-
რო შემადგენლობა. ცამე-
აანი ჯგუფი შენი მეთაუ-
თ ამ ჯგუფს თეირანში წა-
ა. მატარებელში არიან სა-
ა მთავრობის წარმომად-
ები, სამხედრო და პოლი-
ური ექსპერტები, სხვა ოფი-
ური პირნი, რომლებმაც
წილეობა უნდა მიიღონ სა-
მწიფო მეთაურთა კონფე-
ციაში, აგრეთვე რადიოსა
ავშირგაბმულობის მუშა-
თქვენ გევალებათ უზრუ-
ყოთ მათი უსაფრთხოება
მავე დროს კოორდინაცია
ოთ იმ ჯგუფის მუშაობას,
ელიც თეირანში იმოქმედ-

თი წლის წინათ,გამარჯვების ორმოცდაათი წლისთავისათვის, აზერბაიჯანის მთავარი საარქივო სამმართველოდან გამოვითხოვე ცნობა თეირანის კონფერენციის გამართვაში ბაქოს როლის შესახებ, მე მაცნობეს: „ცოტა ხნით აზერბაიჯანის დედაქალაქი დიპლომატთა, სამხედრო მოხელეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების თანამშრომელთა თავშეყრის პუნქტი გახდა. თვით სტალინი მრავალი წლის განმავლობაში პირველად ჩამოვიდა აქ სპეციალური მატარებლით და მაშინვე გაფრინდა თეირანში“. მაშასადამე, სტალინიც იყო იმ მატარებელში? მაგრამ სულთან ალმაზოვმა მითხრა, არაო:

— მატარებლის გაგზავნა წარმოადგენდა სპეციალურ ოპერაციას, რომელიც მიზნად ისახავდა შენიღბა თეირანში საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის გამგზავრება. სინამდვილეში სტალინი, მოლოტოვი და ვოროშილოვი ბაქოში თვითმფრინავ „დუგლასით“ ჩამოფრინდნენ, მერე კი „ზის-110“ მარკის სამი მსუბუქი ავტომობილით გაეშურნენ თეირანში ასტარას გაელით.

წინდახედული ბელადის მარშრუტი თურმე არ ყოფილა დაფიქსირებული არც ერთ დოკუმენტში, რომლებიც შემდეგ, როგორც წესი, არქივებში ხვდება ხოლმე. ხოლო სპეცმატარებლის ამბავი იცოდნენ. ალმაზოვის თქმით, მატარებლის თორმეტ ვაგონთან ორი გადაცემული იყო სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ოპერსამმართველოს უფროსის, არმიის გენერლის შტემენკოს განკარგულებაში. ამ ვაგონებით მოდიოდნენ არმიის უმაღლესი ოფიცრები, სტენოგრაფისტი და ტელეგრაფისტი ქალები. ჯგუფს მუდმივი რადიოკავშირი ჰქონდა დამყარებული მოსკოვთან და პერიოდულად გადაჰქონდა კედლებზე ჩამოკიდებულ რუკებზე საფრონტო ვითარების შესახებ მიღებული ცნობები. სამი სახელმწიფოს მეთაურთა კონფერენციის დღეებში სხდომების დაწყებამდე ორი საათით ადრე, აგრეთვე დამთავრების შემდეგ სტალინი, მოლოტოვი და ვოროშილოვი მიდიოდნენ შტემენკოს ვაგონში, რათა მოესმინათ მოსკოვიდან მიღებული ინფორმაცია და მიეცათ საჭირო მითითებები ჟუკოვისათვის.

კონფერენცია გაიხსნა ზუსტად 53 წლის წინათ, 1943 წლის 28 ნოემბერს. წინასწარ იყვნენ შეთანხმებულნი, რომ სხდომები რიგრიგობით გაიმართებოდა მონაწილე ქვეყნების საელჩოებში. პირველი სხდომა უაღრესად საიდუმლო ვითარებაში მიმდინარეობდა სსრ კავშირის საელჩოს სააქტო დარბაზში. მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ მხოლოდ ექსპერტები და თარჯიმნები.

— უაღრესი საიდუმლოობის მიუხედავად, სხდომის დამთავრებიდან ორი საათის შემდეგ გერმანიის რადიომ გადასცა ცნობა ამ სხდომაზე განხილული საკითხების შესახებ, რამაც ალიაქოთი გამოიწვია სამივე დელეგაციის წევრებს შორის, — თქვა ალმაზოვმა. — აქამდე ერთი საათით ადრე კი ჩვენმა რადისტებმა დაიჭირეს უცნობი რადიოსადგური. მაშასადამე, რომელიღაც დელეგაციის შემადგენლობაში გერმანიის მსტოვარი იყო.

დღეს უკვე საკმაოდ დეტალურად არის ცნობილი, რომ ბერლინში შემუშავებული ჰქონდათ „დიდი სამეულის“ ლიდერთა წინააღმდეგ დივერსიის გეგმა, რომლის კოდური სახელწოდება იყო „შორი ნახტომი“. ჰიტლერმა დივერსიის განხორციელება ოტო სკორცენის დაავალა. მაგრამ ისტორია უსამართლოდ სდუმს იმ ადამიანებზე, რომელთა ძალისხმევითაც მოხერხდა ამ გეგმის ჩაშლა. სულთან ალმაზოვი ერთი იმათგანი იყო...

ჯერ კიდევ ბაქოდან გამგზავრებისას მას ჩაუტარეს ინსტრუქტაჟი, უთხრეს, რომ ბრიტანეთის დელეგაციის ექსპერტთა შორის არის საბჭოთა აგენტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში კავშირზე გამოვა. შეხვედრის ადგილი და პაროლი ცნობილი იყო.

— კონფერენციის მუშაობაში ყოველ საათს ცხადდებოდა თხუთმეტწუთიანი შესვენება, — ამბობს სულთან ალმაზოვი. — ერთ-ერთი შესვენების დროს 14.30-ზე მე დათქმულ ადგილას შევხვდი ჩვენს მოკავშირეს ბრიტანეთის დელეგაციიდან. ეუთხარი პაროლი, რის შემდეგაც მან ქაღალდის პარკში ჩამიდო ფურცელი, ჩამიყარა შიგ ჩამიჩი და გადმომცა, თან მანიშნა, ბარათი დაუყოვნებლივ წაიკითხეო.

მაგრამ პარკიდან ბარათის საჯაროდ ამოღება და წაკითხვა ჩეკისტს, ბუნებრივია, არ შეეძლო, ამიტომ ეს უკვე ვაგონის რადიოკავშირის პუნქტში მისვლისას გააკეთა. ბარათში ნათქვამი იყო, რომ ჩვენი აგენტი უთვალთვალებს ბრიტანეთის დელეგაციის ერთ წევრს, რომელიც ეჭვმიტანილი ჰყავს გერმანელებთან კავშირში. პირველი სხდომის შემდეგ ამ კაცს საელჩოში დაბრუნებისას ფოიეში ბარათი გადაუცია ბრიტანეთის თეირანის დიპლომატიური მისიის თანამშრომლის, მოხუცი ულვაშა შვეიცარისათვის.

ამრიგად, ეჭვქვეშ იყო უკვე ორი კაცი. ახლა მათთვის სამხილი უნდა წაესწროთ.

ალმაზოვმა „ცამეტთა ჯგუფში“ შემავალ სხვა ოპერატიულ მუშაკებთან ერთად უწინარეს ყოვლისა, მოიტაცა „შვეიცარი“, რომელიც თურმე მართლა გადასცემდა ინფორმაციას კონფერენციის შესახებ. აი, როგორ მოხდა ეს: „მეორე სხდომა საღამოს 8 საათზე დამთავრდა. ნახევარი საათის შემდეგ სწორედ ის კაცი საელჩოდან გავიდა და ქალაქისაკენ გაემართა. შევიდა ერთ მონგრეულმესრიან ეზოში და კარი შიგნიდან ჩაკეტა. მე და ოპერმუშაკმა საკვალთი ბებუთის წვერით ავწიეთ და სახლში შევიპარეთ. ჩვენი თვალთვალის ობიექტს ელდა ეცა; მასთან ერთად იყო ორი თანაშემწე — გოგონები, იქვე იდგა რადიოსადგური“.

ჩეკისტებმა წამოიღეს ქაღალდი, რადიოსადგური და „შვეიცარი“ მიაბრძანეს ჟანდარმერიის უბანში, სადაც მაშინვე დაჰკითხეს. თარჯიმნის მეშვეობით დაადგინეს, რომ ცნობები კონფერენციიდან რაციით გადაიცემოდა გერმანიის თურქეთის საელჩოში, ხოლო იქიდან – ბერლინში. დაკავებულმა გათქვა დიდი ბრიტანეთის დელეგაციის შემადგენლობაში მოკალათებული აგენტი, რომელიც როგორც მოგვიანებით გამოირკვა, უკვე კარგახანია თანამშრომლობდა გერმანიის დაზვერვასთან. სტალინმა ინგლისის პრემიერ-მინისტრს აცნობა ამ ჯაშუშის ამბავი, და მეორე დღეს მსტოვარი უკვალოდ გაქრა...

მაგრამ მოვლენების კულმინაცია წინ იყო. როგორც ალმაზოვი იხსენებს, ბრიტანეთის დელეგაციაში შეგზავნილმა საბჭოთა აგენტმა გადმოსცა ცნობა, რომ კონფერენციის მესამე დღეს, რომლის სხდომა ინგლისის საელჩოში უნდა გამართულიყო, მზადდება თავდასხმა სტალინისა და რუზველტის მოსაკლავად. სააქტო დარბაზის ქვეშ ნაღმები ყოფილა ჩადებული. ჩერჩილს ავადმყოფობის საბაბით უნდა დაეგვიანებინა 10 წუთით და სწორედ ამ დროს მოხდებოდა აფეთქება. მოისმინა რა გენერალ შტემენკოს მოხსენება, სტალინმა მოლოტოვსა და ვოროშილოვს მიმართა: „ჩერჩილისაგან მოსალოდნელი იყო ასეთი რამ. ყველამ იცის, რა ანტიკომუნისტია. ეტყობა, ჩერჩილს ვერ გაუგია იმ პრობლემების არსი, რომლებსაც ჩვენს სხდომებზე განვიხილავდით, ანდა თავს ისულელებს“.

მაგრამ ჩერჩილი, როგორი თავგამოდებული ანტიკომუნისტიც უნდა ყოფილიყო, ასეთ ბოროტ ზრახვას, ალბათ, მაინც არ ჩაიდებდა გულში. ალმაზოვის აზრით, შესაძლოა თვით გერმანიის აგენტმა — ეროვნებით ინგლისელმა — გადაწყვიტა ამ გზით ეხსნა ჩერჩილი უცილობელი დაღუპვისაგან. სხვათა შორის, ჩერჩილს არც მიუქცევია განსაკუთრებული ყურადღება რჩევისათვის „ცოტა ხნით დააგვიანეთო“.

სანამ ჩეკისტები თავს იმტვრევდნენ, როგორ უვნებელეყოთ ნაღმები ინგლისის საელჩოში, სტალინმა, რომელსაც ტყუილად არ ჰქონდა გავარდნილი უბადლო დიპლომატის სახელი, პრობლემა გენიალური სიმარტივით გადაწყვიტა. აიღო ტელეფონის ყურმილი და რუზველტს დაურეკა: „პატივცემულო ბატონო რუზველტ, მე შეგპირდით თქვენ და ჩერჩილს, რომ თევზის მწვადით გაგიმასპინძლდებოდით. თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, მოდით, ხვალინდელი სხდომა ჩვენს საელჩოში გავმართოთ. სხდომას მოვრჩებით თუ არა, მაშინვე მივუსხდეთ სუფრას“. რუზველტი სიამოვნებით დათანხმდა ამ წინადადებას, და სტალინმა დაავალა გადაეცა მისი თხოვნა ჩერჩილისათვის. დადო თუ არა ყურმილი, ბრძანა, შეეკრიბათ დაწვრილებითი ინფორმაცია მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ.

საბჭოთა ჩეკისტებს ამ საქმეში „დაეხმარა“ ჟანდარმერიის უბანში ჩაყუდებული რადისტი, რომელსაც დასაკარგი არაფერი ჰქონდა. მან ასაფეთქებელი მასალების განლაგების დეტალური სქემაც კი დახაზა. მესანგრეთა მცირე ჯგუფმა, რომელშიც სულთან ალმაზოვიც შედიოდა, პირდაპირ გააოგნა ინგლისის ელჩი, როცა დიდი ბრიტანეთის საელჩოს სარდაფში ჩასვლა მოითხოვა. ბედად, დეტონატორები ჯერ კიდევ არ იყო მიერთებული ნაღმებზე. ხუთივე ნაღმი, ოთხი — კუთხეებში და ერთი — ცენტრში, უვნებელყვეს.

ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი ალან ბულოკი თავის განთქმულ წიგნში „ჰიტლერი და სტალინი“ ასე აღწერს თეირანის კონფერენციის ერთ-ერთ ეპიზოდს: „რაღაც მომენტში სხდომები შეწყდა საზეიმო ცერემონიით. „მეფის დავალებით“ ჩერჩილმა სტალინს გადასცა საგანგებოდ რუსებისათვის გამოჭედილი ხმალი — ნიშნად სტალინგრადის დამცველთა გმირობით აღფრთოვანებისა...“ წიგნში არის ფოტოსურათი, რომელზეც სტალინი ამ ხმალს ეამბორება. „ხალხების მამის“ უკან მეორე რიგში დგას პირმოცინარი ახალგაზრდა კაცი, რომელმაც, სხვებთან ერთად, შესაძლებელი გახადა შემდგარიყო ეს ღირსსახსოვარი მოვლენა. ეს არის სულთან ალმაზოვი.

სვეტლანა ტურიალაი,
ბაქო.

შეშმეპარი დივერსანტები ხალხს ართობენ

ყოფილი წყალქვეშელი, გადამდგარი ოფიცერი ალექსი საბიტოვი თავის დროზე დელფინებს წვრთნიდა ხომალდების დასაცავად.

— ისინი გამოირჩევიან იშვიათი ლოკაციური უნარით, რომლის გამოყენებითაც ვასწავლიდით დელფინებს დივერსანტების, ტორპედოების, წყალქვეშა ნავების ძებნას, — თქვა საბიტოვმა. სულ ბოლო დრომდე დელფინები სამხედრო-საზღვაო ფლოტს ეკუთვნოდნენ, იცავდნენ ხომალდებსაც და სევასტოპოლის ყურეში შესასვლელსაც. მაგრამ არმიას გაუჭირდა... ახლა შემცირებაში მოყოლილ „სამხედრო“ დელფინებს, შეიძლება ითქვას, ბედმა გაუღიმათ: ისინი როსტოვში გახსნილ დელფინარიუმში მუშაობენ. აი, მათი ყოფილი ბატონ-პატრონნი — საზღვაო ოფიცრები კი, თითო-ოროლა კაცის გარდა, რომლებიც დელფინებს გადმოჰყვნენ დელფინარიუმში, უმუშევარნი დარჩნენ.

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების– OMRI -სა და „პლანეტა–ფორტეს“ მასალების მიხედვით.

უძღვება
არჩილ მანჯგალაძე.

GCF

ლაზიერი

№2

საქართველოს
ჭადრაკის ფედერაციისა და
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“
ერთობლივი ყოველთვიური
გამოცემა

ზეწარმატებული ბიზნესმენი, ფიდეს პრეზიდენტი

სავიზიტო ბარათი

ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი, ეროვნებით ყალმუხი, დაიბადა 1962 წლის 5 აპრილს. სკოლაში სწავლის პერიოდში მოიპოვა ყალმუხეთის ჩემპიონის წოდება ჭადრაკში. დაამთავრა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი. გაიმარჯვა მკაცრ კონკურსში და დაინიშნა ერთობლივი საბჭოთა-იაპონური ფირმის „ლიკა-რადუგა“-ს გენერალურ მენეჯერად. მას მიეცა გამდიდრების შანსი და გამოიყენა კიდეც. ილუმჟინოვის კაპიტალი საგრძნობლად გაიზარდა, როდესაც 29 წლის ასაკში რუსეთის საქალაქდო ბირჟის პრეზიდენტი გახდა.

ზეწარმატებული ბიზნესმენი 1993 წელს (31 წლის ასაკში) აირჩიეს ყალმუხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად.

ჭადრაკზე უზომოდ შეყვარებული ბატონი კირსანი გასული წლის ნოემბერში პარიზში დაესწრო ფიდეს კონგრესს, სადაც მოულოდნელად წამოაყენა თავისი კანდიდატურა ფიდეს პრეზიდენტის პოსტზე და გაიმარჯვა კიდეც. მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერში ქ. ერევანში ჩატარებულ მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე უმაღლესმა საჭადრაკო ფორუმმა გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა კირსან ილუმჟინოვი ფიდეს პრეზიდენტად.

გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც აიღო ჟურნალისტმა ბობი ფრანბიშვილმა ჭადრაკის მსოფლიო ფედერაციის (ფიდეს) პრეზიდენტისაგან ბატონ კირსან ილუმჟინოვისაგან ერევანში 1 ნოემბერს ფიდეს პრეზიდენტად მისი ხელმეორედ არჩევის შემდეგ.

კორესპონდენტი: — ბატონო პრეზიდენტო, საქართველოს მოჭადრაკეთა და ჭადრაკის მოყვარულთა სახელით გილოცავთ ფიდეს პრეზიდენტად არჩევას და გისურვებთ წარმატებებს ამ მეტად მნიშვნელოვან საერთაშორისო პოსტზე. გილოცავთ გამარჯვებას.

ილუმჟინოვი: — გმადლობთ. მე ვიტყოდი, რომ ეს არ არის მხოლოდ ჩემი გამარჯვება, რადგან პირველად ამ ოლიმპიადის დღეებში ჩატარებულ ფიდეს კონგრესზე მოხდა ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის საფუძველზე შექმნილი 15 დამოუკიდებელი ქვეყნის წარმომადგენელთა გაერთიანება ერთიანი ფრონტით. ეს დიდი ძალაა. როცა ერთ მუშტად შეკრული 15 ქვეყანა იბრძვის ერთი მიზნისათვის, მაშინ შესაძლებელია ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტა.

სურათზე: ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი (მარჯვნივ) და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ვაჟა შუბლაძე ერევნის ოლიმპიადაზე.

აქვე დიდი მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ბატონი ვაჟა შუბლაძე იმ დიდი მხარდაჭერისათვის, რომელიც მან გამიწია, აგრეთვე იმ საინტერესო რჩევებისათვის, რომელსაც ის მაძლევდა. მე შედარებით ახალი კაცი ვარ მსოფლიო საჭადრაკო მოძრაობაში და ასეთი თანადგომა და მეგობრული რჩევები ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

კორესპონდენტი: — როგორ აფასებთ საქართველოს მოჭადრაკეთა გამოსვლას მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე?

ილუმჟინოვი: — მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გადავცე ჩემი სალამი და საუკეთესო სურვილები თქვენი ქვეყნის პრეზიდენტს მის აღმატებულებას, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს.

მე დავამთავრე მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტი. როცა სტუდენტი ვიყავი, ედუარდ ამბროსის ძე იყო საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი და ჩვენთვის იყო ღმერთის ტოლფასი პიროვნება.

მე დიდი პატივისცემით ვარ გამსჭვალული მისი პოლიტიკის და მისი, როგორც პოლიტიკოსის მიმართ.

მე არ ვიცი, ბატონი შევარდნაძე თამაშობს ჭადრაკს თუ არა, მაგრამ მგონია, რომ ის ჭადრაკის დიდი მცოდნეა, ალბათ, საერთაშორისო დიდოსტატია... პოლიტიკაში.

რაც შეეხება ოლიმპიადაზე საქართველოს ნაკრები გუნდების გამოსვლას, ქალთა წარმატება სავსებით კანონზომიერია. საერთოდ ქართველი მოჭადრაკე ქალები თავიანთი ბრწყინვალე თამაშით ძლიერ ზეგავლენას ახდენენ მსოფლიოს ქალთა საჭადრაკო მოძრაობაზე, ხელს უწყობენ ქალთა ჭადრაკის აღმასვლას.

უდავოდ წარმატებაა ვაჟთა მერვე ადგილიც, თუმცა უიღბლობა რომ არა, უკეთესი შედეგის მიღწევა შეგვეძლო.

საერთოდ, თუ დავაჯამებთ ვაჟთა და ქალთა ნაკრები გუნდების მიერ მოპოვებულ ქულათა რაოდენობას, მსოფლიოს საუკეთესო საჭადრაკო ქვეყანათა პირველი ექვსეული ასე გამოიყურება: რუსეთი — 67 ქულა, საქართველო — 63, უკრაინა — 61,5, ჩინეთი — 61, უნგრეთი — 58 და ისრაელი — 57.

ის, რომ საქართველო მსოფლიოში მეორე საჭადრაკო ქვეყანაა, ამ პატარა ქვეყნის მიერ ნაჩვენები ფანტასტიკური შედეგია. ასე რომ, გილოცავთ!

მაია ლომინეიშვილი - 20 წლამდე გოგონათა შორის ევროპის ჩემპიონი

„სტუმრად მყოფმა მონარქმა ჰკითხა ჭადრაკს შეყვარებულ ხალიფა ჰარუნ ალ-რაშიდს: „რა არის ჭადრაკი?“

— „რა არის ცხოვრება?“ კითხვითვე უპასუხა ხალიფამ.

თუ იგი გულისხმობდა, რომ მსგავსად ცხოვრებისა, არც ჭადრაკს გააჩნია ადვილი განმარტება, იგი მართალი იყო. თუ ხალიფა თვლიდა, რომ ჭადრაკში გამოიხატება ცხოვრების მრავალფეროვნება, არც ამ შემთხვევაშია მისი პასუხი უსაფუძვლო. მსგავსად ჭადრაკისა, სპორტის არც ერთი სახეობა, არც ერთი თამაში არ გადმოსცემს სიმბოლურად მოვლენათა ასე ფართო სპექტრს, რომლითაც დატვირთულია ცხოვრება“.

„ჭადრაკის საოცარი სამყარო“, ასე ჰქვია ენტონი სეიდის წიგნს, საიდანაც აღებულია ეს ფრაგმენტი (სხვათა შორის, სპასკისთან მსოფლიო პირველობის მატჩის წინ სწორედ სეიდის სახლში იმალებოდა ფიშერი).

ჭადრაკის საოცარი სამყარო. რაოდენ საამაყოა, რომ ამ საოცარ სამყაროში, სადაც გადამწყვეტია გონიერება, 29 წელი დედოფლობდა ქართველი ქალი. მართალია, ამჟამად სხვა ამშვენებს ჭადრაკის ტახტს, მაგრამ სადედოფლოდ გამიზნული „პრინცესები“ მაინც ქართველები არიან: მსოფლიოს ჩემპიონი 20 წლამდე გოგონათა შორის — ნინო ხურციძე და — სულ ახალი გამარჯვება — 20 წლამდე ევროპის ჩემპიონი მაია ლომინეიშვილი.

საინტერესოა, რომ ქართულ საჭადრაკო სამყაროში ერთი და იგივე სახელები მეორდება: მაია, ნანა, ქეთევანი, ნინო.

მოდით, გავიცნოთ კიდევ ერთი მაია — ახლადგამომცხვარი დიდოსტატი მაია ლომინეიშვილი, ევროპის ქართველი „პრინცესა“, ქართული ჭადრაკის მომავალი ამ სახელთანაც არის დაკავშირებული.

მაია ლომინეიშვილმა თამაში 5 წლის ასაკში ისწავლა. ეზოში ყველა ჭადრაკს თამაშობდა და მაიაც დაინტერესდა. სვლები ბაბუამ აუხსნა. მაიას დედა პირველთანრიგოსანია. მან შესანიშნავად იცის რა შრომა და ენერგია სჭირდება ამ საქმეს და ჭადრაკით გატაცების კატეგორიული წინააღმდეგი იყო — „ცოდვაა ბავშვიო“. ამიტომაც რკინიგზელთა სახლში ცეკვაზე წაიყვანეს. ცეკვის პედაგოგი გასული დახვდათ. კორიდორში პატარა მაია საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა პავლე ხიზანიშვილმა შეამჩნია. მოეწონა, მოეფერა, ჭადრაკს თუ თამაშობო, ჰკითხა. „ვთამაშობ და მიყვარსო“, უპასუხა მაიამ. ხიზანიშვილმა დასტაცა პატარა გოგონას ხელი და სულ სხვა მიმართულებით წაიყვანა. ასე გადაწყდა მაიას ბედი. ბაბუა ძალიან კმაყოფილი დარჩა. „ჩემი შვილიდან არაფერი გამოვიდა, აქედან აუცილებლად გამოვაო“.

ბატონი პავლეს შემდეგ, მაიას გია გრძელიშვილი ავარჯიშებდა. შემდეგ კი გიორგი მაჭარაშვილი, რომელიც დღესაც მისი მწვრთნელია.

ევროპის ქართველი „პრინცესა“ - მაია №2

ახლა კი თავად მაია მოვისმინოთ.

— ევროპის ჩემპიონი ადრეც იყავი. ოღონდ, 14 წლამდე გოგონათა შორის. წლევანდელი გამარჯვება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. რას გვეტყოდი ამ ტურნირის შესახებ.

— ევროპის ჩემპიონატმა 20 წლამდე გოგონათა შორის უნგრეთის ქ. გაპოლცაში 30 მოჭადრაკეს მოუყარა თავი. ჩემი ძირითადი მოწინააღმდეგეები იყვნენ ჩეხეთის ოლიმპიური ნაკრების ლიდერი კრუპკოვა და სლოვაკიის უძლიერესი მოჭადრაკე პაგაროვა. სტარტი კარგად ავიღე — 6-დან 6. პრაქტიკულად პირველი ადგილის ბედი ვადაზე ადრე გადაწყდა. საბოლოოდ 11-დან 9 ქულა მოვაგროვე. 7,5 ქულით II-III ადგილები გაიყვეს პეტრა კრუპკოვამ და უკრაინელმა ტატიანა კონონენკომ.

— შეიძლება ითქვას, რომ ეს არის თქვენი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატება?

— არა. ზონალურ ტურნირში გამარჯვებას ევროპის ჩემპიონობა ვერ დაჩრდილავს.

— პირველი დასამახსოვრებელი შედეგი?

— 1991 წელს მოზრდილების ღია ტურნირი შვეიცარიაში, სადაც 13 წლისამ ქალებში I ადგილი გავიყავი სუპერ-დიდოსტატ პია კრამლინგთან ერთად.

— რომელი წელი იყო ყველაზე წარმატებული?

— 1993 ძალიან დატვირთული და იღბლიანი წელიწადი იყო ჩემთვის. მოვიგე ქარსელაძის მემორიალი, საქართველოს ჩემპიონატები 16 და 18 წლამდე გოგონათა შორის. გავხდი თბილისის ჩემპიონი ქალებში, ხოლო ქალთა საქართველოს ჩემპიონატში I-II ადგილები გავიყავი. ავსტრიაში საერთაშორისო ტურნირზე I შედეგი ვაჩვენე გოგონებში. ბრატისლავაში კი 16 წლამდე გოგონათა შორის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოვიპოვე.

1996 წელიც განსაკუთრებულია ჩემთვის. თუნდაც იმიტომ, რომ დიდოსტატობა მოვიპოვე.

— შენი ყველაზე სამახსოვრო პარტია?

— გამარჯვება იუგოსლაველ საერთაშორისო ოსტატ ზორიცა ნიკოლინთან ზონალური ტურნირის ბოლოსწინა ტურში. ყაიმით საზონათაშორისო ტურნირის საგზურს ვინაღდებდი. ნიკოლინმა თამაშის წინ ყაიმი შემომთავაზა. უარი ვუთხარი. კონკურენტებმა ყველამ სწრაფი ყაიმი გააკეთეს. მე 27-ე სვლაზე ლამაზად მოვიგე, რამაც პრაქტიკულად ტურნირში გამარჯვება მომიტანა.

— ყველაზე დასანანი მარცხი?

— 1993 წელს 16 წლამდე გოგონათა შორის მსოფლიოს ჩემპიონატზე დანიელიანთან წაგებული პარტია. ორივეს 5-დან 5 ქულა გვქონდა. სრულიად მოგებული პარტია წავაგე, რამაც გადაწყვიტა I ადგილის ბედი. ჩემპიონი დანიელიანი გახდა, მე კი მესამე ადგილს დავჯერდი.

სტატისტიკისთვის: ვარ მსოფლიოს პირველობის 4-გზის პრიზიორი სხვადასხვა ასაკში.

— რა მოქმედებს კარგად თამაშის წინ?

— ჩხუბი და გაბრაზება მიხდება. მაცოცხლებს და საბრძოლო განწყობას მმატებს. ერთი სიტყვით, „შემაგინე და ვისვრის“ ვარიანტია. „რეკორდის“ გმირის განცდები შესანიშნავად მესმის.

მახსოვს, ერთხელ გოგი ხომერიკის მოწაფეს ვხვდებოდი. გოგიმ იცოდა ჩემი ამბავი, ამიტომ დედაჩემს შეეხვეწა: „დოდო, შენი ჭირიმე, თამაშის წინ არ ეჩხუბო მაიასო“.

ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ ვისთანაც კარგად ვარ, იმასთან მიჭირს თამაში — გამაღიზიანებელი ფაქტორია დაქვეითებული.

— მიგაჩნია, რომ ბევრს მუშაობ ჭადრაკში?

— ყოველდღიურად საშუალოდ 5-6 საათს ვმუშაობ, ზოგჯერ მეტსაც.

— შენი ყველაზე გამორჩეული თვისება?

— ძალიან „ცილკიანი“ ვარ. მახსოვს, ეზოში ერთი გოგონა მჯობნიდა „რეზინობანას“ თამაშში, ამიტომ ეზოში ჩასვლამდე სახლში გავჭიმავდი რეზინას და გულმოდგინედ ვვარჯიშობდი.

— შენი საჭადრაკო ნაკლი?

— სწრაფად ვიღებ გადაწყვეტილებას. მიჭირს ხელის შეჩერება.

— სხვა სპორტთან თუ გაქვს კავშირი?

— პატარაობაში ციგურებზე დავყავდით. საკმაოდ ჩაპუტკუნებული ვიყავი და სულ ვიქცეოდი. ჭადრაკს ჯანმრთელობა და გამძლეობა სჭირდება, ამიტომ მუდმივად ვვარჯიშობ და დავრბივარ. სურვილი მაქვს, ვიარო „დინამოს“ სტადიონზე, ტრენაჟორებზე სავარჯიშოდ და საცურაოდ.

— როგორ ატარებ თავისუფალ დროს?

— მეგობრები ან ჰობი: ინგლისური, მუსიკა, კროსვორდი.

— შენი ოცნება?

— მინდა გავხდე სუპერკლასის დიდოსტატი. ასეთ სახელს გაფრთხილება სჭირდება.

— პრობლემა?

— ფინანსები. შრომა ნამდვილად არ მეზარება. წვრთნისა და ასპარეზობის დიდი გეგმები მაქვს, რომელთა განხორციელება ფინანსებთან არის დაკავშირებული. რადგან ამ თემას შევეხეთ, მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ამ მხრივ დამეხმარა, განსაკუთრებით კი მცხეთა-თიანეთის რწმუნებულს შალვა ოგბაიძეს, დეპუტატ ავთანდილ საყვარელიძეს და საქენერგოს გენერაციის გენერალურ დირექტორს ნოდარ ბადურაშვილს.

— ვინ არის შენი საჭადრაკო კერპი?

— იდეალთან ახლოსაა კარპოვი. შემოქმედებითი სტილი მაია ჩიბურდანიძეს უკავშირდება. მახსოვს, პატარაობაში სიზმარი ვნახე: მაიასთან იყო შეხვედრა ოპერაში: იდგა მაია სცენაზე დაფნის გვირგვინით, ყვავილებში ჩაფლული. დარბაზი ტაშს უკრავდა გვირგვინოსანს. მე მეორე რიგში ვიჯექი, ბაბუასთან ერთად. უცრად მაიამ ხელების ქნევით სცენაზე მიმიწვია. მეც სიხარულით ავედი. ვდგავართ მე და მაია სცენაზე და ზღვა ხალხი ჩვენ ორს გვიკრავს ტაშს. სიზმარი იმდენად ეფექტური იყო, რომ გადავწყვიტე, ისე უნდა ვითამაშო, ეს ტაში მართლაც დავიმსახურო...

* * *

მაია ჩიბურდანიძეს მართლაც მოუწყვეს შეხვედრა ოპერის სცენაზე. ჰოდა, ვენდოთ სიზმარს. ღმერთმა ქნას, მეორე რიგიდან ცხადშიც ასულიყოს დიდ სცენაზე რიგით მეორე მაია — მაია ლომინეიშვილი.

ნანა ალექსანდრია.

ერთი შტრიხი

ფიშერმაც მხარი დაუჭირა

ბობი ფიშერი ძველებურად პრესის ყურადღების ცენტრშია. იგი ამჟამად ბუდაპეშტშია და მყუდროდ ცხოვრობს. ბუდაპეშტი მოსწონს სიიაფით და მჩქეფარე საჭადრაკო ცხოვრებით. ფიშერი დადის კინოში, ზოგჯერ მეგობრებთან ერთად სადილობს. იგი მარტო ცხოვრობს, თუმცა სურვილი აქვს დაოჯახდეს.

ფიშერის სახელმა გაიჟღერა ერევნის ოლიმპიადაზეც, — მე-10 ტურისადმი მიძღვნილ ბიულეტენში. გამოქვეყნდა კირსან ილუმჟინოვის მხარდამჭერი წერილი ფიშერისა და ლილიენტალის ხელის მოწერით. თუმცა, დაბეჯითებით ვერავინ ამტკიცებს, რომ ეს წერილი ყალბი არ არის. მასში ნათქვამია: ოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული, ფიდეს ისტორიაში იყო როგორც აღზევების, ასევე დაცემის პერიოდები. საუცხოო მოთამაშეებისა და ორგანიზატორების გვერდით იყვნენ შურიანი და პატივმოყვარე ადამიანებიც. ფიდეს ბოლო წლების დისკრედიტაცია გამოიწვია არა ცალკეულ მოთამაშეებს შორის შეუთანხმებლობამ (ასეთი რამ ადრეც ხდებოდა), არამედ იმან, რომ ფიდემ დაკარგა უნარი ებრძოლა ტენდენციურობის წინააღმდეგ და მკაცრად დაეცვა საკუთარი გადაწყვეტილებები და კანონები. ცხოვრება სწრაფად იცვლება და ეს აისახება ჭადრაკშიც. რეალობას მოწყვეტილი ფიდე კი უაღრესად ნელა იცვლებოდა და მართალნი აღმოჩნდნენ ისინი, ვინც მას აკრიტიკებდა.

ერთი წლის წინ, როცა ფიდეს კრახის აშკარა საფრთხე დაემუქრა, რუსეთის ერთ-ერთი რესპუბლიკის ლიდერმა და ცნობილმა ბიზნესმენმა დაიკავა ფიდეს პრეზიდენტის სავარძელი. მისი პირველი ნაბიჯები ექსტრაორდინალური და სადაო იყო, მაგრამ ყველაფერი დალაგდა. სპონსორებმა გამოთქვეს სურვილი, მხარი დაუჭირონ ჭადრაკს და, რაც მთავარია, ილუმჟინოვი სიტყვის კაცი აღმოჩნდა. ნაბიჯ-ნაბიჯ მან შეასრულა ერთი შეხედვით დაუჯერებელი დანაპირები. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ კარპოვ-კამსკის გადარჩენილი მატჩი, ჭადრაკის ვეტერანებისადმი გაწეული დახმარება; დიდი ზრუნვა მსოფლიო ბავშვთა ჭადრაკის განვითარების მიზნით; მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარების ახალი პროექტი.

მართალია, პრეზიდენტის იდეები ზოგჯერ ეჭვს ბადებენ, მაგრამ მისი კომუნიკაბელურობა და ფართო კავშირურთიერთობები სახეზეა. გამომდინარე შექმნილი სიტუაციიდან, ვაფასებთ რა რეალობას, მიუკერძოებლად მიგვაჩნია, რომ კირსან ილუმჟინოვი არის ადამიანი, რომელიც ზრუნავს ჭადრაკზე, ესმის მისი პრობლემები, იცის რა უჭირთ და რა ულხინთ ორგანიზატორებსა და მოჭადრაკეებს, შესწევს ძალა დაეხმაროს მათ ფინანსურად და ამით აამაღლოს ფიდეს რეპუტაცია.

აი, რატომ მოგმართავთ დელეგატებს, პრეზიდენტად აირჩიოთ კირსან ილუმჟინოვი, 21-ე საუკუნის პიროვნება.

წერილს ხელს აწერენ მსოფლიო ჩემპიონი ფიშერი და საერთაშორისო დიდოსტატი ანდრე ლილიენტალი.

მოამზადა
დავით ჯაფარიძემ

საერთაშორისო სარბიელზე

ისევ „ვერცხლი“

გერმანიის ქალაქ ბად-ლიბენცელში დამთავრდა მსოფლიოს ჩემპიონატი სენიორთა შორის. თბილისელმა საერთაშორისო ოსტატმა თამარ ხმიადაშვილმა, ისევე როგორც შარშან, წლეულსაც ვერცხლის მედალი მოიპოვა. თამარმა 9 ქულა მოაგროვა 11 შესაძლებლობიდან. მას მხოლოდ ნახევარი ქულით გაასწრო ცნობილმა რუსმა დიდოსტატმა ვალენტინა კოზლოვსკაიამ. აღსანიშნავია, რომ მათი პირადი შეხვედრა ქართველი მოჭადრაკის გამარჯვებით დამთავრდა.

ბოლო ტურის უიღბლობა

კოლუმბიის ქალაქ მედელენში ჩატარდა 20 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატი. ჭადრაკის ქართველი გულშემატკივრები იმედით შეყურებდნენ საერთაშორისო ოსტატის გიორგი ყაჭეიშვილის გამოსვლას ამ ტურნირში. ყაჭეიშვილი მთელი ტურნირის მანძილზე ლიდერთა ჯგუფში იმყოფებოდა, მაგრამ ბოლო, მე-13 ტურის პარტია წააგო სუტოვსკისთან (ისრაელი), რომელიც 10 ქულით ჩემპიონი გახდა. 9 ქულით მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს ჩანგ-ჩონგმა (ჩინეთი) და გიმეშმა (უნგრეთი). გიორგიმ 8,5 ქულით 4-8 ადგილები გაიყო და კოეფიციენტთა ცხრილით მე-6 ადგილი დაიკავა. ბოლო ტურის დასანანი მარცხის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს ტურნირებში ქართველ მოჭადრაკეებს, ასეთი მაღალი შედეგი არასოდეს უჩვენებიათ.

გოგონათა ტურნირში 12 ქულით გაიმარჯვა ჩინელმა ჩუ ჩენმა. 7 ქულით სოფიკო ტყეშელაშვილმა და რუსიკო გოლეთიანმა 9-18 ადგილები გაიყვეს და შესაბამისად მე-12 და მე-15 ადგილები დაიკავეს.

გოგონა ვაჟთა ტურნირში

მოსკოვის პეტროსიანის სახელობის საჭადრაკო კლუბში დამთავრდა ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც თბილისელი ეკა ჯავახიშვილი თამაშობდა. ეკამ ქალთა საერთაშორისო ოსტატის პირველი ბალი მოიპოვა.

გთავაზობთ მაია ლომინეიშვილის ნათამაშევ პარტიას მთავარ კონკურენტთან ევროპის ჩემპიონატზე.

ლომინეიშვილი მაია–პაგაროვა სუზანა (სლოვაკეთი)

1. d4 მf6 2. c4 g6 3. მe3 კg7 4. e4 d6 5. მf3 0-0 6. კe2 e5 7. კe3

(ძველინდური დაცვის ეს სისტემა ძალზე პოპულარული გახდა ბოლო წლებში. მის დიდ სპეციალისტად ითვლება ქართველი დიდოსტატი გია გიორგაძე).

7... მg4 8. კg5 f6 9. კh4 ლe8 10. h3 მh6 11. მd5 მa6 12. de (12. c5c6!)

12... de 13. 0-0 ლf7? (ამ სვლის შემდეგ შავები ფორსირებულად იღებენ მძიმე პოზიციას. მათ ვერ გაითვალისწინეს ის ფაქტორი, რომ f7 უჯრა განკუთვნილი იყო მხედრისათვის. და ეხლა მხედარს სვლა აღარა აქვს. აუცილებელი იყო 13.. c6 სვლის თამაში)

14. ლc1!

(ძალიან ძლიერი სვლაა. შეიქმნა კf6 ან მf6 მუქარა. ამ სვლას რომ ვთამაშობდი გათვალისწინებული უნდა მქონოდა თუ როგორ მეთამაშა 14... g5-ზე. ვინაიდან თუ თეთრები ითამაშებენ კg3 სვლას, მაშინ ლc1 სვლა ტემპის დაკარგვა გამოდის და ამიტომ მზად უნდა ვყოფილიყავი მ:g5 შეწირვისათვის).

14... g5

დიაგრამა



15. მ:g5!! fg 16. კ:g5 ლe6 17. c5 მf7 18. კc4!

(ეს სვლა უკეთესია ვიდრე 18. კg4 მ:g5 19. კ:e6 მ:e6 ან 18. კ:a6 ლ:a6 19. მ:c7 ლg6 20. მ:a8 მ:g5 და შავებს გარკვეული კომპენსაცია აქვთ).

18... მფh8

(18... მ:g5 19. ლ:g5 h6 20. ლh5 ძლიერი შეტევით) 19. მ:c7 ლg6

(19... მc7 20. კ:e6 მ:e6 21. კe3 დიდი უპირატესობით)

20. კ:f7 ლ:f7

(20... ე:f7 21. მ:a8 h6 22. კh4 კ:h3 23. კg3 მოსაგები პოზიციით)

21. მ:a8 კd7 22. ლe3 ე:a8 23. ეfd1 მc7 24. ლb3 კe6 25. ლ:b7 ეg8 26. კh4 h5

(ალბათ ჯობდა 26...კ:h3!! და თეთრებს ზუსტად უნდა ეთამაშათ უპირატესობის შესანარჩუნებლად. ყველაზე ზუსტი სვლა იყო 27. კg3! და თუ 27.. კe6, მაშინ 28. ეd6)

27. ეd3 კc8 28. ლ:a7 კf8 29. კd8 კa6 30. კ:e7 1:0 შავები დანებდნენ.

დიდოსტატ მაია ლომინეიშვილის შენიშვნები.

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში

1997 – იმედისა და დიდი ბატალიების წელიწადი

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმმა სხვა საკითხებთან ერთად განიხილა და დაამტკიცა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის 1997 წლის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი.

მომავალი წლის კალენდარში უპირველესია ქალთა და ვაჟთა მსოფლიოს პირადი ჩემპიონატები. ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის ციკლი პრეტენდენტთა ტურნირის ეტაპზეა შეჩერებული. ფიდემ ვერ მოახერხა ამ შეჯიბრების შემოდგომით ჩატარება და, როგორც ჩანს, პრეტენდენტები 1997 წელს გამოავლენენ მსოფლიო ჩემპიონის ჟუჟა პოლგარის მეტოქეს. ჭადრაკის ქართველი გულშემატკივრები იმედით მოელიან ამ ტურნირში ერევნის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გმირების მაია ჩიბურდანიძის, ნანა იოსელიანის და ქეთევან არახამიას გამოსვლას.

დეკემბრის პირველ დეკადაში მოსალოდნელია ფიდეს საპრეზიდენტო საბჭოს სხდომის ჩატარება. აქ უნდა გაირკვეს თუ სად და როდის ჩატარდება ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარე ციკლის დასკვნითი ეტაპი. ამ ტურნირში პირველად საქართველოს ვაჟთა ჭადრაკის ისტორიაში ჩვენი ორი დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი და გია გიორგაძე იასპარეზებენ.

5-16 მაისს ხორვატიის ქალაქ პულაში გაიმართება ევროპის გუნდური ჩემპიონატი ვაჟთა და ქალთა შორის. ქართველი მოჭადრაკეები მეორედ მიიღებენ მონაწილეობას ევროპის ჩემპიონატში. ოთხი წლის წინ უნგრეთის ქალაქ დებრეცენში ქალებმა II, ხოლო ვაჟებმა VIII ადგილი დაიკავეს. მომავალ წელს ჩვენი ნაკრები გუნდები ახალი სიმაღლეების აღებას შეეცდებიან, მით უმეტეს, რომ ვაჟ მოჭადრაკეებს დამატებითი სტიმულიც აქვთ. ამ ჩემპიონატიდან შეირჩევა ის გუნდები, რომლებიც მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში ითამაშებენ. ეს ტურნირი 24 ოქტომბერს დაიწყება ლუცერნში (შვეიცარია).

მართალია, ფიდემ ვერ შესძლო მსოფლიო ჩემპიონატების კალენდარული გეგმის დაცვა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 1997 წლის პირველ კვარტალში დაიწყება ახალი ციკლის ზონალური ტურნირები. საქართველოს ფედერაცია ფიდეს მე-5 ზონის წევრია იუგოსლავიის, სომხეთის, კვიპროსის, მალტის, თურქეთის, საბერძნეთისა და ალბანეთის მოჭადრაკეებთან ერთად.

მომავალ წელს, პირველად ჩატარდება ევროპის პირველი პირადი ჩემპიონატი.

როგორც ჩანს, ტრადიციული გახდება ევროპის ჩემპიონატი სწრაფ ჭადრაკში.

მომავალი წლის შემოდგომაზე ჩატარდება სენიორთა მსოფლიო ჩემპიონატი ვაჟთა და ქალთა შორის.

კალენდარში დიდი ადგილი უკავია 10-დან 20 წლის ჩათვლით სხვადასხვა ასაკის საქართველოს, ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებს.

წლის ბოლოს პარიზში ჩატარდება მსოფლიო ჩემპიონატი სწრაფ ჭადრაკში 12 და 14 წლის ასაკის გოგონათა და ჭაბუკთა შორის.

შარშან, ბრაზილიაში გამართულ 26 წლამდე მოჭადრაკეთა მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში ბრწყინვალედ იასპარეზეს ქართველმა მოჭადრაკეებმა. მომავალ წელს მათ მოუწევთ ჩემპიონის ტიტულის დაცვა.

სულ უფრო პოპულარული ხდება ევროპის კლუბების თასის გათამაშება ვაჟთა და ქალთა შორის.

საჭადრაკო კომპოზიტორების ყოველწლიური ფორუმი 6-13 სექტემბერს გაიმართება ხორვატიის ქალაქ პულაში.

საერთაშორისო არენაზე წარმატების მიღწევის წინაპირობაა, მაღალ დონეზე ჩატარებული შიდა ტურნირები. საქართველოს ვაჟთა და ქალთა ჩემპიონატები შვეიცარიული სისტემით ჩატარდება. სულ შიდა კალენდრით გათვალისწინებულია 21 სპორტული ღონისძიება, რომლებშიც ითამაშებს ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონის 2000-ზე მეტი მოჭადრაკე.

მომავალი წლის კალენდრით გათვალისწინებული ოფიციალური ტურნირების გარდა, ქართველი მოჭადრაკეები მრავალ საერთაშორისო ტურნირში ითამაშებენ.

„ლაზიერი“ ეცდება ყველა ზემოთჩამოთვლილი შეჯიბრება ფართოდ გააშუქოს თავის ფურცლებზე.

დავით გურგენიძე,
საქართველოს ჭადრაკის
ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.

ვულოცავთ

ჭადრაკზე ზრუნვის კიდევ ერთი გამოვლინება

როგორც ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ვაჟა შუბლაძე და პირველი ქართველი დიდოსტატი ბუხუტი გურგენიძე. ყოველივე ეს ქართველმა მოჭადრაკეებმა აღიქვეს, როგორც ჩვენს ჭადრაკზე სახელმწიფოს ზრუნვის კიდევ ერთი გამოვლინება.

„ლაზიერის“ მორიგ ნომერში შემოგთავაზებთ წერილს საერთაშორისო დიდოსტატ ბუხუტი გურგენიძის ღვაწლის შესახებ. ამჯერად გთავაზობთ მილოცვის მოკლე ტექსტს, რომელიც რედაქციაში მოიტანეს ქართველმა დიდოსტატებმა.

გულითადად ვულოცავთ ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ ვაჟა შუბლაძეს ღირსების ორდენით დაჯილდოვებას. თითქმის ოთხი წელია, რაც იგი სათავეში ჩაუდგა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციას და ერთი მიზნით — გამარჯვებისკენ სწრაფვით გააერთიანა თითოეული ჩვენგანი. დიდი გამარჯვებებია მოპოვებული ამ პერიოდში. ის რომ ქართველმა მოჭადრაკე ქალებმა მოსკოვისა და ერევნის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადებზე მოიპოვეს ოქროს მედლები, საქართველოს სტუდენტ მოჭადრაკეთა ნაკრები მსოფლიოს ბოლო ორი უნივერსიადის ჩემპიონი გახდა, ხოლო საქართველოს 26 წლამდე მოჭადრაკე ვაჟთა ნაკრები კი დღევანდელი მსოფლიოს ჩემპიონია — საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის და მისი თავკაცის უდაო დამსახურებაც არის. ყოველივე ეს დიდ ენერგიასა და ძალისხმევას მოითხოვს.

ბატონი ვაჟას დიდი წვლილია იმაშიც, რომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში საერთაშორისო წოდების მქონე საქართველოს მოჭადრაკეთა რაოდენობა გაორმაგდა. ქალთა წარმატებებზე რომ არაფერი ვთქვათ. საქართველოს ჭადრაკის ისტორიაში პირველად ორი მოჭადრაკე ვაჟი (ზ. აზმაიფარაშვილი და გ. გიორგაძე) გასულა მსოფლიოს ვაჟთა პირადი ჩემპიონატის საზონათაშორისო ტურნირში. ზედიზედ სამჯერ საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია წლის სპორტული შედეგების მიხედვით აღიარებულია საქართველოს საუკეთესო ფედერაციად.

წარმატებები შთამბეჭდავია, გასაკეთებელი კი უფრო მეტია. სწორედ ამიტომ კიდევ ერთხელ ვულოცავთ ბატონ ვაჟას ღირსეულ ჯილდოს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ახალ გამარჯვებებს, ჩვეული ენერგიით საქმიანობას და წარმატებებს ქართული ჭადრაკის და ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ.

საერთაშორისო დიდოსტატები: **ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი, ქეთევან არახამია, ზურაბ აზმაიფარაშვილი, გია გიორგაძე, ზურაბ სტურუა, ბუხუტი გურგენიძე, თამაზ გიორგაძე, გენადი ზაიჩიკი, ლაშა ჯანჯღავა, დავით გურგენიძე, ნინო ხურციძე, მაია ლომინეიშვილი.**

პრაქტიკა

როგორ დავამარცხე ადამსი



ყოველი პარტიის წინ მზადებისას, პროფესიონალი მოჭადრაკისათვის ორი პრობლემა დგას: პირველი — წმინდა საჭადრაკო და მეორე — ფსიქოლოგიური. ე. ი. რაც შეიძლება უკეთესად განეწყო საბრძოლველად. ამ პარტიის წინ პარადოქსულია, მაგრამ ჩემს წინაშე პრობლემები არ ყოფილა. იმიტომაც, რომ მ. ადამსს ისეთი მდიდარი სადებიუტო რეპერტუარი აქვს, მის წინააღმდეგ კონკრეტულ მომზადებას აზრი არა აქვს, უმჯობესია უბრალოდ ჯანსაღი ჭადრაკი ითამაშო. და კიდევ იმიტომ, რომ არც ისე ხშირად მიხდება მსოფლიო პირველი ათეულის წევრთან ბრძოლა და ამ შემთხვევაში დამატებითი სტიმულის ძებნა არცაა საჭირო.

2580. გ.გიორგაძე— მ.ადამსი. 2685 ერევანი (ოლიმპიადა) 1996 წ.

1. d4 მf6 2. c4 c5 3. d5 b5 4. cb a6 5. b6

ამ სვლის შემდეგ პოზიცია ბენონისათვის დამახასიათებელ კონფიგურაციას იღებს, სადაც ყოველ ტემპს, ფიგურების განლაგებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

5... ლb6 6. მc3 d6 7. მf3 g6 8.e4 კg7 9. მd2?!

ამ სვლით თეთრები ინარჩუნებენ თავიანთ მხედარს, რომელიც დაიკავებს მნიშვნელოვან ფორფოსტს "c4" უჯრაზე.

9... მbd7 10. კe2 ლc7?!

შავები ცდილობენ ხელი შეუშალონ თეთრების კარგ განლაგებას, რომელიც გამოდიოდა 10... 0-0 11. მc4 ლd8. 12. კg4 მb6 13. მe3-ის შემდეგ, მაგრამ ამავე დროს ლაზიერისათვის ირჩევენ არახელსაყრელ უჯრას. უკეთესი იყო 10... ლd8.

11. 0-0 0-0 12. a4!

ახლა არ ვარგოდა 12. მc4 მb6 13. მe3 თეთრების შავკუ ვერ ასწრებს ბრძოლაში ჩაბმას. ამიტომ მე გადავწყვიტე გამომეყენებინა შავი ლაზიერის უხერხული მდგომარეობა და მაქსიმალურად გავაქტიურებულიყავი ლაზიერის ფრთაზე.

12... მe8 13. a5 ლd8 14. მc4 მc7 15. მa4 ეb8 16. ეb1

ეს პროგრამული სვლაა, რადგანაც როდესაც "b" ხაზი გადაიკეტება მb6-სვლით, დღის წესრიგში დგება b2-b4 პროგრამული გარღვევა, რის შემდეგაც თეთრების უპირატესობა აშკარა იქნება.

16... მf6 17. f3

იმისათვის, რომ ფლანგზე შეტევა წარმატებით განვითარდეს, ცენტრი უნდა იყოს მყარი.

17... მb5 18. მab6 მd7 19. კe3 მb6 20. მb6 კd7 21. ლd2!

რატომ ძახილის ნიშანი? ფსიქოლოგიური ეფექტისათვის! უბრალო ენით რომ ვთქვათ, სტრატეგიულად შავების პოზიცია მძიმეა, მათ მხოლოდ ტაქტიკური გართულებები თუ იხსნიან. ამ სვლის შემდეგ მათ თითქოს ასეთი შანსი ეძლევათ, მაგრამ დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მე შევძელი მათ გათვლებში შეცდომის პოვნა და ზედმეტი პაიკი შევინარჩუნე.

21... მd4 22. კa6 მb3 23. ლe1 კe8 24. კd2!

აი ეს სვლა, რომელიც სათანადოდ ვერ შეაფასეს შავებმა, არადა, თეთრები ინარჩუნებენ გამსვლელ a5 პაიკს და მათი უპირატესობა გადამწყვეტი ხდება.

24...f5 25.ef

შავებს პოზიციური მუქარა ჰქონდათ, მაგ., თუ 24 კc4 კd4 26. მფh1 მd2 27. ლd2 f4 და არც ისე ადვილია ზედმეტი პაიკის რეალიზაცია.

25... ეf5 26. კc4 კd4 27. მah1 ეe5 28. ლd1 მd2 29. ლd2 კf7 30. f4

მიუხედავად შავების მცდელობისა, გაერთულებინათ პოზიცია და გადაეყვანათ ტაქტიკურ რელსებზე, მათ საწადელს ვერ მიაღწიეს. პირიქით, უფრო მეტი სისუსტეები შეიქმნეს. ალბათ, უკეთესი იყო ჩაფიქრებული გეგმა განეხორციელებინა 30. b4 კe3 31. ლd3 cb 31. f4 და შავები ფიგურას კარგავენ.

30... ეh5 31. b4 e5 32. h3

ერთი წუთითაც არ შეიძლება ყურადღების მოდუნება, ძალიან სიმპატიური შამათი მემუქრებოდა 32...ეh2 33. მფh2 ლh4-ის შემდეგ.

32... cb 33. ლb4 კc5 34. ლb3 ლh4

ცუდი იყო 34... e4 35. g4 ეh4 36. ლg3 -ის შემდეგ შავების ეტლი ხაფანგშია.

35. ლd3 ეf5 36. მd7

შავების „თითქოსდა" შეტევა ჩაიშალა, თეთრების კონტრშეტევა კი გამანადგურებელია. შავების ლაზიერი და ეტლი „თამაშგარე" მდგომარეობაში დარჩნენ.

36... ეd8

ცუდი იყო 36... ეb1 37. ლb1 კa7 38. ლb7 მოგებით.

37. მc5 dc 38. a6

აქ უკვე ორმხრივი ცეიტნოტი იყო და მე გადავწყვიტე „უბრალოდ" და „საიმედოდ" მეთამაშა.

38... ეf4 39. ეf4 ლf4 40. a7 e4 41. ლb3 1:0

აქ ცაიტნოტი დამთავრდა და მ. ადამსმა თავი დამარცხებულად ცნო, რადგანაც ლb8-დან დაცვა არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ თეთრების არმიის "a" ჯარისკაცმა გენერლობას მიაღწია.

გია გიორგაძე

ანალიზი

მენორკას გაკვეთილი

ჭაბუკთა და გოგონათა XII მსოფლიო საჭადრაკო ჩემპიონატი. ესპანეთი, კუნძული მენორკა. 20 ოქტომბერი — 3 ნოემბერი, 1996 წ.

წლევანდელმა ჩემპიონატმა მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობას მოუყარა თავი. ასპარეზობდა 78 ქვეყნის 700-მდე მოჭადრაკე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული შეჯიბრება ნამდვილი საჭადრაკო დღესასწაული გახლდათ. ევროპის პრესტიჟულმა საკურორტო ადგილმა, კუნძულმა მენორკამ (ხმელთაშუა ზღვა, ბალეარის კუნძულები, ესპანეთი), მშვენიერმა ამინდმა, ასევე მშვენიერმა საყოფაცხოვრებო პირობებმა ახალგაზრდა მოჭადრაკეებს საუკეთესო საშუალება შეუქმნათ მაქსიმალურად გამოევლინათ თავიანთი ნიჭი და შესაძლებლობანი.

შეჯიბრება ჩატარდა შვეიცარული სისტემით, 11 ტურად (1 დასვენების დღე, 4 ტურის შემდეგ), რადგან მონაწილეთა რაოდენობა დიდი გახლდათ, ორგანიზატორებს მოუხდათ ასპარეზობა ორ ეტაპად დაეყოთ. დილის 9 საათიდან 3 საათამდე 10-12 წლის, ხოლო 4 საათიდან საღამოს 10 საათამდე 14-16-18 წლის სპორტსმენები თამაშობდნენ.

რა დასამალია, რომ ჩვენი დელეგაცია თბილისიდან ოპტიმისტურად განწყობილი გამოემგზავრა, ამის საფუძველს კი წინა წლებში მოპოვებული მედლები და საპრიზო ადგილები გვაძლევდა. განსაკუთრებულ იმედებს ვამყარებდით შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონებზე 16 წლის რუსუდან გოლეთიანზე და 14 წლის ვალერი გაფრინდაშვილზე. რუსუდანმა კარგი სტარტი აიღო (6-დან 5 ქულა) და ლიდერთა ჯგუფში იმყოფებოდა. სამწუხაროდ, იგი ავად გახდა (მწვავე ალერგია), ფინიშზე მხოლოდ ორი ქულის აღება შეძლო და საბოლოოდ 7 ქულით მე-8 ადგილი დაიკავა. ძალზე საინტერესო და ძლიერ შემადგენლობას მოუყარა თავი 14 წლამდე ბიჭების ტურნირმა, სადაც ვალერი გაფრინდაშვილთან ერთად თამაშობდა ფრანგი საერთაშორისო ოსტატი ეტენ ბაკრო, რომელსაც ერთ-ერთი საუკეთესო რეიტინგი (2470) ჰქონდა და რომელმაც განვლილ ერევნის მსოფლიო ოლიმპიადაზე კარგად ითამაშა. ქვე მინდა დავსძინო, რომ მას პერსონალური მწვრთნელი დიდოსტატი იოსებ დორფმანი ახლდა (რომელიც, როგორც ცნობილია, წლების განმავლობაში გარი კასპაროვის მწვრთნელი იყო, თანაც მათ ზურგს უმაგრებდა ისეთი ძლიერი სპონსორი, როგორიცაა ფრანგული დისნეი-ლენდი). სწორედ ეს ორი მოჭადრაკე შეხვდა ერთმანეთს მე-9 ტურში და ეს მეტად დაძაბული და ძნელი პარტია 6-საათიანი ბრძოლის შემდეგ ყაიმით დასრულდა. ორივეს 7-7 ქულა დაუგროვდა კიდევ ორ მოჭადრაკესთან ერთად, ოთხივე ტურნირს ლიდერობდნენ. მომდევნო მე-10 ტურში ვალერიმ ერევნელ სარქისიანთან მეტად დასანანი მარცხი განიცადა. (ჯერ მოგებული პოზიცია ჰქონდა, ხოლო შემდეგ საყაიმო პოზიციაში უხეშად შეცდა). არც ბაკროს დაადგა კარგი დღე, ბოლო ორ ტურში მხოლოდ ნახევარი ქულა მოაგროვა და საბოლოოდ V ადგილს დასჯერდა, ხოლო ვალერიმ, ეტყობა, ვერ გაუძლო დაძაბულობას, ბოლო პარტიაც წააგო და 7 ქულით XII ადგილი დაიკავა. ასევე იმედის თვალით ვუყურებდით ინგა ჩარხალაშვილს (რომელიც უკვე რამდენიმეჯერ იყოფს საპრიზო ადგილებს და უარესი კოეფიციენტის წყალობით მედლის გარეშე რჩება). მან ამჯამადაც III-V ადგილები გაიყო და ისევ უარესი კოეფიციენტის გამო V ადგილი დაიკავა. რაც შეეხება გიორგი ბახტაძეს (16 წელი) და ნიჭიერ ქუთაისელ გოგონა ნანა ძაგნიძეს (10 წელი), გიორგიმ I-VI ადგილი, ხოლო ნანამ III-IV ადგილი გაიყვეს და ისევ უარესი კოეფიციენტის გამო პირველს VI ადგილი ერგო, მეორეს — IV ადგილი. რაც შეეხება ამ ყბადაღებულ კოეფიციენტის საკითხს, ის მხოლოდ კარგად აღებულ სტარტს ითვალისწინებს. საინტერესოა, რითაა უარესი წარმატებული ფინიში! მაგალითად, ნ. ძაგნიძემ, როცა მას 5-დან 2,5 ქულა ჰქონდა, ბოლო 6 (!) პარტია მოიგო, ხოლო გ. ბახტაძემ ბოლო 4 ტურში 4 გამარჯვება მოიპოვა. უნდა ითქვას, რომ გ. ბახტაძისთვის ეს ტურნირი ბოლო წლებთან შედარებით იღბლიანი გამოდგა. კარგი შედეგი აჩვენა 12 წლის დუშელმა გიორგი ფარესიშვილმა, 7,5 ქულით VII-IX ადგილები გაიყო.

მეტს მოველოდით ქუთაისელ ნათია აფხაიძისაგან და სოფიკო ტუღუშელაშვილისაგან (6,5 ქულა, XIV ადგ., 18 წ.). — 7 ქულა, VIII ადგ., 18 წ.), თელაველ ანა მათნაძისაგან (6,5 ქულა, XVI ადგ., 14 წ.). ისინიც ხომ წინა წლებში ამგვარი ტურნირების პრიზიორები იყვნენ. ასევე 6,5 ქულა დააგროვა სოფიკო გვეტაძემ (XII ადგ.,) უნდა აღინიშნოს, უდავოდ ნიჭიერი თელაველი ლელა ჯავახიშვილის შედეგი — 7 ქულა და VII ადგილი. სამწუხაროდ, ლელა ბოლო ხანებში საერთოდ მწვრთნელის გარეშეა.

ჩვენი დელეგაციის საერთო შედეგია V-VII ადგილები 78 ქვეყანას შორის (I რუსეთი, II ჩინეთი, III პოლონეთი, IV ვიეტნამი, V-VI-VII — საქართველო, უკრაინა, ინგლისი). შესაძლოა, რომ ბევრი სხვა ქვეყნისთვის ეს კარგი შედეგი ყოფილიყო, მაგრამ შარშანდელი წარმატების ფონზე ჩვენთვის ეს უკან გადადგმული ნაბიჯია. ჩემი აზრით, ჩვენს ახალგაზრდა მოჭადრაკეებს გაცილებით მეტი ყურადღება და დახმარება ესაჭიროებათ მათი უფროსი კოლეგებისაგან. თითოეულმა მათგანმა თვეში ერთი მეცადინეობა-სემინარიც რომ ჩაუტარონ ბავშვებს, დიდ სარგებლობას მოუტანენ მათ და მწვრთნელებსაც. მწვავედ დგას ჩვენში ასევე კომპიუტერიზაციის საკითხი. ეს არა მარტო ინფორმაციაა, არამედ მეტად ძვირფასი დაზოგილი დრო. ასე, მაგალითად, ესპანეთში ყოფნის დროს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან და მწვრთნელებთან საუბარში გაირკვა, რომ იმ სპორტსმენებს, ვისაც საპრიზო ადგილები შანსი ჰქონდათ, მიმაგრებული ჰყავდათ პერსონალური მწვრთნელები, უმწვრთნელოდ ვინც იყო, ისინი პერსონალური კომპიუტერებით იყვნენ აღჭურვილი.

სამწუხაროდ, ჩვენი მოჭადრაკეები პირადი მწვრთნელებისა და, რაღა თქმა უნდა, პერსონალური კომპიუტერების გარეშე იყვნენ. მიზეზი ერთადერთია — სათანადო ფინანსების უქონლობა, რადგან მწვრთნელების გაგზავნა 3-ჯერ გააძვირებდა მგზავრობას, ხოლო ჭადრაკის ფედერაციას ამის სახსრები არ გააჩნია. ჩვენ მადლობელნი ვართ, წელიწადში ერთხელ მაინც რომ ვახერხებთ, მონაწილეობა მივაღებინოთ სპორტსმენებს ამ მნიშვნელოვან შეჯიბრებაში. მეტის იმედი, ალბათ, უახლოეს მომავალში არც უნდა გვქონდეს. არადა, ერთობ მნიშვნელოვანია საჭადრაკო რეზერვებთან მუშაობა — იგი ხომ ქართული ჭადრაკის ხვალინდელი დღეა.

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმი თავის სპეციალურ სხდომაზე იმსჯელებს მსოფლიოს ასაკობრივი ჩემპიონატის შესახებ და იმედი გვაქვს, რომ იქ მეტი კონკრეტულობით გაანალიზდება შედეგები და დაისახება პერსპექტივები.

ალექსანდრე ბოკუჩავა,
საქართველოს
დამსახურებული მწვრთნელი.

საგანძურიდან

ლაზიერი აბობოქრდა

ლაზიერი ჭადრაკში არა მარტო უძლიერესი ფიგურაა, არამედ ჭეშმარიტი „მხედართმთავარიც", რომლის უშუალო მონაწილეობით იგეგმება საჭადრაკო ბრძოლის ყველა ტაქტიკური თუ სტრატეგიული ოპერაცია. ლაზიერი კოორდინაციას უწევს ყველა იმ ძალას, რომელიც ხორცს ასხამს საერთო სტრატეგიულ ამოცანას. გენიალურმა კომპოზიტორმა რობერტ შუმანმა შესანიშნავად გაიგო ჭადრაკში ლაზიერის მნიშვნელობა და არსი. აი, რას წერს იგი: „მუსიკაში, როგორც ჭადრაკში დედოფალი (მელოდია) უძლიერესია, მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც მეფეს (ჰარმონიას) აქვს".

საჭადრაკო ხელოვნების საგანძურიდან მრავალი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ, სადაც ძირითადი „მელოდიური" ხაზი ლაზიერს მიჰყავს. აქ წარმოდგენილია ერთ-ერთი ლამაზი პარტია, სადაც ლაზიერის ჭეშმარიტი „პორტრეტი" ისახება.

ადამსი — ტორე
ახალი ორლეანი, 1920 წ.

1.e4 e5 2. vf3 d6 3.d4 ed 4. ლ:d4 მc6 5. კb5 კd7 6. კ:c6 კ:c6 7. მc3 მf6 8. 0-0 კe7 9. მd5 კ:d5 10. ed 0-0 11. კg5 c6 12. c4 cd 13. cd ეe8 14. ეe1 a5 15. ეe2 ეac8 16. ეae1 ლd7 17. კ:f6 კ:f6



ადამსი-ტორე, 1920 წ.

ამის შემდეგ იწყება თეთრი ლაზიერის სისტემატიური შეწირვები, რაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს (იხ. დიაგრამა №1)

18. ლg4! ლb5 19. ლc4 ლd7 20. ლc7!! ლb5 21. a4! ლa4 22. ეe4 ლb5 23. ლ:b7, და თეთრები იგებენ.

ბრწყინვალე ფინალია. შამათისაგან თავი შეიძლება დაიცვა მხოლოდ ლაზიერის საფასურად.

ეს პარტია საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ რა მდიდარ შესაძლებლობებს ფლობს ლაზიერი და როგორი ეფექტურობით და მოხდენილობით შეუძლია წარმოაჩინოს მან თავისი ჭეშმარიტი ძალა.



ლ. ვან-ფლიტი, 1888 წ.

საეტიუდო ხელოვნებაში მრავალი ნაწარმოებია შექმნილი, სადაც საჭადრაკო იდეები გადმოცემულია უშუალოდ ლაზიერის მონაწილეობით. ამგვარ ეტიუდებში ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი საეტიუდო იდეაა გეომეტრიული მოტივი. ამ იდეაზე ბელგიელმა ეტიუდისტმა ლ. ვან-ფლიტმა შექმნა ნაწარმოები, რომელიც ხელოვნების შედევრებს მიეკუთვნება (იხ. დიაგრამა №2).

1. ლb4 ლd5 2. ლa4 მფb6 3. ლb3 ან 1. ლh1 2. ლa3 მფb6 3. ლb2 მფc7 4. ლh2 !!



ვ. კალანდაძე, 1967 წ.

№3 დიაგრამაზე მოცემულია ვ. კალანდაძის ეტიუდი, სადაც ლ. ვან-ფლიტის ეტიუდი გამდიდრებულია ეტლის გაყვანით ფინალურ ნაწილში. (იხ. დიაგრამა №3). გავეცნოთ მის ამოხსნას:

1. ლc1 მფa2 2. ლc2 მფa3 3. ლc5 მფa4 4. ლc4 მფa5 5. ლa2 მფb6 6. ლb3! ლ:b3 7. b8ე! მოგებით.

ჩვენ შევძელით ლ. ვან-ფლიტის იდეა კიდევ ერთი საეტიუდო იდეით გაგვემდიდრებინა. კერძოდ, მოვახდინეთ სინთეზი აღნიშნული იდეისა შამათის თემასთან. მოგვყავს მისი გადაწყვეტა (იხ. დიაგრამა №4).



ვ. კალანდაძე, 1989 წ.

1. ლb8 მფh2 2. ლc7 მფh1 3. ლc1!! ლ:c1 4. h8ლ მფg1 5. ლg7 მფf1 6. ლg2 მფe1 7. ლf2 მფd1 8. ლe2x!

ვან-ფლიტის ეტიუდს დიდი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება აქვს. როგორც ეს აქ წარმოდგენილი ეტიუდებიდან ჩანს, მას არც ესთეტიკური ღირებულება აკლია. ვფიქრობთ, მომავალშიც იგი მრავალი ეტიუდისტის შთაგონების წყარო იქნება.

ველიმირ კალანდაძე.

მოსკოვის III საერთაშორისო —

ლასკერი, კაპაბლანკა, ბოტვინიკი და სხვები...

მოსკოვის მე-3 საერთაშორისო ტურნირი გაიმართა 1936 წლის 14 მაისიდან 8 ივნისის ჩათვლით. ტურნირში 5 უცხოელი მოჭადრაკე მონაწილეობდა ექს-ჩემპიონები ემ.ლასკერი და ხ.რ.კაპაბლანკა, მსოფლიო დიდოსტატები ს.ფლორი, ა.ლილიენტალი და ე. ელისკაზესი. საბჭოთა კავშირს აგრეთვე 5 მოჭადრაკე წარმოადგენდა: დიდოსტატი მ.ბოტვინიკი და ოსტატები: ვ.რაგოზინი, ი.კანი, გ. ლევენფიში, ნ.რიუმინი. ტურნირი 2 წრედ ჩატარდა. მეტოქეებს მოსაფიქრებლად 40 სვლაზე ორნახევარი, ხოლო ყოველ შემდგომ 16 სვლაზე ერთი საათი ჰქონდათ გამოყოფილი. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ 30 სვლამდე ყაიმზე შეთანხმება მხოლოდ ტურნირის კომიტეტის თანხმობით შეიძლებოდა. ტურნირზე დაწესებული იყო 5 პრიზი: I ადგილზე — 5000 მანეთი, II — 4000 მანეთი, III — 3000 მანეთი, IV — 2000 მანეთი და V — 1000 მანეთი. ლამაზი პარტიებისათვის ტურნირზე დაწესდა 3 სპეციალური პრიზი: I — 1000 მან. II — 500 მან. და III — 250 მან. პირველი წრის შემდეგ პირველ ადგილზე კაპაბლანკა იყო 6,5 ქულით 9-დან. ხოლო მე-2-3-4 ადგილს იყოფდნენ ბოტვინიკი, ლასკერი და რაგოზინი 5 ქულით. მე-2 წრეში კაპაბლანკას არ გაუჭირდება შეენარჩუნებინა პირველი ადგილი. ეს გამარჯვება მისი პირველი დიდი წარმატება იყო ალიოხინთან წაგების შემდეგ 1927 წელს.

საერთოდ აღსანიშნავია კაპაბლანკას ბრწყინვალე თამაში ამ ტურნირში. საბოლოოდ მან 13 ქულა დააგროვა 18 შესაძლებლობიდან. მეორე საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულებმა ბოტვინიკმა და ფლორმა შესაბამისად მეორე-მესამე ადგილები დაიკავეს 12 და 9,5 ქულით. დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა; ლილიენტალი 9 ქულა, რაგოზინი 8,5 ლასკერი 8, კანი, ლევენფიში, რიუმინი, ელისკაზესი 7,5. წელს 60 წელი შესრულდა ამ ტურნირის ჩატარებიდან. ტურნირის მონაწილეებიდან მხოლოდ ა. ლილიენტალია ცოცხალი. მოსკოვის მე-3 საერთაშორისო ტურნირი თავისი მნიშვნელობით და პარტიების ხარისხით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა ჭადრაკის ისტორიაში. ახლა გთავაზობთ ტურნირის გამარჯვებულის ხ.რ. კაპაბლანკას პარტიას ა. ლილიენტალთან. ეს პარტია მე-3 სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა.

კაპაბლანკა — ლილიენტალი
რეტის დებიუტი

1. მf3 d5 2. c4 c6 3. b3 კf5 4. კb2 e6 5. g3 მf6 6. კg2 მdb7 7. 0-0 h6 მთელი ეს სისტემა პირველად გამოყენებულ იქნა რეტი-ლასკერის პარტიაში 1924 წ. ბოლო სვლით შავები ცდილობენ თეთრუჯროვანი კუს შენარჩუნებას, 8.d3 კe7 9. მbd2 0-0 10. ეc1 a5 11. a3 აუცილებელი სვლაა, რათა a4-ზე თეთრებმა უპასუხონ b4 და არ დაუშვან „a" ხაზის გახსნა. 11... ეe8 12. კc2 კh7, შავები ამზადებენ e5 სვლას, რათა არ დაკარგონ ტემპი შემხვედრი e4-ის შემთხვევაში. 13. ლa1 კf8 14. ეfc1 ლb6 15. კh3 კc5 16. ეf1 კf8 17. ეc1 ეad8 18. ეfe1 კc5. შეიქმნა დინამიური თანაფარდობის პოზიცია. ორივე მხარე გენერალური გეგმის ძიებაშია, უკანასკნელი სვლით შავები პროვოცირებას უკეთებენ 19 d4 სვლას, რის შემდეგაც „e4" პუნქტს ისინი გააკონტროლებდნენ და გაუადვილდებოდათ თამაში. 19. ეf1 კf8 20. კg2 კd6 21. მe5 აქ გამოჩნდა კაპაბლანკას გენიალურობა. აი რას წერს იგი: „შავების პასიური თამაშის მიუხედავად მათი პოზიცია მყარია. ამიტომ თეთრები ატარებენ საინტერესო გეგმას. ისინი ხელს არ ახლებენ „d" და „e" პაიკებს და პარტია გადაჰყავთ ენდშპილში, სადაც მათ მცირე უპირატესობა აქვთ, რადგან „h7" კუ რჩება თამაშგარე მდგომარეობაში", ვნახოთ როგორ ახორციელებს თავის გეგმას კაპაბლანკა. 21... კe5 22. კe5 მe5 23. ლe5 მd7 24. ლb2 მf6?! „შავებს ჰგონიათ, რომ პასიური თამაშით ყაიმს მიაღწევენ, მაგრამ ეს ამოცანა არც ისე იოლი აღმოჩნდა. სწორი გაგრძელება იყო —24... c5 და შემდეგ მd7-b8-c6. ამ შემთხვევაში თეთრები ორჯერ ვერ იღებენ „d5", რადგან კარგავენ e— პაიკს. ხ.რ.კაპაბლანკა. 25. b4 ab 26. ლb4! ლb4 27. ab ეa8 28.ეa1 ამ პოზიციისკენ მიისწრაფოდნენ თეთრები, როცა აკეთებდნენ 21-ე სვლას. თეთრებს უკეთესი ენდშპილი a5 საყრდენი პუნქტის გამო, რაც აძლევს მათ საშუალებას გაარონ ეტლები „a" ხაზზე. ამის გარდა, პაიკების ჯაჭვი b7, c6, d5 თეთრი კუს დარტყმის ქვეშ იმყოფება, ხოლო „h7" კუ თამაშიდან გამოთიშულია. 28...მd7 29. მb3 მფf8 30. ეa5! dc? გადამწყვეტი შეცდომაა. ერთადერთი დაცვა იყო 30... მფe7 31. ეa1 ეa5 32. ეa5 მფd6 33. ეa7 მფc7 34. მa5 ეb8 35. c5 შავები ბლოკირებულნი არიან, თუმცა ფორსირებული მოგება არ ჩანს. 31. dc მb6 32. ეa8! ეa8 33. მa5! ეa7 34. ეd1 მფe8. 35. მb7! უმოკლესი გზაა გამარჯვებისკენ. თეთრები ლებულობენ ეტლსა და ორ გამსვლელ პაიკს ორ ფიგურაში. 35... ეb7 36. კc6 ეd7 37. c5 მფe7 38. კd7 მd7 39. c6 მb6 40. c7 კf5 41. ეd8 e5 42. ეb8 მc8 43. b5 მფd6 44. b6 მe7 45. ეf8 კc8 46. ეf7 მd5 47. ეg7 მb6 48. ეb7 მd5 49. ეh6 მფe7 50. e4 მe7 51. f3 მფd7 52. h4 მფe8 53. ეf8 მg8 54. ეc6 შავები დანებდნენ.

ლაშა ჯანჯღავა,
საერთაშორისო დიდოსტატი.

ეს წერილი არის პირველი ამერიკული საჭადრაკო თხზულება და ეკუთვნის ცნობილ ამერიკელ განმანათლებელს, პოლიტიკურ მოღვაწეს, მეცნიერს, მრავალი სამეცნიერო აკადემიის საპატიო წევრს ბენჯამინ ფრანკლინს (1706-1790 წწ.). იგი დაიწერა 1779 წელს და პირველად გამოქვეყნდა 1786 წელს ამერიკულ ჟურნალ „კოლუმბიან მეგაზინში".

ხუთი მცნება

ჭადრაკის ზნეობრივი ფასეულობანი

ჭადრაკი ადამიანთათვის ცნობილ თამაშთაგან ყველაზე უძველესი და გავრცელებულია, რადგან მისი წარმოშობა შორეულ წარსულთან არის დაკავშირებული და მრავალი საუკუნის მანძილზე აზიის ყველა ცივილიზებული ხალხის — სპარსელების, ინდოელების, ჩინელების — გასართობი იყო. ევროპა ამ თამაშს გაეცნო ათასზე მეტი წლის წინათ. შემდგომში ესპანელებმა ის გაავრცელეს ამერიკის კონტინენტზე და ახლახან ის ჩვენს ჩრდილოეთის შტატებშიც გამოჩნდა. ჭადრაკის თამაში თავისთავად იმდენად საინტერესოა, რომ არ საჭიროებს ანგარების მიზნით თამაშს, ამიტომაც მას ფულზე არასოდეს არ თამაშობენ. აი, ამიტომ ისინი, ვისაც დრო აქვს მსგავსი თავშესაქცევებისათვის, ამ თამაშზე უფრო უწყინარ თამაშს ვერ იპოვიან. შემდეგი თხზულება დაწერილია იმ მიზნით, რომ გამოასწოროს მცირეოდენი არაეთიკური დარღვევები თამაშის მსვლელობისას (განსაკუთრებით ახალგაზრდა მეგობართა მცირე ნაწილში) და ამავე დროს გვიჩვენოს, რომ ეს თამაში თავისი ზემოქმედებით ტვინზე, არა მარტო უვნებელია, არამედ სასიკეთოცაა, როგორც დამარცხებულისათვის, ასევე გამარჯვებულისთვისაც.

ჭადრაკის თამაში მარტო სადღესასწაულო გასართობი არ არის. მისი საშუალებით შეიძლება შევიძინოთ ან განვამტკიცოთ ჩვენი ტვინის რიგი ძალზე ძვირფასი თვისებები ისე, რომ ისინი ჩვენში გადაგვექცეს ჩვევად და მრავალი ცხოვრებისეული შემთხვევისათვის გამოგვადგეს. ცხოვრება ხომ ჭადრაკის თამაშის მსგავსია. ცხოვრებაშიც ჩვენ რაღაცის მოგებისაკენ მივისწრაფვით და მეტოქეებთან ან მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში ვებმებით, სადაც უამრავი კარგი და სულელური მოვლენის მრავალფეროვნებაა და გარკვეულწილად წარმოადგენს ჩვენი კეთილგონიერების ან მისი არარსებობის შედეგს.

მაშასადამე, ჭადრაკის თამაშით ჩვენ შეგვიძლია ვისწავლოთ:

1. შორსმჭვრეტელობა, უნარი იმისა, რომ ცოტათი მაინც განვჭვრიტოთ მომავალი და ავწონ-დავწონოთ ჩვენი მოქმედების შესაძლო შედეგები. რადგან მოჭადრაკე მუდმივად ფიქრობს: „თუ მე ამ ფიგურით ვითამაშებ, რა უპირატესობას მივიღებ ახალ პოზიციაში? როგორ გამოიყენებს ამას ჩემი მეტოქე, რომ უსიამოვნება მომაყენოს? სხვა რა სვლები შემიძლია გავაკეთო, რომ ჩემი პოზიცია გავამაგრო და მოწინააღმდეგის მუქარებისაგან დავიცვა თავი?"

2. წინდახედულობა, მთელი საჭადრაკო დაფის ან მოქმედების ასპარეზის შესწავლა. გაითვალისწინო სხვადასხვა ფიგურათა ან პოზიციათა ურთიერთმოქმედება, ის ხიფათი, რასაც ფიგურები განიცდიან, ალბათობა იმისა, რომ მეტოქე გააკეთებს ამა თუ იმ სვლას და დაემუქრება ამ ან მეორე ფიგურას და რა საშუალება შეიძლება იქნას გამოყენებული, რომ თავიდან ავიცილოთ მისი დარტყმა, ან დარტყმის შედეგი მივმართოთ მის წინააღმდეგ.

3. სიფრთხილე, აუჩქარებლობა სვლის გაკეთების დროს. ეს ჩვევა ყველაზე კარგად გამოგვიმუშავდება თამაშის წესების მკაცრი დაცვით, მაგალითად, ისეთით, როგორიცაა: „თუ თქვენ შეეხეთ ფიგურას, მაშინ ვალდებული ხართ იგი ითამაშოთ ამა თუ იმ უჯრაზე, ხოლო თუ უკვე ითამაშეთ, სვლის უკან დაბრუნება აღარ შეგიძლიათ".

მსგავსი წესების დაცვა იმიტომაც მოაქვს ყველაზე დიდი სარგებლობა, რომ ამის წყალობით ჭადრაკის თამაში ედება ცხოვრების და განსაკუთრებით ომის ანარეკლი, რადგან ომში ხომ არ შეგვიძლიათ, თუ გაუფრთხილებლობით თქვენ თავს მძიმე და სახიფათო მდგომარეობაში ჩაიგდებთ, მოწინააღმდეგემ საშუალება მოგცეთ თქვენი ჯარები უფრო უხიფათო ადგილზე გადაიყვანოთ. თქვენ პასუხი უნდა აგოთ ყოველივე თქვენს წინდაუხედავ მოქმედებაზე.

4. და ბოლოს, ჭადრაკის თამაშით ჩვენ ვიძენთ ჩვევას, რომ სულიერად არ დავეცეთ, თუ ჩვენი საქმეები კარგად არ არის და იმედი გვქონდეს ხელსაყრელი ცვლილებებისა და შეუპოვრად გავაგრძელოთ ახალი შესაძლებლობების ძებნა. ჭადრაკის პარტია ისე მდიდარია მოვლენებით და ისინი ისე მრავალფეროვანია, იმდენად ექვემდებარება მოულოდნელ ცვალებადობას, რომ გამოგვიმუშავებს უნარს, საკმაო ფიქრის შემდეგ ვიპოვოთ ერთი შეხედვით, გადაულახავი სიძნელეებისაგან თავის დაღწევის გზები და გავაგრძელოთ ბრძოლა ბოლომდე, იმ იმედით, რომ მოვიგოთ საკუთარი უნარით, ან უკიდურეს შემთხვევაში მივაღწიოთ პატს მეტოქის დაუდევრობის წყალობით.

ყოველი, ვინც შეიგნებს (რის მაგალითებსაც ხშირად ხედავს ჭადრაკში), რომ მცირეოდენმა წარმატებამ შეიძლება გამოიწვიოს თავდაჯერებულობა და მისი შედეგი — უყურადღებობა, რის გამოც უფრო მეტს დავკარგავთ ვიდრე მოვიპოვეთ, ხოლო მარცხი გვასწავლის სიფრთხილეს და ყურადღებიანობას, რომლის დახმარებითაც შეიძლება დაგვიბრუნოთ დაკარგული — ის ისწავლის, გული არ გაიტეხოს მოწინააღმდეგის დღევანდელი წარმატების გამო, საკუთარი საბოლოო წარმატების იმედი არ დაკარგოს, რაც არ უნდა წინააღმდეგობები შეხვდეს ამ გზაზე.

აი, ამიტომაც დაგვებადა სურვილი აგვერჩია ეს სასარგებლო გასართობი და უპირატესობა მიგვენიჭებინა სხვა თამაშებთან შედარებით, რომლებსაც ეს ღირსებები არ გააჩნიათ.

მოამზადა
გიორგი
მაჭარაშვილმა.

ხსოვნა

რევაზ თავარიანი



ქართველ საჭადრაკო კომპოზიტორთა რიგებს გამოაკლდა საერთაშორისო არბიტრი საჭადრაკო კომპოზიციაში, ფიდეს ოსტატი რევაზ თავარიანი.

რევაზ თავარიანის ამოცანები და ეტიუდები მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა.

კოლეგებისთვის ბატონი რეზო დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების და იშვიათი ადამიანური თვისებებით დაჯილდოებული პიროვნება იყო, ხოლო ჭადრაკის მოყვარულებისთვის — ბევრი საინტერესო ეტიუდის და ამოცანის ავტორი.

გთავაზობთ ერთ-ერთ მათგანს.



ყაიმი

1. ე d4 მფ g3 2. ე:c4 კf8 3.მფh7 e1ლ 4. მფ g8 აქ ეტიუდი იყოფა ორ ნაწილად 4... კa3 5. ეa4 კc5 6. ეc4 კd6 7.ეc6 კe7 8.ეc7 და ყაიმია.

მეორე ვარიანტში ეტლი მუდმივად ემუქრება ლაზიერს.

4...ლe7 5. ეe4 ლc5 6. ეe5 ლb4 7. ეe4 ლd6 8. ეe6 და ისევ ყაიმია.

სათავეებთან

პირველად ქართულად

ის, რომ საქართველოში ჭადრაკს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, ყველამ იცის. სწორედ ამიტომ უკვირთ მამა-პაპათა თამაშის ქომაგებს, რომ ქართველებმა მხოლოდ XX საუკუნის დამდეგს მიიღეს საჭადრაკო წიგნი მშობლიურ ენაზე. ეს იყო 1926 წელს თბილისში გამომცემლობა „ტექნიკა და შრომის" მიერ გამოცემული მ.ს-ძის „ჭადრაკი" (მოკლე სახელმძღვანელო).

წიგნში ვკითხულობთ: „უცხო ენებზე ჭადრაკის შესახებ დიდძალი ლიტერატურა არსებობს. სახელმძღვანელოებისა და დამხმარე წიგნების გარდა იწერება სპეციალური გამოკვლევები და შრომები. ქართულ ენაზე კი უბრალო პირველდაწყებითი სახელმძღვანელოც არ მოიპოვებოდა. ამ სტრიქონების დამწერის მიზანი იყო, ეს ნაკლი შეევსო და ჭადრაკის ქართველ მოყვარულთათვის მიეწოდებინა ელემენტარული მოკლე სახელმძღვანელო".

მ.ს-ძემ მიაღწია მიზანს. თხელტანიანმა წიგნმა დიდი საქმე გააკეთა: ჭადრაკს ათასობით ახალგაზრდა გულშემატკივარი გაუჩინა. ვიდრე მოკლედ მიმოვიხილავთ თვით სახელმძღვანელოს, ალბათ, უპრიანი იქნება, ჯერ დავაკმაყოფილოთ მკითხველის ინტერესი: ვინ არის მადლიანი ქართველი, რომელმაც ესოდენ კეთილშობილი მიზანი დაისახა და შეასრულა კიდეც?

„ჭადრაკი" შეადგინა ცნობილმა ჟურნალისტმა და ჭადრაკის დიდმა ტრფიალმა მიხეილ საყვარელიძემ (1892-1937). იგი თელავში დაიბადა მოსამსახურის ოჯახში, სადაც მერვე შვილი იყო. მისი წინაპარი საყვარელიძეები იმერეთიდან გადასახლებულან კახეთში XIX საუკუნის დასაწყისში. თბილისის ქართული გიმნაზია რომ დაამთავრა (1913), სწავლა ოდესის უნივერსიტეტში განაგრძო. საქართველოში რომ დაბრუნდა (1918) ჟურნალისტისა და პედაგოგის საქმიანობას მისდევდა. იგი ცნობილი ჟურნალისტების ქრისტეფორე რაჭველიშვილის, არისტო ჭუმბაძის, არჩილ ჯაჯანაშვილის ღირსეული კოლეგა იყო. მეგობრობდა გამოჩენილ მწერლებთან დავით კლდიაშვილთან, შალვა დადიანთან, იოსებ გრიშაშვილთან და სხვებთან.

იქ, სადაც მიხეილ საყვარელიძე ტრიალებდა, უყვარდათ ჭადრაკი, იცოდნენ მისი ჯავარი. სწორედ მათი აგულიანებით გაბედა პედაგოგმა კაცმა შეექმნა ჭადრაკის სახელმძღვანელო. თავად წერს: „მადლობას ვუძღვნი პროფ. ალექსანდრე ცაგარელს, ი. გრიშაშვილს, ვ. ბერიძეს, დოც. ი. იოსელიანს, შალვა დადიანს, პეტრე მირიანაშვილს და ლ. მეტრეველს, რომელთაც მასალის მოწოდებით და რჩევა-დარიგებით დახმარება გამიწიეს ამ სახელმძღვანელოს შედგენაში".

მაგრამ რატომ არ დააწერა მან წიგნს თავისი გვარი და სახელი, ინიციალებით რომ დაკმაყოფილდა? მწერალმა შალვა აფხაიძემ, რომელიც მაშინ გამომცემლობა „ტექნიკა და შრომაში" მუშაობდა, ასე ამიხსნა:

— როცა ვკითხეთ, რატომ არ სურდა წიგნზე თავისი სახელი და გვარი მიეწერა, მიხეილმა ჩვეული თავმდაბლობით გვიპასუხა: „მე რა მოჭადრაკე ვარ. მერე რა, სახელმძღვანელო რომ დავწერე. ბოლოს და ბოლოს, მთავარი ხელმოწერა როდია: ჩემი ოცნებაა ყველა ქართველი თამაშობდეს ჭადრაკს, იქნებ მაშინ ჩვენშიც გამოჩნდნენ ოსტატები".

მიხეილ საყვარელიძის ოცნებამ ფრთები შეისხა. ჩვენშიც გაჩნდნენ ოსტატები, დიდოსტატები, მსოფლიო ჩემპიონები, მაგრამ იგი ვერ მოესწრო მათ. 1937 წელს ტრაგიკულად დასრულდა მისი ცხოვრება. იგი შეეწირა იმდროინდელ რეპრესიებს.

ახლა თვით „ჭადრაკზე". წიგნი გამოიცა ტირაჟით 2000 ეგზემპლარი. შეიცავს 194 გვერდს. აი, მისი შინაარსი. I. შესავალი (რა არის ჭადრაკი. რა სარგებლობა მოაქვს ჭადრაკს, ლეგენდა ჭადრაკზე), II. საერთო ნაწილი (ფიგურები, თამაშის წესები, ნოტაცია), III. თამაშის ბოლო (ენდშპილის ელემენტარული ტექნიკა), IV. დებიუტები და შუა თამაში (დებიუტების დასახელება და მათი დამახასიათებელი სვლები. თამაშის შუა სტადია — ტექნიკური დარტყმების რამდენიმე მაგალითი. კომბინაციის ახსნა), V. გამოჩენილი მსოფლიო მოჭადრაკენი და მათი პარტიები (ლაბურდონედან კაპაბლანკამდე. პარტიები შენიშვნების გარეშე), VI. ჭადრაკი საქართველოში (როდის შემოვიდა ჭადრაკი საქართველოში, ჭადრაკი ქართულ მწერლობაში, ქართული საჭადრაკო ტერმინები, ინდრია დადიანი, თანამედროვე ქართველი მოჭადრაკენი), ბოლო სიტყვა.

ახლა ეს წიგნი ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. მადლიერი ქართველობა მუდამ დიდი პატივით მოიხსენიებს დიდებულ მამულიშვილს და ჭადრაკის ერთგულ მიხეილ საყვარელიძეს.

თენგიზ გიორგაძე

GCF
ლაზიერი

სარედაქციო კოლეგია:
ბუხუტი გურგენიძე (რედაქტორი), ნანა ალექსანდრია, ანზორ ბასილაია, გივი გამრეკელი,
თენგიზ გიორგაძე, დავით გურგენიძე, ველიმირ კალანდაძე, გიორგი მახარაძე, ვაჟა შუბლაძე, კახა ჩიგოგიძე.

ჩოგანი

ამ ტრეკს რომ ვარსკვლავები ახსოვს...

ახლახან თბილისის ძველ ველოტრეკს 110 წელი შეუსრულდა.

თავად ჟორჟაძის პირმშოს წარსულსა და აწმყოზე გვესაუბრება ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი ველოსიპედისტი, დედაქალაქის მერიასთან არსებული განათლების სამმართველოს ველოტრეკის დირექტორის მოადგილე, წარსულში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და რეკორდსმენი, მრავალგზის პრიზიორი, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული სალიდერო რბოლაში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ვლადიმერ ძებნიაური.

— ამ ტრეკს მთელი რიგი კორიფეების გამოსვლა ახსოვს. „ძველი გვარდიიდან" გავიხსენებ რუსეთის ჩემპიონს, ცნობილ მოსკოველ მფრინავს უტოჩკინს, ჩვენს თანამემამულეებს, ქვეყნის ოთხგზის ჩემპიონს გიორგი ლეჟავასა და ნიკოლოზ გაბრიელოვს.

პირველი თაობის აღმზრდელებიდან აღსანიშნავია, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი არკადი ხაბურზანია. მან ახალგაზრდობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, მოგვიანებით კი, უკვე მოწიფულ ასაკში, ჩემპიონიც გახდა.

თავიდან მაშინდელ კამოზე (ახლანდელი უზნაძის ქუჩა) აშენებული ეს ტრეკი მიწის, ხოლო ვირაჟები — ხის საფარით იყო გაწყობილი. იგი 1947 წელს კაპიტალურად შეაკეთეს და ბეტონის საფარით დაამშვენეს.

მომდევნო წლებში ამ ტრეკზე დაოსტატდა სახელოვან სპორტსმენთა შესანიშნავი პლეადა: საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და რეკორდსმენი სპრინტში ოთარ დადუნაშვილი, სსრკ რეკორდსმენი ორკილომეტრიან ჰიტში ველიკო ჯონჯოლიანი, ქვეყნის ახალგაზრდული და პროფსაბჭოს პირველობების გამარჯვებული ედუარდ ჯიმშელეიშვილი, „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი, ამჟამად ველოსკოლისა და ტრეკის დირექტორი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი იოსებ გოცირიძე, ოთარ ქვილითაია, ვიტალი ქინქლაძე და სხვები.

შემდგომი თაობიდან დავასახელებ სწორუპოვარ მსოფლიო ჩემპიონს ომარ ფხაკაძეს, მსოფლიო რეკორდსმენს პეტრე ჩევარდოვს, ოლეგ პოპოვს. საბჭოთა კავშირის ჩემპიონებს პეტრე ჩევარდოვს, ოლეგ პროკოპენკოს, ოთარ მჭედლიშვილს, ემზარ გელაშვილს...

— დღეს როგორ არსებობთ?

— ამჟამად ქალაქის განათლების სამმართველოს ვეკუთვნით და ხელფასიც დროების შესაბამისი, ანუ სიმბოლური გვაქვს. ცოდვას ვერ ვიტყვი, სამმართველოს უფროსი ბატონი დავით ბერძენიშვილი ყურადღებასა და დახმარებას არ გვაკლებს. უკანასკნელ პერიოდში განათლების სამმართველოს ძალისხმევით ჩატარდა მიმდინარე შეკეთებები, კეთილმოეწყო ტრიბუნები და სპორტული დარბაზი. სხვათა შორის, რასაც გავწვდებით, ფიზიკური სამუშაოს შესრულებას არც ტრეკის თანამშრომლები ვთაკილობთ.

— ალბათ, პერსპექტივაც გექნებათ...



ვლადიმერ ძებნიაური.

— რასაკვირველია. სისტემატურად ვამზადებთ განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის 29 ჯგუფის ორასამდე აღსაზრდელს; ჩვენთან პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის" ბავშვებიც ვარჯიშობენ. ჩვენი სკოლის 9 ველოსიპედისტი საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის წევრია. მათგან გამოვყოფ რობერტ ცხოვრებაძეს, მიხეილ მურადოვს, გიორგი მგელაძეს, ვაჟა ცერცვაძესა და შოთა კვარაცხელიას.

— იქნებ თქვენი პრობლემებიც გაგვანდოთ?

— ისინი ბევრია. მათგან არსებითი ხასიათის გახლავთ სადღეისოდ ყველასათვის ერთნაირი სიღარიბე, ხარისხიანი ველოსიპედებისა და სათადარიგო ნაწილების დეფიციტი, სახსრების უქონლობა, რის გამოც შეზღუდულია პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირებზე გასვლის შესაძლებლობა. გაჭირვებით თითო-ოროლა ასპარეზობაზე გამგზავრება საერთო სურათს ვერ ცვლის.

— ველოსპორტის ფედერაციასთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?

— იგი რესპუბლიკური შეჯიბრებების ორგანიზაციული საკითხების მოგვარებით არის დაკავებული. ჩვენ ხანდახან ნახმარ ინვენტარს თუ მოგვყიდის ხოლმე. თუმცა, ამ ცოტა ხნის წინათ ფედერაციის ხელმძღვანელობა შეიცვალა და ვნახოთ...

— ტრეკის უმთავრესი დანიშნულება სხვადასხვა რანგის ტურნირების მასპინძლობაა. თქვენი „მხცოვანი" სარბიელი თუ ასრულებს ამ მისიას?

— ყოველთვიურად ვატარებთ შიდასასკოლო ჩემპიონატებს. ასე რომ, ენთუზიაზმითა და უკეთესი მერმისის იმედით, იუბილარი ტრეკი ისევ ცოცხლობს.

გია პლატონიშვილი.

სურათზე: მარცხნიდან პირველ რიგში: ვლადიმერ ძებნიაური, ავთანდილ გუნია (საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პრიზიორი სალიდერო რბოლაში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი), ველიკო ჯონჯოლიანი. მეორე რიგში: პავლე ჩუტკერაშვილი (ველოსკოლის უფროსი მწვრთნელი), იოსებ გოცირიძე, ავთანდილ ხახიაური (ქვეყნის ნაკრების უფროსი მწვრთნელი. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი), გია დემურაძე (მწვრთნელი).

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

საშობაო ტურნირზე

15 დეკემბერს თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყება წარმომადგენლობითი საშობაო ტურნირი მინი-ფეხბურთში „აიეტი-ტივი"-ს პრიზზე.

ასპარეზობაში მონაწილეობის მიღებას აპირებენ ძველი და ახალი თაობის გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელები.

მეხუთე ნაგება

ბერლინში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მორიგი მატჩი ბოსნიისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს შორის.

უაღრესად დაძაბული ბრძოლის ბედი შეხვედრის ბოლო წუთებზე გადაწყდა — ანგარიშით 80:71 გაიმარჯვეს ბოსნიელებმა.

19 დეკემბერს საქართველოს ნაკრები თელ-ავივში შეხვდება ისრაელის გუნდს, გაისად იანვარ-თებერვალში კი ბელორუსებსა და ბერძნებს უმასპინძლებს.

კროსვორდი



თარაზულად: 1. რაიმე მოვლენათა თანმიმდევრული მონაცვლეობა, რაისამე განვითარების გზა. 6. ფრანგი მწერალი. 7. იურიდიული პირის უფლების მქონე სავაჭრო ან სამრეწველო საწარმო, რომლის მარკითაც იყიდება საქონელი ან გამოდის ნაწარმი. 11. ბალეტ „ჟიზელის" ავტორი, ფრანგი კომპოზიტორი. 12. მხარე საქართველოში. 13. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი თბილისში, ჯვაროვან-გუმბათოვანი ტაძარი. 18. ებრაელთა კულტის მსახური, მოძღვარი. 20. ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში. 21. ბრაზილიელი ფეხბურთელი. 22. რისამე განხორციელების, მიმდინარეობის სისწრაფე. 23. მკვრივი ბარათების დასტა, რომლებზედაც გამოსახულია სხვადასხვა ფიგურები ან ნიშნები. 27. ინგლისელი პოეტი და კრიტიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი. 28. ფერწერა საყოფაცხოვრებო თემაზე. 29. რეჟისორ ტატო კოტეტიშვილის ფილმი. 30. გამსესხებლის ვალით და პირობით გაცემული ფული, თანხა. 32. ლიტერატურის თხრობითი ჟანრი. 34. ჯარის, ლაშქრის ნაწილი. 36. მაჰმადიანთა სწავლული ღვთისმეტყველი და სამართლისმცოდნე ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში. 37. ნამდვილი, ჭეშმარიტი, არაგამოგონილი ამბავი, შემთხვევა, მოვლენა. 38. იძულების, ზემოქმედების ზომა კანონის დარღვევისათვის.

შვეულად: 2. რეგულარული შემოსავალი, რომელსაც იძლევა კაპიტალი, ქონება ან მიწა ისე, რომ მათ მფლობელს არ სჭირდება მეწარმეობრივი საქმიანობა. 3. ერთპალატიანი პარლამენტის სახელწოდება ფინეთში. 4. პირობითი გამოსახულება (დროშებზე, ფულზე, ბეჭდებზე), რომელიც მიკუთვნებული აქვს სახელმწიფოს. 5. ძველ ეგვიპტელთა ღვთაება. 8. მხატვრის ან მოქანდაკის სახელოსნო. 9. ფასიანი ქაღალდის ძირითადი ნაწილი. 10. გამოკლების ან უარყოფითი სიდიდის სახელწოდება. 14. რაიმე დავის გადასაწყვეტად სასამართლოში შეტანილი განცხადება. 15. მსუბუქი სამგზავრო საზიდრების საერთო სახელწოდება. 16. სამოქალაქო სამართალში: მხარეების შეთანხმება მათ მიერ ნაკისრი ერთი ვალდებულების მეორით შეცვლის შესახებ. 17. სატირული ხასიათის მიბაძვა. 19. მოლოდინი, რწმენა. 21. ნიხრი. 24. ფეოდალის პირადი საკუთრება მიწაზე, შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში. 25. ხალხური გონებამახვილური მოკლე გამონათქვამი. 26. წერილობით ჩამოყალიბებული რისამე შინაარსი. 31. მომხიბლაობა, მიმზიდველობა. 33. საპასუხისმგებლო თანამდებობა. 34. გრძელი, დაბალი ბარიერი ავანსცენის გასწვრივ. 35. მშვილდით სასროლი ჯოხი.

შეადგინა
ციალა ამაშუკელმა.

23 ნოემბერს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 5. კულტი. 6. პონტი. 9. გარანტი. 10. მაგნატი. 14. ვადიმი. 15. არტელი. 16. იანკი. 17. ანანური. 19. ლიქტორი. 20. იურისდიქცია. 25. მაკლერი. 26. ორდალია. 27. ალური. 29. არიელი. 31. ნოველა. 32. სტიმული. 33. ორატორი. 34. ანაგა. 35. ბგერა.

შვეულად: 1. ტუსალი. 2. სტატუსი. 3. ლოკაუტი. 4. შტანგა. 7. მანიანი. 8. სტატუტი. 11. ვაზნა. 12. კანდიდატურა. 13. კლერი. 18. თოჯგა. 19. „ლაციო". 21. შაჩრი. 22. კლიენტი. 23. საყვირი. 24. ზიზლი. 27. აპოლოგი. 28. ინტრიგა. 30. იამანი. 31. ნატურა.

წიგნი

დუდეს მონატრება

ქუთაისური პეწი და ლაზათი შემოჰქონდა დუდე გედენიძეს რედაქციაში. ჩამოვიდოდა შიგადაშიგ, ჩამოიტანდა მასალებს, საქებარს აქებდა, ნაკლოვანებებს ამხელდა, თითქმის მთელი იმერეთი ხელის გულზე ედო — იგი ჩვენი საკუთარ კორესპონდენტი იყო ამ მხარეში, ძალზე ავტორიტეტიანი კორესპონდენტი.

მისი უდროო წასვლა ამ ქვეყნიდან დიდი ტკივილი იყო არა მარტო ქუთაისისთვის, ქუთათურებისთვის, არამედ ჩვენთვისაც, ჩვენი რედაქციის მთელი კოლექტივისთვის.

კიდევ ერთხელ მომენატრა დუდეს ღიმილი და ფრთიანი სიტყვა, როდესაც დამსახურებული ჟურნალისტის, ძირძველი ქუთათურის, დუდე გედენიძის განუყრელი მეგობრის, ბატონ **სერგო მაღლაფერიძის მომცრო წიგნი წავიკითხე: „შენ ჩვენთვის როგორ არა ხარ".** წიგნი დუდე გედენიძეს ეძღვნება, გვაცნობს ამ პიროვნების ცხოვრების გზას, ბავშვობასა და ყრმობას, პირველ ნაბიჯებს პრესაში, შემდეგ კი „ამქუხარებას" „დიდ ჟურნალისტიკაში". საოცარი სითბოთი წერს ბატონი სერგო დუდეს ადამიანურ თვისებებზე, კოლორიტზე, რაც ქუთაისშიც კი გამოარჩევდა ამ კაცს.

დუდე მართლაც დააკლდა ქუთაისს, თავის სამეგობროს, ჩვენს ამქარს, რომელშიც მას განსაკუთრებული ხმა ჰქონდა.

ეს ხმა ადვილად არ წაიშლება. ავტორის თქმისა არ იყოს, დუდესნაირ კაცებს დავიწყება არ უწერიათ.

ვილენ მარდალეიშვილი.

„სოხუმში დაბრუნება"

როგორც ჩვენი მკითხველისთვის ცნობილია, გურამ ოდიშარიას წიგნი „სოხუმში დაბრუნება" 1996 წლის სახელმწიფო პრემიაზეა წარდგენილი.

ახლახან გამომცემლობა მერანმა დასტამბა „სოხუმში დაბრუნების" რუსული თარგმანი. ეს გამოცემა საინტერესო იქნება რუსულენოვანი მკითხველისათვის.

წიგნში მწერლის თვალით გაცოცხლებულია ომამდელი სოხუმის სურათები, ომის საშინელება, მძაფრადაა აღბეჭდილი ის კოშმარული დღეები. მშობლიური კუთხიდან გამოძევებულმა მოსახლეობამ რომ გადაიტანა საკენ-ჭუბერის უღელტეხილზე...

წიგნი თარგმნა თამარ გაიდაროვამ, ბოლოთქმა კი დაურთო ცნობილმა ქართველმა კრიტიკოსმა ზაზა აბზიანიძემ.

ამინდი

ზამთარი ვარდსა დააზრობს...

ხვალ პირველი დეკემბერია. კლიმატური მონაცემებით ზამთრის დასაწყისი. საქართველოს ტერიტორიაზე ნოემბერთან შედარებით 3-6 გრადუსით ცივი იქნება.

ჰაერის საშუალო ტემპერატურა შავი ზღვისპირა ზოლსა და კოლხეთის დაბლობზე 6-9 გრადუსის ფარგლებში მერყეობს, ქართლსა და კახეთში 0-დან 3 გრადუს სითბომდე, მთიან რაიონებში 3 გრადუსი ყინვიდან 2 გრადუს სითბომდე, ხოლო მაღალმთიან რაიონებში თითქმის 2-დან 7 გრადუს ყინვამდე ავა, ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი დაბლობსა და ბარში 20-25 გრადუსს აღწევს, სანაპირო ზოლში ზოგან 28 გრადუსი სითბოა მოსალოდნელი, მთიან რაიონებში 18-24 გრადუსი, მაღალმთიან რაიონებში 10-15 გრადუსი სითბო. აბსოლუტური მინიმუმი შავი ზღვის სანაპირო ზოლსა და კოლხეთის დაბლობზე 11-16 გრადუს ყინვამდე კლებულობს. ქართლის ვაკეზე, კახეთში და რესპუბლიკის მთიან რაიონებში 20-25 გრადუსი, მაღალმთიან რაიონებში 27-32 გრადუს ყინვამდე იქნება.

დასავლეთ საქართველოში ნალექების რაოდენობა ძირითადად მერყეობს 100-დან 200 მმ-მდე (აჭარის სანაპირო ზოლში 240-დან 260 მმ-მდე), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 10-დან 50 მმ-მდე.

ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა მიმდინარე წლის დეკემბერში საქართველოში მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ ნორმაზე დაბალი 3 გრადუსით და მეტით. მეორე და მესამე დეკადაში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება, ღამით შავი ზღვის სანაპირო ზოლსა და კოლხეთის დაბლობზე 1-6 გრადუსი, შიდა ქართლსა და კახეთში 10-15 გრადუსი, რესპუბლიკის მთიან რაიონებში და შირაქის ველზე 14-19 გრადუსი, ხოლო მაღალმთიან რაიონებში 17-22 გრადუს ყინვამდე.

ნალექების რაოდენობა საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ რაოდენობაზე ნაკლები.

ცივი დეკემბერი სოფლის მეურნეობას საქმეს გაუჭირვებს. დასავლეთ საქართველოში 6 გრადუს ყინვას შეუძლია დააზიანოს არა მარტო ციტრუსების მოუკრეფავი ნაყოფი, არამედ ლიმონის შეფუთავი ახალგაზრდა ნარგავებიც.

მრავალწლიური გამოკვლევებით საქართველოს მდინარეთა წყლიანობა დეკემბერში ნოემბერთან შედარებით 20-30 პროცენტით დაბალი იქნება.

მიმდინარე წლის დეკემბერში ამინდის გრძელვადიანი პროგნოზების გათვალისწინებით, საქართველოს მდინარეთა წყლიანობა მოსალოდნელია ნორმაზე დაბალი, განსაკუთრებით მდინარეთა წყლიანობა დაბალია აღმოსავლეთ საქართველოში.

ნოემბერში თბილისში ჰაერის გაჭუჭყიანების დონე საშუალოდ მრავალ წლიურის ფარგლებში იყო. ასეთი რამ ამ თვეში არ აღნიშნულა.

ნიკოლოზ ბერაძე,
საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის თავმჯდომარე.

დღეს

30 ნოემბერს

დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, იქროლებს წამში 10-15, ზემო იმერეთსა და კოლხეთის დაბლობზე 17-22 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში— ღამით 10-15, დღისით 19-24 მთაში — ღამით 4-9, დღისით 14-19.

აღმოსავლეთ საქართველოში ღრუბლიანი ამინდია მოსალოდნელი უმეტესად უნალექოდ, ზოგან ნისლი, სუსტი ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 0-5, დღისით 11-16 გრადუსი სითბო, მთაში — ღამით 1-6 გრადუსი ყინვა, დღისით 8-13 გრადუსი სითბო,

თბილისში მშრალი ამინდია მოსალოდნელი, ნისლი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — ღამით 2-4, დღისით 14-16 გრადუსი სითბო.

გახსენება

ვიოლა კვიტატიანი

ცრემლსა და მწუხარებაში გაიარა უშენობის ორმოცმა დღემ, ჩვენო საყვარელო ვიოლა, შენი ოჯახისა და მეგობრებისათვის.

მონატრებისა და სევდის ჩრდილი არ მოშორებიათ თვალებიდან ეულად დარჩენილ ოჯახის წევრებს — გეძებენ, გელოდებიან, ენატრები, მაგრამ ამაოდ.

იცოდი რა უკურნებელი სენიც გჭირდა, მაინც სანამ ფეხზე იდექი, არ გაგიხდია თეთრი ხალათი და სხვის ჭირს ებრძოდი. შენთვის, ჩუმად ეთხოვებოდი სიცოცხლეს, სიყვარულს, სამომავლო ოცნებებს, რომელსაც ახდენა აღარ ეწერა. ამ უკეთილშობილესი ქალბატონის გვერდით ჩვენც უფრო მიმტევებლები და სათნონი ვხდებოდით, მისი სიახლოვით თითქოს მნიშვნელობას კარგავდა ყოველდღიურობა თავისი სიტლანქით, საკუთარი სახელისა და კეთილდღეობისათვის ფუსფუსით. მისი სათნოებისა და სიკეთის აღსაქმელად დრო საჭირო, რადგან დრო გასაოცარი სიჯიუტით ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს ხოლმე და სიდიადის დანახვასაც გარკვეული მანძილი ესაჭიროება.

ლამაზი ადამიანები ყვავილებივით ამშვენებენ დედამიწას, დადებითი ემოციებით ავსებენ ირგვლივ მყოფთ. ღმერთის მიერ ამ ქვეყნად ყველაფერი ზღვარდადებულია, ყველაფერი არარაობაში ინთქმება, თვით სილამაზეც, მაგრამ, ჩვენო ვიოლა, შენ მარტო სილამაზე როდი გამკობდა, კეთილი და ყოვლის მომცველი იყავი. შენ იმითაც იყავი უსათნოესი, რომ წუთისოფლის მთავარ სიბრძნეს ღრმად იყავი ნაზიარები და იმდენად გრძნობდი სიცოცხლის მშვენიერებას, რამდენადაც სიკვდილში ამაღლებულის საწყისს ხედავდი. სიცოცხლეს შეჰხაროდი და ბოლომდე გჯეროდა, აჩრდილივით აედევნებულ სიკვდილს მოერეოდი.

მოგონება და გახსენება უნახავს სიკვდილის შემდეგ ხსოვნასა და სახელს ადამიანს უპირველესად. ცოცხლდება არსება მისი და სულის გადმოსვლის მადლით ისევ ისე მყარდება ურთიერთობა. უხილავი მოგონებები გაუხანგრძლივებენ სულდგმას მის არსებას სულის გადმოსვლის მადლის შემწეობით, მისი სული კი უკვე იქ არის, სამოთხეში.

შენი ცხოვრების გზა კეთილშობილურად სახელოვნად გაიარე და დაგვრჩა ნაკვალევი შენი სათნოებისა, სიყვარულისა და დიდი მეგობრობისა. წაღმართი გზით განვლე ეს წუთისოფელი, ღირსეულად გარდაისახე წინაპართა მსგავსად. ნათელში იყავ...

ნინო ბაბლიძე.

ხსოვნა

კარლო ხუჭუა

მოსკოვში მცხოვრებ ქართველ ინტელიგენტთა წრეს გამოაკლდა შესანიშნავი პიროვნება და მოქალაქე კარლო არსენის ძე ხუჭუა.

დაიბადა 1927 წელს ოზურგეთის რაიონის სოფელ ოზურგეთში. 1952 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი ფსიქოლოგიის სპეციალობით. როგორც ახალდამთავრებულ ჰუმანიტართა დიდი უმრავლესობა, ისიც ერთ ხანს უმუშევარი იყო, რის გამოც იძულებული გახდა ბედის საძებრად მოსკოვს წასულიყო. აქ იგი მოეწყო ერთ-ერთ დახურულ, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში თავისი სპეციალობით. პარალელურად შემოქმედებით, ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა. მალე, როგორც ნიჭიერი, ერუდირებული პიროვნება, გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში მიიწვიეს, სადაც იგი პენსიაზე გასვლამდე, მრავალი წელი უძღვებოდა ქართული ენის სწავლებას, ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას, თარგმნიდა ქართულიდან, ინგლისურიდან. ბატონმა კარლომ ბევრი ქართველი დამწყები მწერალი წარუდგინა რუსეთის ფართო მკითხველ საზოგადოებას.

მოსკოველი ლიტერატორები, ქართული სათვისტომოს წევრები მას იცნობდნენ როგორც ნიჭიერ, დახვეწილ ინტელიგენტს, უაღრესად კეთილშობილ, საოცრად წესიერ, სპეტაკ პიროვნებას, რომელმაც სამშობლოდან მოშორებით, მისი ბედნიერებისათვის ოცნებაში დალია სული.

კარლო ხუჭუას ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მეგობრების გულში.

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა სახელით —
ვახტანგ ესვანჯია.

ელენე ლავთაძე

გარდაიცვალა მსუბუქი მრეწველობის ღვაწლმოსილი მუშაკი, საქართველოს საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ქალბატონი ელენე ლავთაძე.

ელენე ლავთაძემ განვლო ცხოვრების შესანიშნავი გზა მქსოველიდან დარგობრივი პროფკავშირის რესპუბლიკური ორგანოს ხელმძღვანელამდე. ათი წელი ხელმძღვანელობდა საქართველოს საფეიქრო მრეწველობის ფლაგმანს — თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკას, მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები, ოთხი ორდენი და ხუთი მედალი, არჩეული იყო საკავშირო დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრად, თბილისის საქალაქო საბჭოს მრავალი მოწვევის დეპუტატად, საქართველოს კპ ცკ-ის წევრობის კანდიდატად, თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრად, პროფესიული კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის წევრად, საკავშირო პროფკავშირთა ოთხი მოწვევის ყრილობის დელეგატად.

ქალბატონი ელენე აღჭურვილი იყო ლამაზი შინაგანი სულიერი თვისებებით. მაღალი ზნეობის, თავმდაბალი, ადამიანების მოყვარული, სპეტაკი პიროვნება, ყოველთვის ცდილობდა მხოლოდ სიკეთე ეკეთებინა, რისთვისაც უყვარდათ და პატივს სცემდნენ მას.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი ადამიანი და მოქალაქე, თავისი საქმის მცოდნე, ერთგული მეუღლე და დედა, საფეიქრო მრეწველობის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი, თავისი ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი ქალბატონი ელენე ლავთაძე, რომლის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება იმ ადამიანებში, რომლებსაც ერთხელ მაინც ჰქონიათ მასთან შეხვედრის შესაძლებლობა.

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის მშრომელთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკური საბჭო; საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მსუბუქი მრეწველობის დეპარტამენტი.

შვილი ნანა, შვილიშვილები სამა, დათო, რატი ანჯაფარიძეები, არჩილ გელოვანი, სიძე ვიქტორ გელოვანი, მძახალი ქეთო ალხაზიშვილი-გელოვანისა, დეიდა თინა აფრიდონიძე, ნათესავები და ახლობლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეთერ დავითის ასული დევდარიანი-ანჯაფარიძე

პანაშვიდი 1, 2 XII, 3 ს., გამოსვენება 3 XII, 3 ს. ქ. თბილისი, გრიბოედოვის № 29.

შვილები გოგიტა, ჭაბუკი, რძლები ირინა, იზოლდა, შვილიშვილები ედდარი, გია, შალვა, ელზა, რამაზი, ემზარი, ლალი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თეო იაგორის ასული ფხალაძე

პანაშვიდი 30 XI, 1, 2 XII, დაკრძალვა 3 XII. ზედა საქარაში (ზესტაფონის რაიონი).

თბილისის დიდუბის რაიონის პროკურატურის კოლექტივი სამძიმარს უცხადებს პროკურორის თანაშემწეს გოგიტა ბერიძეს დედის

თეო ფხალაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია და აფხაზეთის ჟურნალისტთა კავშირი, საქინფორმი, გაზეთები „სვობოდნაია გრუზია", „აფხაზეთის ხმა" და „საქართველოს რესპუბლიკა" იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, „სვობოდნაია გრუზიას" კორესპონდენტი, აფხაზეთიდან დევნილი, ნაწამები, მაგრამ სულით ძლიერი და გაუტეხელი უხუცესი კოლეგა

დავით შელია

და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 1, 2 XII, 3 ს., გამოსვენება 3 XII, 2 ს. მამრაძის ქ. № 1 (მეტრო „ვაგზლის მოედანი").

საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს კოლექტივი თანაუგრძნობს მინისტრის პირველ მოადგილეს ნოდარ ულუმბერაშვილს დედის

თინა ლამბაშიძე-ულუმბერაშვილის

გარდაცვალების გამო.

„საქართველოს მეგზეველთა კავშირი" და სააქციო საზოგადოება საგზაო კომპანია „თბილისი" ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს მეგზეველთა კავშირის სათათბიროს წევრი, კონცერნ „საქგვირაბმშენის" ფილიალი „პროექტის" დირექტორი

ელგუჯა ლაცაბიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის წევრებს.

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის მშრომელთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მსუბუქი მრეწველობის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე

ელენე მალხაზის ასული ლავთაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ყურადღება!
ქართულ-ამერიკული კომპანია „მეგაკომი" სამუშაოდ იწვევს 35 წლამდე ასაკის ენერგიულ გოგონებსა და ვაჟებს.
დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართონ მისამართზე:
ფაბრიციუსის ქუჩა № 22.
ტელეფონი: 93-10-48.
ფაქსი: 93-48-86.
მეგაკომი.

სარეკლამო სააგენტოთა (ბიუროთა) საყურადღებოდ!
შპს „მეგაკომი" იწვევს თანამშრომლობისათვის სარეკლამო სააგენტოებს (ბიუროებს). დაინტერესებულმა სააგენტოებმა (ბიუროებმა) უნდა წარმოადგინონ სარეკლამო კამპანიის საინტერესო პროგრამა. საუკეთესო პროგრამის წარმომდგენ სააგენტოსთან „ბიუროსთან) გაფორმდება სერიოზული შეკვეთა სარეკლამო კამპანიის წარმართვის თაობაზე.
ჩვენი მისამართია: თბილისი, ფაბრიციუსის ქ. 22.
ტელეფონი: 98-67-70, ფაქსი 93-48-86.
„მეგაკომი".

ყურადღება
კონკურსი!
ბატონო ჟურნალისტებო!
ქართულ-ამერიკული ფირმა „მეგაკომს" აქვს პატივი გამოაცხადოს კონკურსი
„სიტყვა მეგაკომზე"
ჩვენ ველით თქვენს სტატიებს, რეპორტაჟებს, ინტერვიუებს და ა. შ., კონკურსის ვადაა ექვსი თვე განცხადების გამოქვეყნებიდან.
დაწესებულია ფულადი პრემიები:
❖ I პრემია – 2000 ლარი
❖ II პრემია – 1400 ლარი
❖ III პრემია – 1000 ლარი
კონკურსის შედეგებს შეაჯამებს სპეციალური ჟიური 1997 წლის მაისში.
ჩვენი მისამართია: ფაბრიციუსის ქ. 22.
ტელეფონი: 98-67-70
ფაქსი 93-48-86.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ ბოჭიაშვილი, დავით იაკობიძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ბონდო მძინარაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბაში ხოშტარიას 29.